ვეტერანთა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 მარტი ორშაბათი 2017
№ 055 (15 047) ფასი 1 ₾

რუმინელებმა რუმინელობა გაიხსენეს

სხვებიც დაიხმარეს და... ჩვენც დავეხმარეთ

13



კურიოზი ისტორიისთვის

ქართველების გამარჯვებებს ნაჩვევმა ევროპული რაგბის მამებმა მატჩის შემდეგ მაგრად აურიეს: „რაგბი ევროპის“ ჩემპიონად საქართველოს ნაკრები გამოაცხადეს და პრიზი საზეიმო ვითარებაში ოფიციალურად გადასცეს.

დლეიდან: მთავარი თემა – სერბეთი

ვაისმა რუსებს არ დაუმალა: ძალიან მინდა, ჯიქიამ საქართველოს ნაკრებში ითამაშოს

4

გველეშაპთა თამაშები გველის

წილისყრა, რომელსაც დიდი გულყრა მოჰყვება

9

ეცხოვლანელები

11

შენგელია: ყველაზე სასარგებლო ცეესკასთან

12

ზაზა აგვრონელს სხვა გეგმებს

14

ლოკომოტივი ვაკეში გაჩერდა

საბურთალო 2
ლოკომოტივი 1

18.03. თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 გავაშელიშვილი (23), 1:1 ხარაიშვილი (40. ნადარაიას პასით), 2:1 კოხრეიძე (73. იმნაძის პასით)

საბურთალო (3-2-4-1): **კუპატაძე - მარგველაშვილი, გრიგალაშვილი ნადარაია (46. ცნობილაძე) - მამუჩაშვილი, ელვინ ტერა - შინდაგორიძე (72. კოხრეიძე), ხარაიშვილი, არზიანი (63. ბიძინაშვილი), ვაგნერი - იმნაძე.**

სათადარიგოები: **სანიკიძე, მალი, ალთუნაშვილი, ჩოგაძე**

მწვრთნელი: **გიორგი ჭიაბრიშვილი**

ლოკომოტივი (4-1-4-1): **თევდორაძე - თ. ღონღლაძე, გაბაძე (75. არდაზიშვილი), გ. რეხვიაშვილი, უბილავა - ნ. ჭანტურია - ნ. ქავთარაძე (73. კიკნაძე), დიასამიძე, გავაშელიშვილი (70. მენთეშაშვილი), კომახიძე - სიხარულიძე.**

სათადარიგოები: **ქურდაძე, ჩიტეიშვილი, ხიდეშელი, სამურკასოვი**

მწვრთნელი: **გიორგი დევდარიანი**

გაფრთხილებები: **ქავთარაძე (15), უბილავა (18), კომახიძე (43), მარგველაშვილი (54), არზიანი (60), გრიგალაშვილი (90+2)**

არბიტრი: **ბ. ნინუა**

თბილისის „ლოკომოტივმა" დედაქალაქურ დერბიში სეზონის პირველი მარცხი განიცადა. ორივე გუნდი შეტევების მოყვარულია და მათგან უმთავრესად დაძაბული და საინტერესო დაპირისპირებები გვახსენდება.

ამჟამადაც ასე მოხდა: წვიმის მიუხედავად, მეტოქეებმა საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენეს. პირველ ტაიმში **გიორგი დევდარიანის** განვრთნილები მეტოქეზე აქტიურები და აგრესიულები იყვნენ, უფრო აზრიანად უტევდნენ და ლოგიკურიც იყო, „ლოკომოტივმა" ეს უპირატესობა გოლში რომ ასახა.

საინტერესო ფაქტია - **მამია გავაშელიშვილმა**, რომელიც თავის დროზე 46 გოლით პირველი ლიგის ბომბარდირი გახდა, შარმანდელი მაისის შემდეგ ქვეყნის მთავარ ლიგაში პირველად გაიტანა. იმედია, ეს ნიჭიერი ფორვარდი ამ სეზონში მაინც „გაიხსნება".

...მაგრამ გოლზე „ლოკომოტივი" რატომღაც მოეშვა, საბურთალოელები კი გამოაფხიზლდნენ და მეტი მონდომებით შეუტიეს, მეტოქეს სივრცე მოუსპეს, თავად კი ფლანგები აამუშავეს. ამან შედეგი გამოიღო და ანგარიში მალევე გათანაბრდა. გუნდის „ჯოკერმა", **გიორგი ხარაიშვილმა,** ლიდერის სტატუსი საქმით დაადასტურა. ამ ეპიზოდში აღსანიშნავია ის, რომ 20 წლის ნახევარმცველმა ჩვენში არსებული უაზრო ტრადიცია დაარღვია, დარტყმა არ გააჯანჯლა და როგორც კი მომენტი გაუჩნდა, მაშინვე დასცხო კარისკენ.

მეორე ტაიმში „საბურთალო" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა. მათ რკინიგზელთა ლიდერის, **გეგა დიასამიძის** ჩაკეტვა მოახერხეს, რამაც თამაშის ხასიათი განაპირობა. მას საბურთალოელები მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ. თუმცა, ლოკომოტიველთა შემტევმა ნახევარმცველმა ორიოდე ეპიზოდში მაინც გაიბრწყინა.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო - „საბურთალომ" თავისი ფეხბურთი ითამაშა, რაც ბურთზე კონტროლსა და სწრაფ შეტევებში გამოიხატა, წარმატებასაც ამის ხარჯზე მიაღწია.

„ლოკომოტივმა" ქულის გადარჩენა სცადა. დევდარიანისეული შეცვლებიც ამას ემსახურებოდა. „რკინიგზელებს" ქულის გადარჩენის რეალური შანსიც ჰქონდათ, მაგრამ „საბურთალოს" დაცვამ უშეცდომოდ ითამაშა.

მატჩის სტენოგრამა

5′ - მარცხენა ფლანგიდან გეგა დიასამიძემ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ ირაკლი სიხარულიძის თავური კარს ასცდა.

6′ - ისევ სიხარულიძემ იაქტიურა, მაგრამ მისი შეტევის შემდეგ ბურთი მეკარე ლაზარე კუპატაძემ მოიხელთა.

23′ - გოლი! მარჯვენა ფლანგზე ჯარიმა ირაკლი კომახიძემ შეასრულა. მამია გავაშელიშვილმა ბურთი ვერ დაიმორჩილა, მაგრამ მცველისგან ისევ მას მიუგორდა და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა - 0:1.

40′ - გოლი! ცოტნე ნადარაიამ ბრძოლაში შეინარჩუნა ბურთი, წინ დაიძრა და საჯარიმოში გახსნილი გიორგი ხარაიშვილი შენიშნა, რომელმაც მცველს დაწევის საშუალება არ მისცა და ზუსტი დარტყმით აღადგინა წონასწორობა.

65′ - ფლანგური გადაცემის შემდეგ მოგერიებულ ბურთს საჯარიმოსთან დავით უგულავა დაუსვდა და ძლიერად დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ.

73′ - იმნაძის ფლანგური პასის შემდეგ კოხრეიძე საჯარიმოში მცველებს გაექცა და მის მიერვე წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა - 2:1. ის ამ დროს მოედანზე ერთი წუთის შესული იყო...

90+′ - გაიბრწყინა დიასამიძემ, რომელმაც ელვინ ტერას აართვა ბურთი, ეფექტურად დატრიალდა, წინ დაიძრა, სიხარულიძეს „კედელი" გაუთამაშა და საჯარიმოში შეჭრილმა ძლიერად, თუმცა ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

მატჩის გმირი

უნდა გამოვარჩიოთ **გიორგი კოხრეიძე**. ამ 18 წლის ფეხბურთელმა პირველად თავი სეზონის სასტარტო შეხვედრაში, ქუთაისის „ტორპედოსთან" გამოიჩინა, როცა ბოლო წუთზე გაიტანა და გუნდს 3 ქულა მოუტანა.

მეორედ კი ეს „ლოკომოტივთანაც" მატჩში შეძლო. მეტოქის შეტევა თავად ჩაჭრა და რამდენიმესვლიანი კომბინაცია დაადგირგვინა. გიორგის ამის შემდეგაც შეეძლო გატანა, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთს ვეღარ შესწვდა. საერთოდ, კოხრეიძის მიზანმიმართული და აგრესიული თამაში ყოველთვის გამოარჩევდა. მისი სახით საქართველოს საინტერესო მოთამაშე ეზრდება.

მატჩის შემდეგ

გიორგი ჭიაბრიშვილი, „საბურთალოს" მთავარი მწვრთნელი: *„სასიხარულოა, ეროვნული ლიგის ლიდერთან რთული მატჩი რომ მოვიგეთ. ვფიქრობ, ეს 3 ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ. ჩემს ფეხბურთელებს მონდომებისა და ბოლომდე ბრძოლისთვის მადლობა მინდა გადავუხადო".*

ლადო მამუჩაშვილი, „საბურთალოს" ფეხბურთელი: *„ანგარიშის გათანაბრება იოლი არ იყო, მაგრამ შესვენებაზე მწვრთნელმა მეტი აქტიურობისკენ მოგვინოდა და „საბურთალოსთვის" ჩვეული ფეხბურთის თამაში მოგვთხოვა. ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ".*

მერაბ მამულაშვილი

ფოტო სკ ლოკომოტივის ფეისბუქის გვერდიდან

დინამო (ბთ) 0
სამტრედია 1

19.03. ქობულეთი. ჩილე არენა

0:1 გ. სამუშია (34)

ბათუმი (4-2-3-1): **ტიმოფეევი - ტვილდიანი, გოგიტიძე, კვირკველია, სუხიაშვილი - შონია, თარხნიშვილი - ჯოვინო ფლამარიონი (61. თევდორაძე), ქავთარაძე (46. კენედი), ფონიავა - კვასოვი (77. კვანტალიანი).**

სათადარიგოები: **რ. ტაკიძე, ფარტენაძე, გორელიშვილი, ნ. მგელაძე**

მწვრთნელი: **ლევან ხომერიკი**

სამტრედია (4-2-3-1): **მიგინეიშვილი - სუხომლინოვი, სანდოხაძე, გოგიაშვილი, ახალაძე (88. მჭედლიშვილი) - კასრაძე, დათუნაიშვილი - რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი, გ. სამუშია (72. დ. ჯიქია) - ჩაგელიშვილი (80. ბერიაშვილი).**

სათადარიგოები: **დაუშვილი, მთივლიშვილი, ნინუა, ბურკაძე**

მწვრთნელი: **გია ცეცაძე**

გაფრთხილებები: **ჩაგელიშვილი (39), გოგიაშვილი (63), თარხნიშვილი (65)**

არბიტრი: **ლ. სილაგავა**

ჩემპიონის პირველი სამჭულიანი

აქ პრემიერლიგის მატჩიც გაფუჭდებოდა!

ნეგატივი

მატჩი დაბალ ტემპში რომ მიმდინარეობდა და სანახაობრივი მხარეც აშკარად მოიკოჭლებდა, ეს გასაკვირი არც იყო - მოედნის საფარი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ინგლისის პრემიერლიგის მატჩებიც რომ ჩატარდეს, იქაური ტრადიციული მაღალი ტემპი აქაც დაიკარგება...

წარუმატებელი სტარტის შემდეგ, სამტრედიელთა მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ** ძირითადი შემადგენლობა შეცვალა. **გია მანჯგალაძე** ტრავმირებული იყო და მის ნაცვლად **გიორგი დათუნაიშვილს** ნახევარდაცვაში მცველი **გურამ კასრაძე** (საკადრო პრობლემების გამო, წლეულს სამივე მატჩი ნახევარმცველის პოზიციაზე ჩაატარა) შეუწყვილა.

სამტრედიელთა შემადგენლობაში აღარ იყვნენ **გიგი მჭედლიშვილი** და **გიორგი ბერიაშვილი**, რომელთაც სათადარიგოთა სკამზე ადგილი **გიორგი ახალაძემ** და **გურამ სამუშიამ** გაუცვალეს.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. უფრო მობილიზებული და მონდომებული „სამტრედია" ჩანდა, ხოლო მასპინძლებს ცეცხლი აკლდათ. ლოგიკური იყო, ანგარიშიც სტუმრებმა რომ გახსნეს.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. მასპინძლები შედარებით გააქტიურდნენ. მოედანზე შეცვლაზე შესული **ვაკო თევდორაძე** და **პაპუნა ფონიავა** ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ დინამოელებმა მხოლოდ ერთი რეალური სახიფათო მომენტი შექმნეს და ისიც ვერ გამოიყენეს. მასპინძელთა მოშიშვლებულ დაცვაში სუსტი წერტილი რამდენჯერმე ჩემპიონმაც მოძებნა, თუმცა შანსებით ვერც მან ისარგებლა.

საბოლოოდ, „სამტრედიამ" მოახერხა ის, რაც ვერ შეძლო საჩემპიონო სეზონში - ბათუმელები 1:0 დაამარცხა და მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება გაიფორმა.

მერაბ მამულაშვილი

მატჩის სტენოგრამა

6′ - კარში იაროსლავ კვასოვი ურტყამდა, თუმცა მიზანს ააცილა.

9′ - საჯარიმოს სიახლოვიდან დავით რაჟამაშვილმა დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ.

17′ - შეტევაში კარგად ჩაერთო რუდოლფ სუხომლინოვი და კარის წინ მარტო დარჩენილი გურამ სამუშია მოძებნა, მაგრამ ცენტრალურმა მცველმა ბურთი კუთხურზე მოიგერია და ბათუმელები აშკარა გოლისგან იხსნა.

30′ - ჯოვინიო ფლამარიონის შორეული დარტყმა ძლიერი მაგრამ არაზუსტი გამოდგა.

34′ - გოლი! „სამტრედიას" აქტიურობამ შედეგი გამოიღო. საჯარიმოსთან ბურთი მიიღო გურამ სამუშიამ, ცენტრისკენ დაიძრა, თორნიკე თარხნიშვილს გაცდა, გელა გოგიტიძემ დაზღვევა ვერ მოასწრო და „მოჭრილი" დარტყმით ანგარიში გაიხსნა - 0:1.

40′ - ჯოვინიომ კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილი პაპუნა ფონიავა მოძებნა, რომელსაც ჯემალ გოგიაშვილი ჩაუწვა ფეხებში და ვითარება განმუხტა.

64′ - სამტრედიელებს სწრაფი შეტევის განვითარების შანსი ჰქონდათ - 3 შემტევი მასპინძელთა 3 მცველის წინააღმდეგ, თუმცა სწორი გაგრძელება ვერ მოიძებნა და ბათუმელები გადარჩნენ.

67′ - მასპინძელთა რეალური შანსი. ფონიავამ მარჯვენა ფლანგზე „კედელი" გაუთამაშა ვაკო თევდორაძეს, რომელმაც კარის წინ კვასოვი მოძებნა, თუმცა ახლო მანძილიდან დარტყმული მიზანს ასცდა.

79′ - ბათუმელები მეორე გოლს გადაურჩნენ! კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთი ანატოლი ტიმოფეევს ხელიდან გაუვარდა, მაგრამ გოგიაშვილმა მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში გატანა ვერ შეძლო.

90+2′ - სუხომლინოვის მიერ 25 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა „კედელს" მოხვდა, ბურთი გიორგი დათუნაიშვილს მიუგორდა, რომელმაც მიზანს ააცილა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	3	2	1	0	4-1	7
2. საბურთალო	3	2	0	1	3-4	6
3. ლოკომოტივი	3	2	0	1	4-3	6
4. ტორპედო	3	1	1	1	3-3	4
5. სამტრედია	3	1	1	1	2-2	4
6. დილა	3	1	1	1	2-2	4
7. კოლხეთი	3	1	0	2	4-3	3
8. დინამო (თბ)	3	1	0	2	2-3	3
9. დინამო (ბთ)	3	1	0	2	2-3	3
10. შუქურა	3	0	2	1	3-5	2

მოდევნო ბური

1 აპრილი

შუქურა-კოლხეთი
ლოკომოტივი-ტორპედო
დილა-საბურთალო

2 აპრილი

სამტრედია-დინამო (თბ)
ჩიხურა-დინამო (ბთ)

oops!

საბურთალომ შეცდომა აღიარა

მერვედფინალში გურიას შევარდენი შეხვდება

15 მარტს, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის 1/16 ფინალში „საბურთალომ" ლიგა 3-ის წარმომადგენელი „შევარდენი 1906" 2:1 დაამარცხა. მაგრამ 1/8 ფინალში ლანჩხუთის „გურიას" არა წყვილის გამარჯვებული, არამედ, დამარცხებული „შევარდენი 1906" შეხვდება.

აღმოჩნდა, რომ ამ მატჩში „საბურთალომ" თასის რეგლამენტის მე-9 მუხლი დაარღვია, რომლის თანახმადაც. თადარიგში ფარმკლუბის მხოლოდ 3 მოთამაშის დამატების უფლება გააჩნიათ, „საბურთალომ" კი განაცხადში 6 ფეხბურთელი შეიყვანა და 4 ათამაშა. გადაცდომა სფფ-ს შესაბამისმა სამსახურმა დააფიქსირა და სადისციპლინო კომიტეტს სარჩელით მიმართა.

საკითხი განსახილველად სფფ-ის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს გადაეცა, რომელმაც წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა: „საბურთალომ" თასის გათამაშების დებულების მე-9 მუხლი დაარღვია, რადგან ფარმკლუბში რეგისტრირებულმა დასაშვებზე მეტმა ფეხბურთელმა ითამაშა. კომიტეტის გადაწყვეტილებით, „საბურთალოს" ჩაეთვალა წაგება 0:3 და დაეკისრა 1000 ლარის ოდენობის ჯარიმა. თასის 1/8 ფინალში კი „გურიას" „შევარდენი 1906" დაუპირისპირდება. დებულების შესაბამისად, მატჩს უფრო დაბალ ლიგაში მოთამაშე „შევარდენი 1906" უმასპინძლებს. მომხდარზე „საბურთალომ" განცხადება გაავრცელა.

***„სრულად ვიღებთ პასუხისმგებლობას მომხდარზე. მაგრამ საზოგადოებას, საფეხბურთო ოჯახს, ჩვენს გულშემატკივრებს და მედიის წარმომადგენლებს ვაცნობებთ, რომ ეს ჩვენს სასიკეთოდ თამაშის შედეგზე ზემოქმედების მიზნით არ იყო განპირობებული. პირიქით, სამწვრთნელო შტაბს სურდა, ნაკლები სათამაშო პრაქტიკის მქონე მოთამაშეებისთვის მიეცა შანსი და ძირითადის წამყვანი ფეხბურთელები ფარმკლუბში დარეგისტრირებული იმ ფეხბურთელებით შეცვალეს, რომლებიც ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან. დებულებით, სამზე მეტი ასეთი ფეხბურთელის თამაში არ შეიძლებოდა. სამწუხაროდ, შეცდომა გაგვეპარა და ითამაშა 4 ფეხბურთელმა, რისთვისაც საფეხბურთო და სადისციპლინო დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილებით დავისაჯეთ"*, - ნერია განცხადებაში.

მერაბ მამულაშვილი

აი, ლეგიონერი!..

დინამო (თბ) 1
დილა 2

18.03. თბილისი. დინამო არენა

1:0 არაბული (19), 1:1 წიქარიძე (22. ლეანდროს პასით), 1:2 კირკიტაძე (74. ლეანდროს პასით)

დინამო (4-2-3-1): **ლიტოვჩენკო - ჩადუნელი, გველესიანი, სალუქვაძე, თოთაძე - ქარდავა, ზარია (80. მიქელთაძე) - პაპუნაშვილი (85. ერგემლიძე), კიტეიშვილი, გ. ჩაკვეტაძე - არაბული.**

სათადარიგოები: **ლოჩოშვილი, მიშჩენკო, კუცია, ნინუა, ბეგაშვილი**

მწვრთნელი: **კახა კაჭარავა**

დილა (4-2-3-1): **მუჯრიშვილი - მაჩაიძე, კვახაძე, ქარქუზაშვილი, ეტუ - ძარია, პაპავა (78. რაზმაძე) - დ. კირკიტაძე, წიქარიძე (83. გ. ფოფხაძე), ლეანდრო - ლეონარდო.**

სათადარიგოები: **გაგოშიძე, აბუბაქარი, ტარავალე, ხაინდრავა**

მწვრთნელი: **ზიგ არიე**

გაფრთხილება: **კირკიტაძე (40), ეტუ (42), ჩადუნელი (45), ჩადუნელი (72), კიტეიშვილი (83), კიტეიშვილი (90)**

გაძევება: **ჩადუნელი (45), კიტეიშვილი (90)**

არბიტრი: **გ. ყრუაშვილი**

ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ ბოლო წლებში გორის „დილა" თბილისის „დინამოსათვის" ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქედ იქცა. დინამოელებმა ნავსი ვერც ამჯერად გატეხეს და ზედიზედ მესამე დაპირისპირებაში დამარცხდნენ გუნდთან, რომლისთვისაც ეს იყო პირველი გამარჯვება ეროვნულ ლიგაში. ამას გარდა, ებრაელი მწვრთნელისა, **ივ ზარიეს** ხელმძღვანელობით „დილამ" მიმდინარე ეროვნულ ლიგაში პირველი გოლ(ებ)იც გაიტანა.

ვერავინ იტყვის, რომ „დილამ" დაუმსახურებლად მოიგო: გორელთა გუნდის თავკაცმა სწორი ტაქტიკა აირჩია ტიტულოვანი მეტოქის წინააღმდეგ და პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, თანაბარი თამაში ვიხილეთ თითქმის ცარიელ „დინამო არენაზე".

აი, შესვენების შემდეგ სტუმრები მთელი გუნდით უკან „ჩაჯდნენ" და სწრაფი კონტრშეტევების იმედი დაიტოვეს. ამ გათვლამ გაამართლა: მატჩის, უდავოდ, საუკეთესო ფეხბურთელმა, „დილას" ახალწვეულმა **ლეანდრო რიბეირომ** თავისი გაუთავებელი გადაადგილებებითა თუ სოლორეიდებით, უამრავი თავსატეხი გაუჩინა მასპინძელთა უკანახაზელებს.

იმის გარდა, რომ „დილას" ბრაზილიელმა გარემარბმა ორი საგოლე პასი მიითვალა, საერთოდაც, უაღრესად ნაყოფიერად გაისარჯა და ლომის წილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში! საერთოდაც, „დილას" თითქმის ყველა ფეხბურთელი (გამონაკლისი, ალბათ, ცენტრფორვარდი **ჟოაო ლეონარდო** გახლდათ) ამ მატჩში მაქსიმალურად ცდილობდა დავალების ზუსტად შესრულებას.

მატჩის სტენოგრამა

13′ - ბაქარ ქარდავას ოსტატური პასის შემდეგ გიორგი პაპუნაშვილი მეტოქის საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ „დინამოს" კაპიტანმა „დილას" კაპიტან მიხეილ მუჯრიშვილს ვერ აჯობა;

18′ - ქარდავას მშვენიერი რეიდი. მისი გამჭოლი გადაცემის შემდეგ ბაჩანა არაბულმა ახლო მანძილიდან ხსნის ანგარიშს - 1:0!

23′ - ლეანდრომ კიდევ ერთხელ გაილაღა მარცხენა ფლანგზე და ზუსტი დიაგონალური პასით მეტოქის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მყოფი თენგიზ წიქარიძე მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით ბურთი ზუსტად გადაგზავნა „დინამოს" კარში - 1:1!

31′ - ოთარ კიტეიშვილის ზუსტი პასი საპირისპირო ფლანგზე მყოფ გიორგი ჩაკვეტაძეს, რომლის ძლიერად დარტყმულს მუჯრიშვილი ჩინებულ ნახტომში იგერიებს.

48′ - რეალური საგოლე მომენტი სტუმართა კართან. გიორგი ჩაკვეტაძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა არაბული, მაგრამ „დინამოს" ცენტრფორვარდმა შანსი ვერ გამოიყენა;

65′ - „დინამომ" კიდევ ერთი მშვენიერი მომენტი ვერ გამოიყენა: გია ჩადუნელის გამჭოლ გადაცემას მეტოქის კარის სიახლოვეს მყოფი გიორგი გველესიანი ვერ შესწვდა;

65′ - სტუმართა სახიფათო „სტანდარტული": ალექსანდრე კვახაძის თავური მცირედით ასცდა მიზანს;

74′ - ლეანდროს მშვენიერი „სტანდარტულის" შემდეგ მეტოქის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ დავით კირკიტაძეს ახლო კუთხეში თავურით ეფექტური გოლი გააქვს - 1:2!

90′ - ლეანდრომ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა;

90+3′ - ცოტაც და, ლეანდრო მესამე საგოლე პასს მიითვლიდა, მაგრამ ლევან ნონიკაშვილმა მასპინძელთა მეკარეს ვერ აჯობა.



დილამ დინამო მკაცრ მარწუხებში მოაქცია

ფოტო სკ დინამო თბილისის ფეისბუქის გვერდიდან

მეორე წელიწადია, „დილას" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია...

საპირისპიროდ ამისა, აშკარად გამოჩნდა მასპინძელთა პრობლემა - მოკლე სათადარიგოთა სკამი. ფაქტია, ამ რესურსით „დინამომ" სერიოზულ წარმატებაზე არც უნდა იფიქროს. რა თქმა უნდა, ჯერ სეზონის დასაწყისია, მაგრამ **კახა კაჭარავას** გუნდი ყველა პოზიციაზე რომ საჭიროებს გაძლიერებას, აშკარა გახდა ჯერ კიდევ „ლოკომოტივთან" წინა ტურში წაგებულ მატჩში.

ისე, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები „დილასთან" მატჩში, მეორე ტაიმის დასაწყისში **ბაჩანა არაბულს** მეტოქის მეკარესთან პირისპირ დარჩენა გოლად რომ ექცია. აღარაფერს ვამბობთ მასპინძელთათვის იმ მართლაც კოშმარულ 74-ე წუთზე, როცა „დინამოს" ამპლუაშეცვლილმა ახალწვეულმა **გია ჩადუნელმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და სწორედ იმ „სტანდარტულს" მოჰყვა კიდეც მატჩის გადამწყვეტი გოლი, ტანმორჩილმა **დავით კირკიტაძემ** ზუსტი და ეფექტური თავით რომ გაიტანა!..

„დინამომ" თამაში 9(!) ფეხბურთელით დაასრულა. მეორე ყვითელი ბარათისთვის **გიორგი ყრუაშვილმა** მოედნიდან **ოთარ კიტეიშვილიც** გააძევა. ერთი მხრივ, ეს გაძევება არაფერს ცვლიდა კონკრეტულ მომენტში (დრო თითქმის ამოწურული იყო), მაგრამ მეორე მხრივ, კიტეიშვილი მომდევნო მატჩს გამოტოვებს, რაც „დინამოსთვის" კიდევ ერთი პრობლემაა.

გია ტუხაშვილი

ჩიხურა-შუქურა. უტევს გიორგი გაბედავა (მარჯვნივ)

მატჩის სტენოგრამა

5′ - ივანიშვილის დარტყმულს ჯიოევი ადგილზე ხვდება.

10′ - გურულის სახიფათო დარტყმა და ჰამზიჩი ბურთს კუთხურზე იგერიებს.

12′ - 1:0! კორიფაძის ჩაწოდება და გაბედავას შედეგიანი თავური.

19′ - 1:1! გურულის ჩაწოდება და ჭეჟიას თავური - ჰამზიჩი უძლური აღმოჩნდა.

26′ - კუტალიას წაქცევისთვის „შუქურა" უშედეგოდ ითხოვს 11-მეტრიანს.

40′ - გელაშვილის თავური ოდნავ არაზუსტია.

43′ - არომელაძის პასით კუტალია მეკარესთან პირისპირ გადის. ჰამზიჩი დიდებულად თამაშობს.

52′ - გაბედავა მცველს ართმევს ბურთს და მეკარესთან პირისპირ გადის. ჯიოევმა თავგანწირული ვარდნით იხსნა გუნდი.

54′ - 2:1! კუთხურის შემდეგ ლევან კაკუბავა ასწრებს ყველას და თავით გააქვს გოლი.

65′ - 3:1! კორიფაძის მორიგი პასი და გაბედავას ზუსტი თავური.

78′ - ჰამზიჩმა ჭანუყვაძეს არ გაატანინა.

85′ - გორგიაშვილის დარტყმის შემდეგ ბურთი ოდნავ სცდება „შუქურას" კარს.

როცა ფეხბურთში მთავარი თავია

ჩიხურა 3
შუქურა 1

19.03. ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 გაბედავა (12), 1:1 ჭეჟია (19), 2:1 კაკუბავა (54), 3:1 გაბედავა (65)

ჩიხურა (4-5-1): **ჰამზიჩი - შ. კაშია, კაკუბავა, ჩიკვაიძე, ზ. ჭელიძე - კორიფაძე, ივანიშვილი (60. განუგრავა), დობროვოლსკი, გორგიაშვილი, გაბედავა (89. სარდალიშვილი) - გელაშვილი (46. ტატანაშვილი).**

სათადარიგოები: **სეფიაშვილი, მირცხულავა, დეკანოიძე, ლეკვთაძე**

მწვრთნელი: **სოსო ფრუიძე**

შუქურა (4-5-1): **ჯიოევი - ბ. მახარაძე, ჭეჟია, ჩაჩუა, კლიმიაშვილი - საბაძე (61. ჭანუყვაძე), გურული (76. არქანია), ჯეფერსონი (74. დაგარგულია), კუტალია, არომელაძე - მამულაშვილი.**

სათადარიგოები: **მოწყობილი, ცეცხლაძე, ჯინჭარაძე**

მწვრთნელი: **გია გურული**

გაფრთხილება: **ჩიკვაიძე (76)**

არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**

საჩხერის „ჩიხურამ" ბოლო დროს საშინაო ასპარეზად ქცეულ „დავით აბაშიძეზე" „შუქურა" დაამარცხა და სათავეში ჩაუდგა ეროვნულ ლიგას. არავინ იცის, რა იქნება მომავალში, ახლა კი ისე ჩანს, რომ საჩხერული კლუბი ჩვენი პირველობის მთავარი ფავორიტია.

ძალიან, ძალიან უცნაური თამაში გამოვიდა. განა, ხშირად გვინახავს, თამაშში 4 გოლი გასულიყოს და... ყველა - თავურით?! ფეხბურთში, ფეხებთან ერთად, მთავარი თავია. ეს, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ გუშინ მთავარი მართლაც თავი იყო.

შეხვედრამ, რომელშიც ორივე გუნდმა იდენტური, 4-5-1 სათამაშო განლაგება აირჩია, რამდენიმე საინტერესო რამ გვიჩვენა. პირველი ის, რომ დღევანდელ ფეხბურთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეტევაში მცველების ჩართვას. ეს ფაქტორი განსაკუთრებით კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ორივე გუნდის მწვრთნელს. ამის შედეგი იყო **ირაკლი ჭეჟიასა** და **ლევან კაკუბავას** გოლები. არადა, საქართველოში ზოგიერთი მწვრთნელი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ცალკე უნდა ვთქვათ **სოსო ფრუიძის** მიგნებაზეც. მან მარჯვენა ნახევარმცველად დააყენა **გიორგი კორიფაძე** და ისიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე. მთელი თამაშის განმავლობაში მან ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და საგოლე პასებიც მიითვალა. აღსანიშნავია მისი უმწვავესი ჩაწოდებები.

სტრატეგია, რომელმაც გაამართლა - „ჩიხურა" მთელი მატჩის განმავლობაში ელოდა და მაქსიმალურად იყენებდა მეტოქის შეცდომებს. „შუქურამ" კი პირველი ტაიმი კარგად ითამაშა და მეორეში „დადგა". ფიზიკურ მომზადებაში ქობულეთელები აშკარად ჩამორჩნენ მოწინააღმდეგეს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე »

● საქართველოს ნაკრები

ეროვნული

ძალიან მინდა, ჯიქიამ საქართველოს ნაკრებში ითამაშოს...

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ ვაისი** რუსეთში იმყოფებოდა, სადაც „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" მატჩს დაესწრო. თამაში 1:1 დასრულდა. სხვადასხვა მხარეს ითამაშეს მოსკოვური კლუბების ქართველმა ლეგიონერებმა - **ჯანო ანანიძემ** და **საბა კვირკველიამ.**

ვაისმა რუს ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისი ვიზიტის მიზანი იყო, საქმეში ენახა „სპარტაკის" მცველი **გიორგი ჯიქია**, ვისაც ამ დროისთვის რუსეთის პირველ გუნდშიც იწვევენ.

„სერბეთთან მატჩისთვის მზადებას ორშაბათიდან ვიწყებთ. მჯერა, ტრავმის შემდეგ ჯანო ანანიძე კარგ ფორმაში იქნება. ძალიან მიხარია, რომ კვირკველია იური სიომინმა „ლოკომოტივში" მიიწვია. იმედია, ახლა მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნება... ამას გარდა, ყურადღებით ვაკვირდები გიორგი ჯიქიას. მართალია, მას რუსული პასპორტი აქვს, მაგრამ, როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, ძალიან მინდა, ჩვენს გუნდში ითამაშოს, იმიტომ, რომ ის ქართველია, მაგრამ ყველაფერი ფეხბურთელზეა დამოკიდებული", - თქვა ვაისმა.

მზადება დღეიდან...

დღეიდან კი საქართველოს ნაკრების სასერბეთო სამზადისი იწყება. ბალკანურ ნაკრებს 24 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრაში „დინამო არენაზე" ვუმასპინძლებთ (დასაწყისი 21 საათზე), ოთხი დღის თავზე კი, იქვე, ამხანაგურ მატჩში ლატვიას შევხვდებით (18:00).

ცხადია, ზოგიერთი ლეგიონერი, ვინც გუშინ ითამაშა თავის კლუბში, ნაკრებს სამშაბათს შეუერთდება. შეკრების ძირითადი ნაწილი თბილისის ზღვაზე, „ზესტაფონის" საწვრთნელ ბაზაზე ჩაივლის, თუმცა ნაკრები, რა თქმა უნდა, „დინამო არენაზეც" ივარჯიშებს. დღეისთვის ვაისს ერთი ვარჯიში აქვს დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ ეროვნულ გუნდს, **თორნიკე ოქრიაშვილი** და **ლევან მჭედლიძე** გამოაკლდნენ. ორივე ტრავმირებულია, თუმცა ოქრიაშვილი, ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო, ისედაც ვერ ითამაშებდა სერბების წინააღმდეგ, ისევე, როგორც **ბუბა დაუშვილი.** მათ ნაცვლად ნაკრებს **ლადო დვალიშვილი** და **უჩა ლობჟანიძე** შეუერთდნენ.

სერბეთთან და ლატვიასთან მატჩებისთვის ვაისის ლაშქარი ასეთი შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები - **გიორგი ლორია** (კრ. სოვეტოვი, რუსეთი), **გიორგი მაკარიძე** (მორეირენშე, პორტუგალია), **როინ კვასხვაძე** (ტორპედო);

მცველები - **ოთარ კაკაბაძე (ესბიერგი, დანია), საბა კვირკველია** (ლოკომოტივი მ, რუსეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **დავით ხოჭოლავა** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **გიორგი ნავალოვსკი** (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), **ჯემალ ტაბიძე** (ურალი, რუსეთი), **გიორგი რეხვიაშვილი** (ლოკომოტივი თბ), **უჩა ლობჟანიძე** (ატირაუ, ყაზახეთი);

ნახევარმცველები - **ჯაბა კანკავა** (რეიმსი, საფრანგეთი), **ვაკო გვილია** (ბატე, ბელარუსი), **ნიკა კვეკვესკირი** (გაბალა, აზერბაიჯანი), **მურთაზ დაუშვილი** (დიოშდიორი, უნგრეთი), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი, რუსეთი), **ოთარ კიტეიშვილი** (დინამო თბ), **ვალერი ყაზაიშვილი** (ლეგია, პოლონეთი), **ჯაბა ჯიღაური** (ვარდარი, მაკედონია), **სანდრო კობახიძე** (გიოზთეფე, თურქეთი), **გიორგი არაბიძე** (შახტარი, უკრაინა);

თავდამსხმელები - **ვლადიმერ დვალიშვილი** (ატირაუ, ყაზახეთი), **ნიკა კაჭარავა** (ეთნიკოსი, (კვიპროსი), **გიორგი ქვილითაია** (რაპიდი, ავსტრია).

ალეკო კაკაურიძე

ქვილითაია და ხოჭოლავა ნაკრებში გოლით მოდიან

ს ანაკრებო პაუზის წინ ქართველმა ლეგიონერებმა ჯამში 6 გოლი გაიტანეს, აქედან ორი მათგანი ეროვნული გუნდის წევრია...

საფრანგეთი

ლიგა 2: დაბადების დღეზე უქულოდ დარჩა **ჯაბა კანკავა**, რომლის „რეიმსმაც" ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი წააგო ლიდერ „ლანსთან" - 0:2.

ესპანეთი

ლა ლიგა 1|2|3: **გიორგი აბურჯანია** სათადარიგო იყო, მისმა „სევილია ატლეტიკომ" კი სტუმრად 2:1 მოუგო „სარაგოსას".

გერმანია

II ბუნდესლიგა: მართალია, **აკაკი გოგიამ** ინდივიდუალური ვარჯიში დაიწყო, მაგრამ ჯერ გამოჯანმრთელებამდე შორია. ამიტომაც, „დინამომ" მის გარეშე აჯობა „ზანდჰაუზენს" - 2:0. **ლუკას ჰუფნაგელის** „ნიურნბერგი" დღეს ესტუმრება „უნიონს".

იტალია

სერია A: როგორც მოსალოდნელი იყო, **ლევან მჭედლიძემ** მორიგი მატჩი გამოტოვა, მისი „ემპოლი" შინ „ნაპოლისთან" 2:3 დამარცხდა.

ლეგა პრო: ტრავმამოშუშებულმა **ირაკლი შეყილაძემ** 90 წუთი ითამაშა „ტუტოკუოიოსა" და „პონტედერას" მატჩში - 0:0.

ცინცაძე, მან „იაგელონიასთან" თამაშში (0:0) ყვითელი ბარათი მიიღო. **ნიკა ძალამიძის** „ლენჩნა", რომელიც ბოლო ადგილზეა, სტუმრად ერთ-ერთ ლიდერ „ლეხს" დაუზავდა - 0:0. ნიკა 87-ე წუთზე გამოცვალეს. „ლეგიამ" სტუმრად 2:1 მოუგო გდანსკში „ლეხიას", **ვაკო ყაზაიშვილი** განაცხადში არ ყოფილა.

დანია

სუპერლიგა: დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი, ქართველ ლეგიონერთა სამივე გუნდი ექვსეულს მიღმა დარჩა. „სილკებორგი" შინ 1:3 დამარცხდა „კოპენჰაგენთან". **დავით სხირტლაძე** სათადარიგო იყო, მისმა გუნდმა საბოლოოდ მე-9 ადგილი დაიკავა. აი, დანარჩენი ორი „ქართული" გუნდი ელიტაში დარჩენისთვის იბრძოლებს. „ესბიერგი" „ჰორსენსს" 1:1 დაუზავდა. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ოთარ კაკაბაძემ** (გააფრთხილეს), **ბუდუ ზივზივაძე** 62-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. **ლაშა პარუნაშვილი** კი, რეგულარული სეზონი ისე დასრულდა, არ გამოჩენილა „ესბიერგში". „ვიბორგმა" 2:1 მოუგო „ოლბორგს", გამარჯვებულთა რიგებში მე-80 წუთზე შეცვალეს **მათე ვაწაძე**.

ავსტრია

ბუნდესლიგა: **გიორგი ქვილითაიამ** „რაპიდს" ქულა გადაურჩინა, მან 45-ე წუთზე თავურით გაქვითა „მატერსბურგთან" და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 1:1. ეს ქართველის მეხუთე გოლია ბუნდესლიგაში.

რეგიონალლიგა: აქაც გავიდა ქართული გოლი, **ლუკა ძიძიგურის** „კუფშტაინმა" 4:0 გაანადგურა „ალტახის" სამოყვარულო გუნდი, ქართველმა ფორვარდმა სეზონში მე-8 გოლი გაიტანა.

გიორგი ქვილითაია

ჰოლანდია

ერედივიზიე: არნემის „ვიტესი" ჩემპიონ პსვ-ს ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. „ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა.

პორტუგალია

პრიმეირა: **გიორგი მაკარიძის** „მორეირენშემ" 1:1 ითამაშა „ტონდელასთან". ქართველმა მეკარემ ხუთი ზუსტი დარტყმიდან 4 მოიგერია, „მორეირენშე" გასავარდნ ზონაში მყოფ მეტოქეს ისევ 4 ქულით უსწრებს.

სეგუნდა: ქართული დერბი არ შედგა, **რომან ჭანტურია** სათადარიგო იყო, მისი „ოლიანენშე" კი შინ **ავთო ებრალიძის** (90 წ) „ჟილ ვისენტესთან" დამარცხდა - 1:3.

პოლონეთი

ექსტრაკლასა: **გიორგი მერებაშვილის** (შეუცვლელად ითამაშა) „პლოცკმა" სტუმრად „ვისლასთან" დათმო 2:3, არადა, მატჩის მიწურულს 2:1-ს უგებდა. „არკას" განაცხადში გამოჩნდა **ლუკა ზარანდია**, თუმცა მისი დებიუტი პოლონეთში არ შედგა, მისმა გუნდმა კი სტუმრად „პიასტთან" 2:3 დათმო. „პოგონის" რიგებში 29-ე წუთზე გამოჩნდა **მათე**

ჩეხეთი

I ლიგა: „ტეპლიცემ" 3:0 მოუგო „პჟიბრამს". ტრადიციულად, სათადარიგოთა სკამიდან უყურა ამ შეხვედრას „ტეპლიცეს" მცველმა **ზურაბ ცისკარიძემ**. **ლევან ყენიას** „სლავია" სტუმრად დაუზავდა „ლიბერეცს", ლიდერის რიგებში ამ სეზონში ალბათ, ვეღარ ვიხილავთ ტრავმირებულ ქართველს.

სლოვაკეთი

ფორტუნა ლიგა: **გიორგი ბერიძის** „ტრენჩინი" 1:1 დაუზავდა „სენიცას". ქართველი ურიგოდ არ შეეგუა ახალ ჩემპიონატს, მან შეუცვლელად ითამაშა და საგოლე პასიც მიითვალა.

თურქეთი

I ლიგა: ელიტაში აღზევებისთვის მებრძოლი „გიოზთეფე" მოულოდნელად, 0:4 განადგურდა „ესკიშეჰირთან". სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **სანდრო კობახიძემ**.

ფინეთი

თასი: **ირაკლი სირბილაძის** კპვ „ილვესს" ესტუმრა, ტაიმის მერე 2:0-საც უგებდა, მაგრამ საბოლოოდ, 2:4 დამარცხდა და თასს დაემშვიდობა. ქართველმა ფორვარდმა, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, 43-ე წუთზე სტუმართა მეორე გოლი გაიტანა.

მაკედონია

I ლიგა: **ჯაბა ჯიღაურის** „ვარდარმა" სტუმრად გაანადგურა „მაკედონია". ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა.

კვიპროსი

I ლიგა: **ირაკლი მაისურაძის** (არ უთამაშია) „ერმისმა" 3:1 მოუგო „კარმიოტისას". **ნიკა კაჭარავას** (90 წ) და **გიორგი ილურიძის** (სათადარიგო) „ახნასი" კი შინ „ნეა სალამინასთან" 0:2 დამარცხდა.

რუსეთი

პრემიერლიგა: **ელგუჯა ლობჟანიძის** „ორენბურგი" სტუმრად „ანჟისთან" დაამარცხდა - 0:1. ჩვენებური 81-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. ქართველთა „ურალმა" შინ 1:0 დაამარცხა „რუბინი", თუმცა **ჯიმი ტაბიძე** მხოლოდ სათადარიგო იყო, ხოლო **გიორგი ჭანტურია** კვლავ ტრავმირებულია. მოსკოვში „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" მატჩს (1:1) **ვლადიმირ ვაისი** დაესწრო. **საბა კვირკველიამ** მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა, ხოლო ლიდერთა ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** 70-ე წუთზე გამოცვალეს.

„ჩემპიონატმა" საბას თამაში 7,5 ბალით შეაფასა, ხოლო ჯანოს 6,5 აკმარა. აქვე ვიტყვით, რომ **გიორგი ჯიქია** „სპარტაკში" სათადარიგო იყო. „კრილია სოვეტოვი" შინ 0:0 დაუზავდა „როსტოვს", მასპინძელთა გოლკიპერმა **გიორგი ლორიამ** კარი მშრალად შეინახა და „ჩემპიონატისგან" 7 ბალი დაიმსახურა.

ასეთივე ანგარიშით დასრულდა „კრასნოდარისა" და „უფას" მატჩი. მასპინძელთა რიგებში კიდევ კარგა ხანს არ იქნება სერიოზულად დაშავებული **თორნიკე ოქრიაშვილი**. იმავე მიზეზით ვერ თამაშობს ტულის „არსენალის" რიგებში **გია გრიგალავა**.

უკრაინა

პრემიერლიგა: **დავით ხოჭოლავამ** კიევში „დინამოს" გაუტანა 72-ე წუთზე, თუმცა მისი „ჩერნომორეცი" მაინც დამარცხდა მეტოქესთან - 1:2. ჩვენებურმა ყვითელი ბარათიც მიიღო. ქართველმა მცველმა 7-თვიანი პაუზის მერე გაიტანა სეზონში. „ზორიამ" სტუმრად **ჯაბა ლიპარტიას** გარეშე მოუგო „ვოლინს" 1:0.

ახალგაზრდული პირველობა: „დინამოსა" და „ჩერნომორეცის" დუბლების მატჩი 3:2 დასრულდა. 90-90 წუთი ითამაშეს დინამოელთა კაპიტანმა **ზურაბ ოჩიგავამ** და სტუმართა მცველმა **გიორგი გადრანმა**. **გიორგი არაბიძე** 72-ე წუთზე შეცვალეს „შახტარის" დუბლებში „ოლიმპიკთან" შეხვედრაში - 1:0. წაგებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლუკა ნადირაძემ**.

ბელარუსი

თასი: **ვაკო გვილიას** (82-ე წუთიდან ითამაშა) ბატე ნახევარფინალში გავიდა, მას მერე, რაც „მინსკს" 2:1 მოუგო.

ლიტვა

A ლიგა: **ლევან ჭაფოძის** (90 წ) „კაუნო" სტუმრად 0:1 დამარცხდა „ჟალგირისთან".

ლატვია

ვირშლიგა: ექსდილელმა **გიორგი ერისთავმა** სადებიუტო გოლი გაიტანა „ლიეპაიას" შემადგენლობაში, რომელმაც სტუმრად 2:1 მოუგო „იელგავას". 23 წლის ნახევარმცველმა მე-80 წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი, მან ყვითელი ბარათიც მიიღო. **ვასიკო ბიჩიაშვილს** არ უთამაშია გამარჯვებულთა რიგებში.

გაგრძელება მე-5 გვერდზე »

ტორპედო	2
კოლხეთი	1

19.03. ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 გურული (32), 1:1 ჯანელიძე (76), 2:1 მახარობლიძე (84. ტაბატაძის პასით)

ტორპედო (4-1-4-1): **რ. კვასხვაძე - ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე - გიგაური (79. კაპანაძე) - დოლიძე (70. ტულუში), კუხიანიძე, ბაბუნაშვილი (62. მამასახლისი), მახარობლიძე - საბანაძე.**

სათადარიგოები: **ქვილითაია, ადამაძე, მამასახლისი, საღრიშვილი, ნ. კვასხვაძე**

მწვრთნელი: **კახა ჩხეტიანი**

კოლხეთი (4-2-3-1): **თებიძე - ჟიშკარიანი (87. ლუკავა), გ. კილასონია, გოგონაია, უმა ოტიენო - კერძევაძე, ბოლქვაძე (63. ქებურია) - კორობკა, ჯანელიძე, დაფი - კოვტალიუკი.**

სათადარიგოები: **შერმადინი, კაკულია, კოკაია, ენდელაძე, ბუხაიძე**

მწვრთნელი: **გელა სანაია**

გაფრთხილება: **ბოლქვაძე (49), გიგაური (59), კორობკა (65), გოგონაია (65)**

გაძევება: **გოგონაია (69. კოლხეთი)**

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

მახარობლიძე, გამარჯვების გოლის მახარობელი

ქუთაისელთაგან გამარჯვების გოლი ბიძინა მახარობლიძემ გაიტანა

საწყის ორ ტურში მოპოვებული ერთადერთი ქულა, „ტორპედოს" ამბიციებისთვის შეუფერებელი შედეგი იყო და, რა გასაკვირია, რომ **კახა ჩხეტიანის** გუნდი პირველ საშინაო შეხვედრაში გამარჯვებას გეგმავდა.

თავისი მიზნები ჰქონდა ფოთის „კოლხეთსაც". **გელა სანაიას** შეგირდებმა ნინა ტურში „საბურთალოსთან" გაილაღეს და უქულოდ წასვლას ქუთაისიდანაც არ აპირებდნენ. შეხვედრა, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით მუჯირი** ესწრებოდა, საინტერესო, დაძაბული და კარგი საცქერი გამოდგა.

ქუთაისელებმა თავიდანვე კონტროლი დააწესეს ბურთზე და სახიფათოდაც უტევდნენ, მაგრამ საწყის წუთებში რეალური საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ. ზღვისპირელები თავს კარგად იცავდნენ, მეტოქეს მჭიდროდ ეთამაშებოდნენ, თავად კი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

ტაიმის შუაწელიდან „ტორპედომ" მეტოქეზე „დაწოლა" კიდევ უფრო გააძლიერა, ფლანგებზე აქტიურები იყვნენ **გრიგოლ დოლიძე** და **გიორგი ქიმაძე.** ქუთაისელები მთელი ძალებით უტევდნენ, გოლი მწიფდებოდა და მოვლენებიც ლოგიკურად განვითარდა - რამდენიმე სახიფათო შეტევის შემდეგ „ტორპედო" **გიორგი გურულმა** დააწინაურა.

რაც შეეხებათ ფოთელებს, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, პირველ ტაიმში მათ მასპინძელთა კარში არც დაურტყამთ.

მეორე ტაიმი გაცილებით დაძაბული გამოდგა. სანაიას გუნდი შესვენების შემდეგ მოედანზე მობილიზებული გავიდა, ფოთელებს დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ და გაცილებით თამამად თამაშობდნენ. მათ შეტევებს კარგად წარმართავდა **გიორგი ჯანელიძე**. ძალზედ აქტიური იყო **არფანგ დაფიც**, რომელმაც რამდენჯერმე გაამწვავა ვითარება, თუმცა, სტუმრები ძირითადად **მიკოლა კოვტალიუკის** მისამართით მაღალ გადაცემებზე აკეთებდნენ აქცენტს და უკრაინელიც ერთხელ ახლოს იყო გოლის გატანასთან...

მატჩი ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. სტუმრების მონდომება, წესით, **ლაშა გოგონაიას** გაძევებას (5-წუთიანი ინტერვალით ორი ყვითელი ბარათი მიიღო) უნდა ჩაეცხრო, თუმცა... ფოთელებმა სწორედ ამის შემდეგ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

ჯანელიძის გოლმა მასპინძლებს გეგმები აურია და დაძაბულობამ პიკს მიაღწია. „ტორპედო" მთელი ძალებით უტევდა, „კოლხეთი" კი თავს იცავდა და სწრაფ კონტრშეტევებზე აკეთებდა აქცენტს.

ქუთაისელებს გაუმართლათ და მალევე შეძლეს სტატუს-კვოს აღდგენა. **ბიძინა მახარობლიძემ**, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში აქტიური იყო, მოხდენილი თავურით შეაგდო და ქუთაისელები პირველი გამარჯვებით გაახარა.

მატჩის ტაიმლაინი

7' - მერაბ გიგაურის გადაცემის შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან ნიკოლოზ საბანაძე ურტყამდა სახიფათოდ, მაგრამ ბურთი გაბრიელ თებიძის ნადავლი აღმოჩნდა.

29' - გრიგოლ დოლიძემ მეტოქის საჯარიმოში საბანაძესთან გაითამაშა „კედელი" და ახლო მანძილიდან ძალზედ სახიფათოდ დაარტყა. ფოთელები გოლისგან მეკარე თებიძემ იხსნა.

31' - დოლიძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ვლადიმირ კორობკამ კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

32' - გოლი! ქიმაძის კუთხურის შემდეგ თებიძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე გიორგი გურულმა ანგარიში გახსნა -1:0.

53' - ბიძინა მახარობლიძის სახიფათო დარტყმა თებიძემ მოიგერია, დამატებაზე კი საბანაძეს მცველებმა შეუშალეს ხელი.

62' - მახარობლიძე საჯარიმოს შიგნიდან მეკარისგან შორეულ კუთხეში ძალიან სახიფათოდ ურტყამდა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით გადასცდა ხარიხას.

65' - დაფმა მარჯვენა ფლანგიდან მიკოლა კოვტალიუკს დაასვა ბურთი თავზე, მაგრამ უკრაინელმა ფორვარდმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

76' - ჯანელიძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა -1:1.

78' - ქიმაძის ჩაწოდებას მახარობლიძემ სახიფათო თავური მიაყოლა, თუმცა ბურთი მეკარემ მოიგერია.

84' - მარჯვენა ფლანგიდან ტაბატაძის ჩაწოდების შემდეგ მახარობლიძემ თავურით გამარჯვების გოლი გაიტანა - 2:1.

მატჩის შემდეგ

გელა სანაია, „კოლხეთის" მწვრთნელი: *„ქუთაისში თამაში ყოველთვის რთულია და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა ყოფილა. მასპინძლების მიერ გატანილი პირველი გოლი ჩვენს შეცდომას მოჰყვა. მეორე ტაიმში კაცნაკლული დავრჩით, მიუხედავად ამისა, ქულის მოპოვების შანსი მაინც გვქონდა, მაგრამ ისევ შეცდომა დავუშვით და მეორე ბურთი მივიღეთ. შუა კვირაში მძიმე სათასო პაექრობა გადავიტანეთ, ბათუმის „დინამოსთან" შეხვედრამ დიდი ძალები წაიღო და ეს დღევანდელ შეხვედრასაც დაეტყო."*

კახა ჩხეტიანი, „ტორპედოს" მწვრთნელი: *„საინტერესო თამაში გამოვიდა. უპირატესობას ვფლობდით, არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა და რომ გამოგვეყენებინა, მდგომარეობას არ გავირთულებდით. მეორე ტაიმში 7-წუთიანი ჩავარდნა გვქონდა. თამაშის ამ მონაკვეთში გოლიც მივიღეთ, მაგრამ, საბედნიეროდ, მალევე მოვახერხეთ დაწინაურება. მადლობა ბიჭებს მონდომებისთვის! მათმა შემართებამ შედეგი გამოიღო. ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გულშემატკივრებს, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურად გვქომაგობდნენ".*

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან

როცა ფეხბურთში მთავარი თავია

« მე-3 გვერდიდან

საბოლოოდ, ზესტაფონში ლოგიკამ იზეიმა. მოიგო უკეთესი შემსრულებლებით დაკომპლექტებულმა უკეთესმა გუნდმა, რომელსაც თითო პოზიციაზე ორი თანაბარი ძალის შემსრულებელი ჰყავს.

მატჩის გმირი

თამაშს დიდწილად ინდივიდუალისტები იგებენ. გუშინდელი მატჩი შესანიშნავად ჩაატარა გიორგი გაბედავამ და დუბლიც მიითვალა. ფაქტია, თავისი გაქანებით საქართველოს ჩემპიონატში მას ბევრი ვერ დაეტოლება. ზოგადად, მისი კარგი თამაში მხოლოდ გოლებით არ შემოიფარგლებოდა - უამრავი თავსატეხი შეუქმნა მოწინააღმდეგის დაცვას.

აქვე ვთქვათ დინო ჰამზიჩზეც. მან მთელი მატჩის განმავლობაში ზედამაჯერებლად ითამაშა, ხშირად ნამდვილი ლიბეროსავით ირჯებოდა. ჩვენს პირველობაზე მისი დონის კიპერი რომ სანთლით საძებარია, ეს ფაქტია.

ალეკო კაკაურიძე
ზესტაფონიდან

ეროვნული ლიგა 2
III ტური

ვიტ ჯორჯია-გაგრა	0:4
სიონი-ცხინვალი	2:1
მერანი-მეშახტე	5:0
გურია-სამგურალი	1:0
რუსთავი-ზუგდიდი	1:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სიონი	3	3	0	0	5-1	9
2. მერანი	3	2	1	0	8-1	7
3. ვიტ ჯორჯია	3	2	0	1	6-4	6
4. გაგრა	3	1	1	1	4-2	4
5. რუსთავი	3	1	1	1	6-6	4
6. მეშახტე	3	1	1	1	4-8	4
7. გურია	3	1	0	2	3-5	3
8. სამგურალი	3	1	0	2	4-6	3
9. ცხინვალი	3	0	1	2	4-7	1
10. ზუგდიდი	3	0	1	2	1-5	1

« მე-4 გვერდიდან

„ლიეპაიას" **თამაზ პერტია** წვრთნის. ქართველთა „რიგასი" სტუმრად დაუზავდა „ბაბიტეს". **ლაშა შერგელაშვილი** შესვენებაზე შეცვალეს, ხოლო **გიორგი დიაკვნიშვილი** მოედანზე 79-ე წუთზე გამოჩნდა.

აზერბაიჯანი

პრემიერლიგა: ბაქოური დერბი დაძაბული გამოდგა, საბოლოოდ **გიორგი ნავალოვსკის** (90 წ) „ნეფთჩიმ" 2:1 მოუგო **ზურაბ ხიზანიშვილის** (90 წ) „ინტერს". მატჩის მერე „ინტერის" თავკაცმა **ზაურ სვანაძემ** თქვა, რომ „ინტერს" არ გაუმართლდა, თორემ წაგებას არ იმსახურებდა. აზალ-მა „გაბალას" ქულები **ნუგზარ კვირტიას** წყალობით დააკარგვინა, ჩვენებური 68-ე წუთზე შევიდა და ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში - 1:1. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ნიკა კვეკვესკირმა** (გააფრთხილეს). **გიორგი გოროზიას** „ზირამ" 0:0 ითამაშა ლიდერ „ყარაბაღთან". ნორვეგიიდან აზერბაიჯანში გადაბარგებული ქართველი მოედანზე 76-ე წუთზე გამოჩნდა.

ქვილითაია და ხოჭოლავა ნაკრებში გოლით მოდიან

ესტონეთი

მეისტრილიგა: **ზაქარია ბეგლარიშვილის** (90 წ) „ფლორამ" შინ 2:0 მოუგო „პარნუს".

მოლდოვა

დივიზია ნაციონალა: **ირაკლი ჩომახაშვილის** (90 წ) „უნგენი" შინ 1:2 დამარცხდა „ზიმბრუსთან". **გუგა ფალავანდიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა „დაჩიას" შემადგენლობაში სტუმრად „მილსამისთან" დაპირისპირებაში - 0:0. ამ მატჩის განაცხადში გამოჩნდა 30 წლის გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** (დაჩია).

სომხეთი

პრემიერლიგა: **ირაკლი კვეკვესკირის** „ალაშკერტმა" სტუმრად 3:0 გაანადგურა „არარატი", ქართველს არ უთამაშია.

ყაზახეთი

პრემიერლიგა: III ტურში **კახა ცხადაძის** „ქაირათი" სტუმრად „თარაზს" დაუზავდა - 0:0. ოთარ მარცვალაძის „ორდაბასი" სტუმრად 1:0 მოუგო „აქტობეს". ქართველმა ფორვარდმა პირველ ტაიმში ითამაშა, შესვენებაზე ის გამოცვალეს. **ლადო დვალიშვილისა** და **უჩა ლობჟანიძის** „ატირაუ" შინ 0:1 დამარცხდა **ლაშა დვალის** „ირტიშთან", სამივე ქართველმა მოედანზე შეუცვლელად ითამაშა.

უზბეკეთი

UPFL: **კახა მახარაძის** „ლოკომოტივის" მატჩი „ბეკობოდთან" გადაიდო. **შოთა გრიგალაშვილის** დებიუტს „ოლმალიქში" ჯერაც ველით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სტუმარი

გრანტი, დილა და... სტალინი

რატომ ესტუმრა ებრაელი სპეციალისტი სტალინის სახლ-მუზეუმს?



ავრაამ გრანტი

წარმოუდგენელი ფაქტია - ლონდონის „ჩელსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** თბილისში იმყოფებოდა და... გორის „დილას" გულშემატკივრობდა. ცნობილი ებრაელი სპეციალისტი 18 მარტს „დინამო არენაზე" საქართველოს ეროვნული ლიგის მატჩს დაესწრო, რომელშიც თბილისის „დინამომ" „დილას" უმასპინძლა და 1:2 დამარცხა.

„გორის დილას მეწილეები ჩემი მეგობრები არიან და მათი და გუნდის მხარდასაჭერად ჩამოვედით. გამიხარდა, ასეთი პრინციპული შეხვედრა რომ მოიგეს", - ეს გრანტმა მატჩის შემდეგ გამართულ იმპროვიზებულ პრესკონფერენციაზე თქვა.

მისი ვიზიტისას თბილისში გავრცელდა ხმები, რომ ებრაელი სპეციალისტი იმ კომპანიის ერთ-ერთი თანამფლობელია, რომელიც „დილას" პატრონი გახდა. გრანტს კითხვა ამის შესახებ „ლელომ" დაუსვა:

„მე მხოლოდ ჩემი მეგობრების სტუმარი ვარ. „დილას" მფლობელებს გამარჯვებებს ვუსურვებ. იმედია, ეს წარმატებული პროექტი იქნება".

მართალია არარეალურია, მაგრამ გრანტს ასეთი კითხვაც დაუსვეს - შეესაძლებელია თუ არა „დილასთან" მისი თანამშრომლობა: *„ლაპარაკი არც ყოფილა გორის „დილას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ან მენეჯმენტში ჩემს მუშაობაზე".*

ვინ არის მისი აზრით ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი? გრანტის აზრით: *„ლიგის ბოლო სტადიაზე სუსტი გუნდები არ არსებობს. გადახედეთ სიას - „ბარსელონა", „რეალი", „ბაიერნი", „იუვენტუსი", მადრიდის „ატლეტიკო", ესენი ძალიან ძლიერი გუნდები არიან".*

გრანტი სხვადასხვა დროს მუშაობდა თელ-ავივისა და ჰაიფას „მაკაბიში", „პორტსმუთში", „ვესტ ჰემსა" და ბელგრადის „პარტიზანში". 2008 წელს „ჩელსიმ" მისი ხელმძღვანელობით ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა. 2014-17 წლებში წვრთნიდა განის ეროვნულ ნაკრებს.

გუშინ გრანტი გორშიც იმყოფებოდა, სადაც „დილას" ვარჯიშს დაესწრო, მერე კი, მოულოდნელად, **იოსებ სტალინის** სახლ-მუზეუმს ესტუმრა. საინტერესოა, რომ გრანტის წინაპრები რეპრესირებულები იყვნენ და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პოლონეთიდან საბჭოთა გულაგში გადაასახლეს. 1944 წელს, მამამისმა, მეერ გრანტმა უკრაინაში გადასვლა მოახერხა, საიდანაც 1947 წელს ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში წავიდა.

ავრაამ გრანტმა საქართველო გუშინ გვიან ღამით დატოვა...

მერაბ მამულაშვილი

პრემიერლიგა. XXIX ტური

ვესტ ბრომვიჩი-არსენალი 3:1

გოლები: 1:0 დოუსონი (12), 1:1 სანჩესი (15), 2:1 რობსონ-კანუ (55), 3:1 დოუსონი (75)

ვესტ ბრომვიჩი (4-2-3-1): ბ. ფოსტერი - დოუსონი, მაკოული, ევანსი, ნიომი - დ. ფლეტჩერი, ლივერმორი - ბრანტი (72. იაკობი), ჩადლი (90. ფილდი), მაკკლინი - რონდონი (55. რობსონ-კანუ).

არსენალი (4-2-3-1): ჩეხი (38. ოსპინა) - ბელერინი, მუსტაფი, კოსიელნი, მონრეალი - რემზი, ჯაკა - უოლკოტი (65. ჟირუ), ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანჩესი (78. ივობი) - უელბეკი.

მაყურებელი: 24 065

კრ. პალასი-უოტფორდი 1:0

გოლი: 1:0 დინი (68-ს. კ.)

კრ. პალასი (4-2-3-1): ჰენესი - ჯ. უარდი, ტომკინსი (83. დანი), სახო, შლუპი - კაბაი (87. საკო), მილოიევიჩი - ზაჰა, ფენეჩენი, თაუნსენდი (87. დელენი) - ბენტეკე.

უოტფორდი (4-5-1): გომეში - კეტკარტი, პრიოდლი, ქაბული, ბრიტოსი - იანმაატი (63. ამრაბატი), ქლევერლი (80. საჩისი), ბეჰრამი (46. დუკური), კაპუ, ნიანგი - დინი.

მაყურებელი: 25 109

ევერტონი-პალი 4:0

გოლები: 1:0 კალვერტ-ლიუინი (9), 2:0 ე. ვალენსია (78), 3:0 ლუკაკუ (90+1), 4:0 ლუკაკუ (90+4)

ევერტონი (4-1-4-1): რობლესი - კოულმენი, იაგიელკა, უილიამსი, ბეინსი - შნაიდერლინი (30. ბერი) - ბარკლი, თ. დევისი (77. ე. ვალენსია), გეიე, კალვერტ-ლიუინი (56. მორი) - ლუკაკუ.

პალი (5-4-1): იაკუპოვიჩი - ელაბდელაუი, რანოკია, მაგუაირი, კ. დევისი (64. გროსიცკი), რობერტსონი - მარკოვიჩი (86. ელმოჰამადი), ჰადლსტოუნი, ნდიაიე, კლუკასი - ერნანდესი (82. დიომანდი).

გაძევება: ჰადლსტოუნი (73. პალი)

მაყურებელი: 39 248

სტოკი-ჩელსი 1:2

გოლები: 0:1 ვილიანი (13), 1:1 უოლტერსი (38-პენ), 1:2 კეჰილი (87)

სტოკი (4-4-2): გრანტი - ბერდსლი, შოუკროსი, მარტინს ინდი, პიტერსი - არნაუტოვიჩი, ქემერონი, ალენი, სობი (90. კრაუჩი) - უოლტერსი, ბერაჰინო (61. დიუფი).

ჩელსი (3-4-3): კურტუა - ასპილკუეტა, დავიდ লুიზი, კეჰილი - მოზესი (70. ფაბრეგასი), კანტე, მატიჩი (82. ლოფტუს-ჩეკი), ალონსო - ვილიანი (88. ზუმა), პედრო, დიეგო კოშტა.

გაძევება: ბერდსლი (90+5)

მაყურებელი: 27 724

სანდერლენდი-ბარნლი 0:0

სანდერლენდი (4-3-3): პიკფორდი - ბ. ჯოუნსი, დენაიერი, ოში, ოვიედო - გიბსონი (74. ნდონგი), როდუელი, ლარსონი (78. ხაზრი) - იანუზაი, ბორინი, დეფო.

ბარნლი (4-4-2): ჰეტონი - ლოუტონი, კინი, მი, ს. უარდი - ბოიდი (74. ბრეიდი), ბარტონი, ჰენდრიკი, არფილდი - ბარნსი (65. ვოუკსი), ე. გრეი.

მაყურებელი: 41 518

ვესტ ჰემი-ლესტერი 2:3

გოლები: 0:1 მაჰრეზი (5), 0:2 ჰუთი (7), 1:2 ლანძინი (20), 1:3 ვარდი (38), 2:3 ა. აიუ (63)

ვესტ ჰემი (4-2-3-1): რერნდოლფი - ბაირემი, ფონტე, რიდი (18. სნოდგრასი), კრისუელი (73. მასუაკუ) - კუიატე, ობიანგი (67. ე. ფერნანდესი) - ა. აიუ, ლანძინი, ანტონიო - ე. ქეროლი.

ლესტერი (4-4-2): შმეიხელი - სიმპსონი, ბენალუანი, ჰუთი, ფუხსი - მაჰრეზი (87. ჩილუელი), დრინკუოტერი, ნდიდი, ოლბრაიტონი - ვარდი (76. სლიმანი), ოკაზაკი (76. მუსა).

მაყურებელი: 56 979

ბორნმუთი-სუონსი 2:0

გოლები: 1:0 მოუსონი (31 ს. კ.), 2:0 აფობე (72)

ბორნმუთი (4-4-2): ბორუეი - სმიტი, ფერგისონი, კუკი, დენიელსი - ფრეზერი (75. უილშირი), სიურმენი, გოსლინგი, პაფი (90. ინე) - აფობე, ჯ. კინგი (90. გრეიდელი).

სუონსი (4-1-4-1): ფაბიანსკი - ფერი, ფ. ფერნანდესი, მოუსონი, კინგსლი - კორკი - ჯ. აიუ (56. ნარსინგი), კი (67. რუტლიჯი), ტ. ქეროლი, სიგურდსონი - ფერნანდო ლორენტე (83. ბასტონი).

მაყურებელი: 11 297

მიდლსბრო-მანჩესტერ იუნ 1:3

გოლები: 0:1 ფელაინი (30), 0:2 ლინგარდი (62), 1:2 გესტედე (77), 1:3 ა. ვალენსია (90+3)

მიდლსბრო (4-3-3): ვალდესი - ბარაგანი, ესპინოსა, გიბსონი, ფაბიო - დე როონი, კლეიტონი, ლედბატერი (67. გესტედე) - დაუნინგი, რამირესი (68. ტრაორე), ნეგრედო.

მანჩესტერი (3-4-2-1): დე ხეა - ბაილი, სმოლინგი, ფ. ჯოუნსი - ა. ვალენსია, ფელაინი, ქერიკი, იანგი - მატა (69. როხო), ლინგარდი (80. მარსიალი) - რაშფორდი (90+4. დარმიანი).

მაყურებელი: 32 689

ტოტენჰემი-საუთჰემპტონი 2:1

გოლები: 1:0 ერიქსენი (14), 2:0 ალი (33-პენ), 2:1 უარდ-პროუსი (52)

ტოტენჰემი (3-4-2-1): ლორისი - ე. დაიერი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი - უოლკერი (78. ტრიპიე), ვანიამა, დემბელე, ბ. დევისი - ერიქსენი (86. იანსენი), ალი - სონი (75. უინქსი).

საუთჰემპტონი (4-2-3-1): ფ. ფოსტერი - სედრიკი, სტივენსონი, ოიშიდა, ბერტრანდი - ს. დევისი, რომეუ - ტადიჩი (69. ბუფალი), უარდ-პროუსი, რედმონდი (80. როდრიგესი) - გაბიადინი (32. ლონგი).

მაყურებელი: 31 697

მანჩესტერ სიტი-ლივერპული 1:1

გოლები: 0:1 მილნერი (51-პენ), 1:1 აგუერო (69)

სიტი (4-1-4-1): კაბალიერო - ფერნანდინიო, სტოუნზი, ოტამენდი, კლიში - ტურე (65. სანია) - სტერლინგი, დე ბრუინი, დავიდ სილვა, სანე (83. ფერნანდო) - აგუერო.

ლივერპული (4-3-3): მინოლე - კლაინი, მატიპი, კლავანი, მილნერი - ვეინალდუმი, ჩანი, ლალანა - მანე, კოუტინიო (73. ორიგი), ფირმინო (89. ლუკას ლეივა).

მაყურებელი: 55 097

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	28	22	3	3	59-21	69
2. ტოტენჰემი	28	17	8	3	55-21	59
3. მანჩესტერ სიტი	28	17	6	5	54-30	57
4. ლივერპული	29	16	8	5	61-36	56
5. მანჩესტერ იუნ	27	14	10	3	42-23	52
6. არსენალი	27	15	5	7	56-34	50
7. ევერტონი	29	14	8	7	51-30	50
8. ვესტ ბრომვიჩი	29	12	7	10	39-38	43
9. სტოკი	29	9	9	11	33-42	36
10. საუთჰემპტონი	27	9	6	12	33-36	33
11. ბორნმუთი	29	9	6	14	42-54	33
12. ვესტ ჰემი	29	9	6	14	40-52	33
13. ბარნლი	29	9	5	15	31-42	32
14. უოტფორდი	28	8	7	13	33-48	31
15. ლესტერი	28	8	6	14	33-47	30
16. კრ. პალასი	28	8	4	16	36-46	28
17. სუონსი	29	8	3	18	36-63	27
18. ჰალი	29	6	6	17	26-58	24
19. მიდლსბრო	28	4	10	14	20-33	22
20. სანდერლენდი	28	5	5	18	24-50	20

ბომბარდირები: 21 - რომელუ ლუკაკუ (ევერტონი); 19 - ჰარი კეინი (ტოტენჰემი); 18 - ალექსის სანჩესი (არსენალი); 17 - დიეგო კოშტა (ჩელსი); 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მანჩესტერ იუნ); 14 - ჯერმეინ დეფო (სანდერლენდი), დელე ალი (ტოტენჰემი).

ბუნდესლიგა. XXV ტური

დორტმუნდი-ინგოლშტადტი 1:0

გოლი: 1:0 ობამეიანგი (14)

დორტმუნდი (3-4-2-1): ბიურკი - პიშჩეკი, სოკრატისი, გინტერი - დურმი, კასტრო (83. მერინო), გერეირო (56. ვაიგლი), შმელცერი - პულიშიჩი (77. შიურლე), კაგავა - ობამეიანგი.

ინგოლშტადტი (3-4-2-1): ჰანსენი - მ. მატიპი, ბრეგერიე, ტისერანდი - ჰადერგონაი, კოენი (83. მულტჰაუპი), მორალესი (90. ჰინტერზეერი), ზუტნერი - ლეკიე, კიტელი (75. პ. გროსი) - ლესკანო.

მაყურებელი: 81 360

ვოლფსბურგი-დარმშტადტი 1:0

გოლი: 1:0 გომესი (45+1)

ვოლფსბურგი (4-2-3-1): კასტეელსი - ბლაშჩიკოვსკი, კნოხე, ლუის გუსტავო, ი. ჰორნი - ბაზური (80. ტრეში), გილავოგი - ვიეირინია, არნოლდი (46. ნტეპი/86. მაიორალი), მალი - გომესი.

დარმშტადტი (4-2-3-1): ფერნანდესი - სირიგუ (57. პლატე), ბანგაარდი, ზულუ, ჰოლანდი - ჰამით ალთინთოფი, გინდორფი - შტაინჰიოფერი, სემი, ჰელერი (85. კამავუაკა) - შიპლოკი (69. ჩოლაკი).

მაყურებელი: 28 104

კიოლნი-ჰერტა 4:2

გოლები: 1:0 ოსაკო (6), 2:0 მოდესტე (35), 3:0 მოდესტე (37), 3:1 იბიშევიჩი (50-პენ), 4:1 მოდესტე (63), 4:2 ბრუკსი (69)

კიოლნი (4-2-2-2): ტ. ჰორნი - ოლკოვსკი, მარო, სუბოტიჩი, ი. ჰექტორი - იოიჩი (77. სიორენსენი), მ. ლემანი - კლემენსი, ცოლერი (62. ჰიოგერი) - ოსაკო, მოდესტე.

ჰერტა (4-2-3-1): იარშტაინი - პეკარიკი, ს. ლანგკამპი, ბრუკსი, პლატენჰარდტი - შტარკი, სკიელბრედი (46. ალაგუე) - ჰარაგუჩი (73. მიტელშტედტი), დარიდა, კალუ (30. ვაიზერი) - იბიშევიჩი.

მაყურებელი: 49 500

აუგსბურგი-ფრაიბურგი 1:1

გოლები: 0:1 ნიდერლეხნერი (30-პენ), 1:1 სტაფილიდისი (38)

აუგსბურგი (3-5-2): ჰიტცი - დანსო (73. რიდერი), გუველეუფი (29. კიჩარი), ჰინტერეგერი - ტაიგლი, მორავეკი (64. ბობადილია), ლაიტნერი, კორი, სტაფილიდისი - ჟი, კოო.

ფრაიბურგი (3-5-1-1): შვოლოვი - გულდე, შუსტერი, კემპფი - კიუბლერი (46. იგნიოვსკი), ჰაბერერი, ჰიოფლერი (37. აბრაში), ფრანტეცი, გიუნტერი - ფილიპი (87. პეტერსენი) - ნიდერლეხნერი.

მაყურებელი: 28 843

ვერდერი-ლაიპციგი 3:0

გოლები: 1:0 იუნუზოვიჩი (34), 2:0 გრილიჩი (59), 3:0 კაინცი (90)

ვერდერი (3-5-2): ვიდვალდი - ველიკოვიჩი, სანე, მოისანდერი - გებრე სელასიე, გრილიჩი (73. კაინცი), დელანი (83. მ. ეგშტაინი), იუნუზოვიჩი, ბაუერი - ბარტელსი, პისარო (73. იოჰანსონი).

ლაიპციგი (3-4-3): გულაჩი - უპამეკანო, ორბანი, კომპერი (56. ზელკე) - შმიტცი (81. ბურკი), ილსანკერი, დემე, ჰალსტენბერგი - ზაბიტცერი, ვერნერი, ფორსბერგი.

მაყურებელი: 41 384

ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი 1:0

გოლი: 1:0 ვაგნერი (62)

ჰოფენჰაიმი (3-5-2): ბაუმანი - ბიჩაქჩიჩი, ზიულე, ჰიუბნერი - ტოლიანი (46. შვეგლერი), დემირბაი (85. პოლანსკი), რუდი, კრამარიჩი, ცუბერი - ვაგნერი, სალაი (58. ამირი).

ლევერკუზენი (4-2-2-2): ლენო - ჰილბერტი, თოფრაქი, დრაგოვიჩი, ჰენრიხსი - ბაუმგარტლინგერი (82. კისლინგი), კამპლი - ბელარაბი, ბრანდტი (71. ბაილი) - მეჰმედი, ფოლანდი (71. ჩიჩარიტო).

მაყურებელი: 28 117

აინტრახტი-ჰამბურგი 0:0

აინტრახტი (3-4-1-2): ჰრადეცკი - აბრაამი, რუსი (81. ტავათა), მ. ჰექტორი - ჩენდლერი, მასკარელი, გაჩინოვიჩი, ოჩიპკა - ფაბიანი - ჰრგოტა (84. ა. მაიერი), რებიჩი (90. დ. ბლუმი).

ჰამბურგი (4-2-3-1): ადლერი - დიკმაიერი, კ. პაპადოპულოსი, იუნგი, ოსტფოლეკი - გ. საკაი, ეკდალი - ჰანტი (71. ნ. მიულერი), ჰოლტბი (60. გრეგორიჩი), კოსტიჩი - ვუდი (91. ლასოგა).

მაყურებელი: 51 500

მაინცი-შალკე 0:1

გოლი: 0:1 კოლაშინაცი (50)

მაინცი (4-2-3-1): ლიოსლი - დონატი, ბუნგერტი, რამალიო, ბროზინსკი - გბამინი, ლატცა (82. მუტო) - იოზუნალი, ბოიანი (61. კუაისონი), ჟაირო (61. დე ბლაზისი) - კორდობა.

შალკე (4-2-3-1): ფერმანი - კერერი, ჰიოვედესი, ბადუშტუბერი, კოლაშინაცი - გორეტცკა (46. ბენტალები), სტამბული - შიოპფი, მ. მაიერი (62. დ. კალიჯური), ჩუმო-მოტინგი - ბურგშტალერი (83. დი სანტო).

მაყურებელი: 30 847

გლადბახი-ბაიერნი 0:1

გოლი: 0:1 თ. მიულერი (63)

გლადბახი (4-2-2-2): ზომერი - ელვედი, ა. კრისტენსენი, ვესტერგაარდი, ვენდტი - იანჩკე (73. დრმიჩი), შტრობლი - ჰერმანი (64. აზარი), ჰანი (81. ბენესი) - რაფაელი, ჰოფმანი.

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ხავი მარტინესი, ჰუმელსი, ალაბა - ჩაბი ალონსო (77. კიმიხი), ტიაგო ალკანტარა - რობენი (85. რენატო სანჩესი), თ. მიულერი, რიბერი (73. კომანი) - ლევანდოვსკი.

მაყურებელი: 54 014

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაიერნი	25	19	5	1	61-13	62
2. ლაიპციგი	25	15	4	6	43-28	49
3. დორტმუნდი	25	13	7	5	54-27	46
4. ჰოფენჰაიმი	25	11	12	2	46-25	45
5. ჰერტა	25	12	4	9	34-30	40
6. კიოლნი	25	9	10	6	37-29	37
7. აინტრახტი	25	10	6	9	26-27	36
8. ფრაიბურგი	25	10	5	10	32-42	35
9. შალკე	25	9	6	10	32-27	33
10. გლადბახი	25	9	5	11	30-34	32
11. ლევერკუზენი	25	9	4	12	37-40	31
12. მაინცი	25	8	5	12	33-41	29
13. ვერდერი	25	8	5	12	34-44	29
14. აუგსბურგი	25	7	8	10	24-34	29
15. ვოლფსბურგი	25	8	5	12	23-34	29
16. ჰამბურგი	25	7	6	12	24-46	27
17. ინგოლშტადტი	25	5	4	16	23-42	19
18. დარმშტადტი	25	4	3	18	17-47	15

ბომბარდირები: 23 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი); 22 - ანტონი მოდესტე (კიოლნი); 21 - რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი); ტიმო ვერნერი (ლაიპციგი).

*** ლიონელ მესი პრიმერას გუნდებიდან პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ბოლო 8 სეზონის განმავლობაში (ყველა შეჯიბრებაში) თითოეულში 40 და მეტი გოლი გაიტანა.**

*** ლონდონის „არსენალმა“ 5 ტურში 4 მატჩი ბოლოს 1995 წელს დათმო და ახლა ეს ანტირეკორდი გაიმეორა.**

*** თომას მიულერმა ბუნდესლიგაში 848-წუთიანი უგოლო სერია, როგორც იქნა, დაასრულა.**

*** ჯიჯი ბუფონმა „იუვენტუსის“ რეკორდი დაამყარა - მან სერია A-ში 39 681 წუთი ითამაშა და ლეგენდარულ ფორვარდ ჯამპიერო ბონიპერტის გაასწრო.**

დღეიდან თვის ბოლომდე ევროპაში სანაკრებო პაუზაა. სანამ სანაკრებო ბატალიებზე გადავალთ ამ უქმეების საკლუბო ჯახები გავიხსენოთ. „ბაიერნის“ საჩემპიონო სინი კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა; ესპანეთში საჩემპიონო რბოლას მესამე ძალა (სევილია) რეალურად ჩამოსცილდა; ინგლისშიც სულ უფრო იოლი ხდება კონტეს „ჩელსის“ ჩემპიონობის წინასწარმეტყველება.

ბაიერნი, იუვე და პაუზაზე საჩემპი

პრემიერლიგა: ახლა ჩელსის კუდზე ისხდებოდნენ...

„ვესტ ბრომვიჩთან“ წაგების შემდეგ „არსენალი“ და მისი მწვრთნელი მორიგი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ. გუნდი, რომელსაც შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს და ამ კომპონენტში ტოლს არ უდებს კონკურენტებს (მეტიც, ზოგს სჯობნის კიდევ), სერიოზულად რისკავს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩეს, ეს კი ძალიან ბევრ რამეს და ვინმეს შეცვლის „ემირეიტსზე“...

„ისეთი დაცვის გამო, როგორიც „არსენალს“ „ვესტ ბრომვიჩთან“ მატჩში ჰყავდა, ნებისმიერი მწვრთნელი გადადგებოდა, ან თუ არა და, აუცილებლად გადააყენებდნენ“, - წერს „დეილი მეილის“ მიმომხილველი **ჯეიმი რედნაპი**. მართალია ეს კაცი. ესეც არ იყოს, ბურთის კონტროლის მაჩვენებელი 77 პროცენტი რომ გაქვს და ორი ბურთით მარცხდები, აქ დიაგნოზი ძალიან მძიმე და საგანგაშოა.

რა გასაკვირია და, არც ამ თამაშს ჩაუვლია საპროტესტო ბანერების გარეშე, რომელზეც მხოლოდ ერთი მოთხოვნა იყო - გადადგეს **არსენ ვენგერი!** ისიც, ეტყობა, სინდისმა შეანუხა მორიგი უღირსი თამაშის შემდეგ და ასეთი რამ ბრძანა - უკვე გადავწყვიტე, რასაც ვიზამ სეზონის დასრულების შემდეგ, ოღონდ, ამ გადაწყვეტილებას ცოტა ხანში გავასაჯაროებო...

ორი საინტერესო სტატისტიკური მონაცემიც: „არსენალმა“ ხუთიდან 4 მატჩი ბოლოს 1995 წლის აპრილში წააგო; **ალექსის სანჩესს** კი უკვე 18 გოლი და 9 საგოლე პასი დაუგროვდა, რაც მიმდინარე პრემიერლიგაში უბადლო მაჩვენებელია.

„ჩელსი“ ახლა თავად თუ დაკარგავს ჩემპიონობას, თორემ მისი დამწევი აღარავინაა. თითოეული გამარჯვება (ბოლო 23 მატჩიდან 20 მოგება ყველა ტურნირში) **ანტონიო კონტეს** გუნდს მთავარ ინგლისურ ტიტულთან აახლოებს. შაბათსაც, „არისტოკრატებმა“, ტრავმირებული **ედენ აზარის** გარეშე, მძიმე ბრძოლაში გამოსტაცეს 3 ქულა „სტოკს“, რომელიც დანებებას ბოლო წუთამდე არ აპირებდა...

ამ დროს, „ჩელსის“ სულზე მიუსწრო **გარი კეჰილის** გოლმა, რაც ლონდონელთა კართან უშედეგო 5-წუთიან შტურმს მოჰყვა. ამით, გამოცდილმა ცენტრალურმა მცველმა ერთგვარად გამოისყიდა „დანაშაული“ პირველ ტაიმში მისი მიზეზით დანიშნული პენალტის გამო...

გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ბევრი იომა **დიეგო კოშტამ**, რომელიც სასარგებლო იყო წინა ხაზზე სწორი და სწრაფი გადაადგილებების წყალობით. მანვე არ უღალატა თავის პროვოკაციულ ბუნებასაც და ხშირად გაწევ-გამოწევაში იყო „სტოკის“ მცველებთან, რომელთაგან ორს ყვითელი ბარათი აჰკიდა, თუმცა ვერც თავად დაუძვრა გაფრთხილებას.

ნეტავ, ასეთი რა დაეშავა **კლაუდიო რანიერიმ**, რომ მისი წასვლის შემდეგ „ლესტერმა“ ზედიზედ 3 მატჩი მოიგო პრემიერლიგაში („ვესტ ჰემთან“ შაბათის გამარჯვება იყო „მელიების“ პირველი საგარეო 3 ქულა მიმდინარე პრემიერლიგაში), ყველა ამ შეხვედრაში 3-3 გოლი გაიტანა და თან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გავიდა!

ბარაქალა **კრეიგ შექსპირს!** მაგრამ მარტო მისი დამსახურება არ უნდა იყოს ჯერაც მოქმედი ჩემპიონის ფერფლიდან აღდგენა. ქათქათა ძაფითაა ეს ნაკერი და მართალი იყო ცნობილი მწვრთნელი **გრემ საუნესი**, გასულ კვირას „ლესტერის“ ფეხბურთელები რანიერის წინააღმდეგ შეთქმულებაში რომ დაადანაშაულა...

„ევერტონმა“ ზედიზედ მე-6 საშინაო მატჩი მოიგო და ახლა ერთი გამარჯვება აშორებს 2014 წლის რეკორდის გამეორებასთან. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე დუბლი შეასრულა **რომელუ ლუკაკუმ**, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რამდენად ფასეული ფეხბურთელია „გუდისონ პარკზე“. გასულ კვირას მან უარი უთხრა „ევერტონს“ კლუბის ისტორიაში უძვირეს კონტრაქტზე (5 წელი და 140 ათასი ფუნტი კვირაში) და საინტერესოა, ეს ორი გოლი თუ ასწევს მის ფასს ბოსების თვალში?

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრემიერლიგაში მე-600 თამაში მოიგო და პირველად, ბოლო 184 დღის განმავლობაში მე-5 ადგილზე აღზევდა. არადა, ეს ხდება იმ ფონზე, როცა **ჟოზე მოურინიოს** სამწყსოს აგერ უკვე 23 ოქტომბრის მერე არ წაუგია საჩემპიონატო მატჩი.

ტრავმირებული **ჰარი კეინის** გარეშე მოთამაშე „ტოტენჰემმა“ რთულ ბრძოლაში დაამარცხა „საუთჰემპტონი“ და „ჩელსისთან“ 10-ქულიანი დეფიციტი შეინარჩუნა, თუმცა მისი გაბათილების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს. ეს იყო „მამლების“ ზედიზედ მე-10 გამარჯვება „უაით ჰართ ლეინზე“, რაც უგრძესი სერიაა 1987 წლის (ზედიზედ 14) შემდეგ.

ტური დასრულდა ძალზე საინტრიგო მატჩით - „მანჩესტერ სიტი“ და „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგის ზონაში დამკვიდრებას ლამობენ და ახლა ერთი ფეხის დაცდენაც საკმარისია, რომ გზაზე გამგელებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გადაეყაროონ. ამდენად, ფრე შეიძლება არც **პეპ გვარდიოლას** აწყობდა და არც - **იურგენ კლოპს**.

თუმცა ამ შემთხვევაში იმუშავა ლოგიკამ - წაგებას არც ერთი მათგანი არ იმსახურებდა. არადა, გახსოვთ ის მომენტი, ვიდრე **სერხიო აგუერო** გაათანაბრებდა, **ადამ ლალანამ** 5-6 მეტრიდან 100-პროცენტიანი შანსი რომ გაანიავა?

სერხიო აგუეროს გოლმა „სიტის“ „ლივერპულთან“ მხოლოდ ფრე მოუტანა

ჩელსი სანაკრებო ონო გაანწყობით გადიან

ლეო მესიმ „ვალენსიას“ კარში დუბლი შეასრულა

„სიტიმ“ მე-7 წაუგებელი მატჩი ჩაატარა, რაც გვარდიოლას თავკაცობით ყველაზე გრძელი სერიაა. „ლივერპულმა“ კი პირველი ექვსეულის გუნდებთან გამართულ 10 მატჩში 20 ქულას მოუყარა თავი, რაც საუკეთესო შედეგია, მაშინ, როცა ბოლო ექვსეულის კლუბებთან 19 ქულა აქვთ აღებული. წარმოიდგინეთ, კლოპის ბიჭებს აუტსაიდერებთან ამდენი ქულა რომ არ გაეფლანგათ, ახლა „ჩელსის“ კუდზე ისხდებოდნენ...

მომდევნო ტური

1 აპრილი: **ლივერპული-ევერტონი, ბარნლი-ტოტენჰემი, ჩელსი-კრ. პალასი, ჰალი-ვესტ ჰემი, ლესტერი-სტოკი, მანჩესტერ იუნ-ვესტ ბრომვიჩი, უოტფორდი-სანდერლენდი, საუთ-ჰემპტონი-ბორნმუთი;**

2 აპრილი: **სუონსი-მიდლსბრო, არსენალი-მანჩესტერ სიტი.**

ლა ლიგა: როგორ აორთქლდა სევილიას საჩემპიონო შანსი

კიკე სეტიენის უდავოდ ყოჩაღმა „ლას პალმასმა“ „ყვითელ წყალქვეშა ნავს“ **კევინ პრინს ბოატენგის** წყალობით, სამმატჩიანი მოგებათა სერია შეუწყვიტა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსები შეუმცირა. ბუნებრივია, ამაში დიდწილად, **ვიქტორ რუისიცაა** დამნაშავე, რომელმაც იგივე ბოატენგი საჯარიმოს ხაზთან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოცელა და „ვილიარეალი“ 10 კაცის ამარა დატოვა, მაგრამ მცველს სხვა გზა არ რჩებოდა, განელი მეკარესთან პირისპირ გადიოდა, ის კი მაღალი კლასის ფეხბურთელია და ასეთ შანსებს არ ანიავებს. მანამდე ექსშალკელმა და ექსმილანელმა **დავიდ კასტელიანოს** შესანიშნავი ჩაწოდება გამოიყენა და გამარჯვების გოლი მხრით (!) გაიტანა. თამაშის მერე სეტიენმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელობას ვერაფრით შეუთანხმდა და მაისის ბოლოს „ლას პალმასს“ დატოვებს, უცნაურია...

ბასკურ იპურუაში „ეიბარისა“ და „ესპანიოლის“ შეხვედრიდან ერთადერთი, რისი გამოყოფაც ღირს, სტუმარი **ხოსე ხურადოს** ულამაზესი გოლია.

მართალია, **კრიშტიანო რონალდოს** ბილბაოში არ გაუტანია, მაგრამ პორტუგალიელს ურიგოდ არ უთამაშია - ბოლოს და ბოლოს, ორივე საგოლე პასი მის ანგარიშზეა. თანაც, **ქარიმ ბენზემასა** და **კაზემიროს** იმ სიტუაციებში გატანაზე მეტად აცილება გაუჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა, ყველას გაუკვირდა, როცა **ზინედინ ზიდანმა** თავისი სუპერვარსკვლავი გამოცვალა. „რეალმა“ „ბილბაო“ მძიმე ბრძოლაში დაამარცხა და ახლა უმძიმესი აპრილი ელის, რომლის განმავლობაშიც „ატლეტიკოს“, „ბარსელონასა“ და ორჯერ „ბაიერნს“ დაუპირისპირდება. მომდევნო ტურში „სამეფო კლუბს“ გამარჯვების გოლის ავტორი კაზემირო დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება. ბენზემას გოლი 119-ე იყო ლა ლიგაში ფრანგისთვის და ის „რეალის“ ლეგენდა **ამანსიოს** დაეწია და მასთან ერთად მეათე ადგილს იყოფს კლუბის ისტორიაში. პირველი, რა თქმა უნდა, რონალდოა 280 გოლით.

ზინედინ ზიდანი (რეალი): *„11 ტური დარჩა და ჩვენ ვლიდერობთ, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. ამ სტადიონზე გამარჯვების მიღწევა ძალიან ძნელია. ბევრი გარჯა დაგვჭირდა და გუნდმაც მტკიცე ხასიათი გამოავლინა. ვიცით, რომ წინ ბევრი ასეთი მძიმე მატჩი გველის. რაც შეეხება რონალდოს შეცვლას, ამაში არაფერია გასაკვირი. კრიშტიანოს შეცვლა ისევე შეიძლება, როგორც ნებისმიერი სხვა ფეხბურთელის. თავად კმაყოფილია, რადგან ჩვენ გავიმარჯვეთ. დღეს შემტევმა სამეულმა ძალიან დიდი ენერგია შეალია მატჩს, ამიტომ ქარიმი და კრიშტიანო გამოვცვალეთ“.*

ბასკური დერბი ვიტორიაში „ალავესმა“ 1:0 მოიგო, „რეალ სოსიედადის“ კარში გოლის გატანის შემდეგ ბრაზილიელმა **დეივერსონმა** ლამის ბოლომდე ჩაიხადა ტრუსი და ახლა ამისთვის შესაძლოა, ჯარიმაც კი დააკისრონ. ამ შეხვედრაში დეივერსონმა და **მარკოს ლორენტემ** მართლაც საუკეთესოდ ითამაშეს, სტუმართა გუნდიდან კი თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ეს უდავოდ გოლკიპერი **ხერონიმო რულია**.

„ოსასუნას“ თამაშის ცქერა მხოლოდ სინანულს თუ იწვევს, ნავარული კლუბი ძალიან სუსტად ასპარეზობს და ცალი ფეხით ქვედა ლიგაშია. სევილიაში „ბეტისმა“ ისე აჯობა „ოსასუნას“, რომ ოფლიც არ მოუდენია - ორთვენახევრიანი პაუზის მერე, როგორც იქნა, გაიტანა ვეტერანმა **რუბენ კასტრომ**.

საოცარია, მაგრამ ფაქტია - სუპერშემტევი **ხორხე სამპაოლისგან** არაფერი დარჩა, არგენტინელმა სიფრთხილეს მოუხშირა და... ჩემპიონთა ლიგაზეც და ლა ლიგაშიც ამით მხოლოდ წააგო. „ატლეტიკოსთან“ მატჩში მან **სტევან იოვეტიჩი** მხოლოდ მეორე ტაიმში შემოუშვა, „სევილიამ“ კი პირწმინდად დათმო **დიეგო სიმეონეს** გუნდთან. ახლა „ატლეტიკო“ მხოლოდ ორი ქულითღა ჩამორჩება „სევილიას“. და კიდევ ერთი - ესპანური მედია ამტკიცებს, რომ **სტივენ ნ'ზონზის** „სევილია“ ამ ზაფხულში დაკარგავს, მას „იუვენტუსი“ 40 მილიონ ევროდ წაიყვანს.

ხორხე სამპაოლი (სევილია): *„დიდი ხანია, არ წაგვიგია. უნდა ვაღიაროთ, რომ ამით „სევილიას“ საჩემპიონო შანსები აორთქლდა. „რეალს“ 8 ქულით ჩამოვრჩებით და რე ზერვში მათ კიდევ თამაში აქვთ. მთავარია, ჩემპიონთა ლიგის საგზური ისე მოვიპოვოთ, პლეი ოფი არ დაგვჭირდეს“.*

6-გოლიანი თრილერი ვიხილეთ „კამპ ნოუზე“, თუმცა „ვალენსია“ თითქმის უშანსოდ იყო, რადგან პირველ ტაიმში **ელიაკიმ მანგალა** გაუძღვეს. **ლეო მესიმ** დუბლი შეასრულა და ლა ლიგაში გოლების რაოდენობა 25-მდე გაზარდა.

მომდევნო ტური

31 მარტი: **ესპანიოლი-ბეტისი**;

1 აპრილი: **ვილიარეალი-ეიბარი, ოსასუნა-ბილბაო, რეალ სოსიედადი-ლეგანესი, მალაგა-ატლეტიკო**;

2 აპრილი: **სევილია-სპორტინგი ხ, რეალი-ალავესი, ვალენსია-დეპორტივო, გრანადა-ბარსელონა, სელტა-ლას პალმასი**.

გაგრძელება მე-8 გვერდზე »

ლიგა 1. XXX ტური

მეცი-ბასტია 1:0

გოლი: 1:0 სიონი (46 ს. კ.)

ლილი-მარსელი 0:0

ნანტი-ნიცა 1:1

გოლები: 1:0 სალა (22), 1:1 სერი (28)

ნანსი-ლორიანი 2:3

გოლები: 1:0 მაუსა (28), 2:0 დია (42), 2:1 მუკანჯო (66), 2:2 ლაუტოა (86), 2:3 მვუემბა (93)

ბორდო-მონპელიე 5:1

გოლები: 1:0 როლანი (25), 2:0 სანკარე (29), 3:0 ვადა (32-პენ), 3:1 ბუდებუზი (47-პენ), 4:1 როლანი (76), 5:1 მალკომი (91)

გაძევება: კონგრე (82. მონპელიე)

ტულუზი-რენი 0:0

გაძევება: ბლინი (62. ტულუზი)

ანჟერი-გენგამი 3:0

გოლები: 1:0 ბამბა (63), 2:0 მანგანი (69), 3:0 დიედიუ (83)

კაენი-მონაკო 0:3

გოლები: 0:1 მბაპე (13), 0:2 ფაბინიო (49-პენ), 0:3 მბაპე (81)

დიჟონი-სტ. ეტიენი 0:1

გოლი: 0:1 ვერეტო (77)

პსჟ-ლიონი 2:1

გოლები: 0:1 ლაკაზეტი (6), 1:1 რაბიო (34), 2:1 დრაქსლერი (40)

პსჟ (4-3-3): ტრაპი - ორიე, მარკინიოსი, ტ. სილვა, მაქსველი - ვერატი (89. ტ. მოტა), რაბიო, პასტორე (79. ლუკასი) - დი მარია, კავანი, დრაქსლერი (54. მატუიდი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მონაკო	30	22	5	3	87-26	71
2. პსჟ	30	21	5	4	60-21	68
3. ნიცა	30	18	10	2	48-24	64
4. ლიონი	29	16	2	11	60-34	50
5. მარსელი	30	13	7	10	43-37	46
6. ბორდო	30	12	10	8	42-37	46
7. სტ. ეტიენი	30	11	11	8	34-24	44
8. რენი	30	9	12	9	28-33	39
9. ანჟერი	30	11	6	13	31-38	39
10. გენგამი	30	10	8	12	37-39	38
11. ნანტი	30	10	8	12	28-44	38
12. ტულუზი	30	9	10	11	32-33	37
13. მეცი	29	9	8	12	29-53	35
14. ლილი	30	9	7	14	29-37	34
15. მონპელიე	30	8	9	13	43-54	33
16. კაენი	30	9	5	16	31-51	32
17. დიჟონი	30	6	10	14	38-47	28
18. ნანსი	30	7	7	16	21-40	28
19. ბასტია	30	5	10	15	24-44	25
20. ლორიანი	30	7	4	19	32-61	25

შენიშვნა: მეცი - 2 ქულა

ბომბარდირები: 27 - ედინსონ კავანი (პსჟ); 23 - ალექსანდრ ლაკაზეტი (ლიონი); 16 - რადამელ ფალკაო (მონაკო), ბაფეტიმბი გომისი (მარსელი).

ლა ლიგა. XXVIII ტური

ლას პალმასი-ვილიარეალი 1:0

გოლი: 1:0 ბოატენგი (10)

ლას პალმასი (4-2-3-1): რაული - სიმონი, მ. ლემოსი, ბიგასი, დ. კასტელიანო - მესა, ვ. გომესი - მ. გარსია (59. მომო), ვიერა, ტანასუ (82. ჰალილოვიჩი) - ბოატენგი (73. ხესე)

ვილიარეალი (4-2-3-1): ა. ფერნანდესი - მარიო გასპარი, მუსაჩო, რუისი, ხ. კოსტა - ბრუნო სორიანო, ტრეგეროსი - კასტელიეხო (24. ალვარო), რ. სორიანო (83. ბაკამბუ), ჯონ. დოს სანტოსი - სანსონე (67. ბორე)

გაძევება: რუისი (19)

მაყურებელი: 18 717

ეიბარი-ესპანიოლი 1:1

გოლები: 1:0 კიკე (20), 1:1 ხურადო (50)

ეიბარი (4-4-2): იოელი - კაპა, რამისი, ლეჟონი, არბილია - პედრო ლეონი, ესკალანტე, დ. გარსია, ინუი (81. ბებე) - კიკე (75. პენია), ენრიჩი

ესპანიოლი (4-4-2): დიეგო ლოპესი - ხ. ლოპესი, ო. დუარტე, დ. რეიესი, კარიკოლი - ე. პერესი (66. როკა), დიოპი (53. ვ. სანჩესი), დ. ლოპესი, ხურადო - კაისედო (82. ა. ვასკესი), ჟ. მორენო

მაყურებელი: 5 340

ბილბაო-რეალი 1:2

გოლები: 0:1 ბენზემა (25), 1:1 ადურისი (65), 1:2 კაზემირო (68)

ბილბაო (4-2-3-1): არიზაბალაგა - დე მარკოსი, ი. ალვარესი, ლაპორტი, ბალენზიაგა - იტურასპე, ბენიატი (79. მ. რიკო) - ვილიამსი, რაულ გარსია (86. სუსაეტა), ლეკუე (59. მუნიაინი) - ადურისი

რეალი (4-3-3): კ. ნავასი - კარვახალი, ნაჩო, ს. რამოსი, მარსელო - მოდრიჩი (62. ლ. ვასკესი), კაზემირო, კროოსი - ბეილი, ბენზემა (85. მორატა), რონალდო (79. ისკო)

მაყურებელი: 49 095

ალავესი-სოსიედადი 1:0

გოლი: 1:0 დეივერსონი (44)

ალავესი (4-2-3-1): პაჩეკო - კიკო, ლაგუარდია, ელი, ტ. ერნანდესი - მ. ლორენტე, მ. გარსია - რომერო (68. ე. მენდესი), კამარასა, იბანი (85. ტოკერო) - დეივერსონი (75. კ. სანტოსი)

რეალ სოსიედადი (4-2-3-1): რული - ოდრიოზოლა, რ. ნავასი, მ. გონსალესი, ი. ბერჩიჩე - გურიდი (76. კანალესი), გრანერო - ველა, ჩაბი პრიეტო, ოიარზაბალი (61. ხუანმი) - ოლა ჯონი (70. ბერგარა)

გაძევება: გრანერო (67. სოსიედადი)

მაყურებელი: 19 840

ბეტისი-ოსასუნა 2:0

გოლები: 1:0 რ. ნავარო (4), 2:0 რ. კასტრო (28)

ბეტისი (5-3-2): ადანი - რ. ნავარო, მანდი, პეცელა, ტოსკა, დურმისი - პარდო (82. დონკი), ბრაშანაცი, სებალიოსი (88. პეტროშე) - სანაბრია, რ. კასტრო (66. ხოაკინი)

ოსასუნა (4-4-2): სარიგუ - რედრადო, ოიერი, ვუიადინოვიჩი, კლერკი - რ. ტორესი (75. დე ლას კუევასი), ლოუ, მერიდა (70. ჩაუშიჩი), რომერო - ს. ლეონი (75. ო. რიერა), კოდრო

მაყურებელი: 32 375

ლეგანესი-მალაგა 0:0

ლეგანესი (3-4-2-1): ერერინი - ბუსტინცა, მანტოვანი, სიოვასი - ტიტო (60. სამუელი), მორანი, რ. პერესი, დ. რიკო - ელ ჟარი (68. უ. ლოპესი), შიმანოვსკი (86. მაჩისი) - გერერო

მალაგა (4-4-2): კამენი - როსალესი, ლ. ერნანდესი, დ. ლორენტე, ხუან კარლოსი - ფორნალსი, ხ. როდრიგესი (86. დუდა), ნაჩო კამაჩო, გ. კასტრო (62. ხონი) - ს. რამირესი (71. კეკო), მარლესი

მაყურებელი: 10 127

ათლეტიკო-სევილია 3:1

გოლები: 1:0 გოდინი (37), 2:0 გრიზმანი (61), 3:0 კიკე (77), 3:1 ხ. კორეა (85)

ატლეტიკო (4-4-2): ობლაკი - ვრსალიკო (2. ხუანფრანი), სავიჩი, გოდინი, ფილიპე ლუფინი - კოკე, ბაბი, ს. ნიგესი, ფერეირა-კარასკო (83. გაიტანი) - გრიზმანი, გამეირო (63. ფ. ტორესი)

სევილია (5-4-1): ს. რიკო - მარიანო, მერკადო, რამი, ლონგელე (46. ოიარზაბალი), ესკუდერო - სარაბია (64. იბორა), ნასრი, ნ'ზონზი, ვიტოლო - ბენ იედერი (64. ხ. კორეა)

მაყურებელი: 49 831

სპორტინგი-გრანადა 3:1

გოლები: 0:1 ინგასონი (51), 1:1 ლ. ტრაორე (60), 2:1 ბაბენი (64), 3:1 კარმონა (67)

სპორტინგი ხ. (4-1-4-1): მარინო - დ. პერეირა, მერე, ბაბენი, კანელია - ვესგა - კარმონა, ს. ალვარესი, ვ. როდრიგესი (56. ლ. ტრაორე), ბურგუი (84. ი. ლოპესი) - კ. კასტრო (80. ნდი)

გრანადა (5-4-1): ოჩოა - ფულკიე, სონიე, ინგასონი, გ. სილვა, კუენკა (67. კრავეიცი) - კარსელა-გონსალესი, აგბო, ანგბანი (76. სამპერი), ა. პერეირა - ბოგა (76. მალე)

გამოუყენებელი პენალტი: ლ. ტრაორე (82)

მაყურებელი: 25 070

დეპორტივო-სელტა 0:1

გოლი: 0:1 ასპასი (74)

დეპორტივო (4-2-3-1): ლუქსი - ხუანფრანი, ალბენტოსა, არიბასი, ლუი'ზინინო - ბერგანტინიოსი, მოსკერა - გამა (60. ხილი), ბორხესი, ფაბრი (77. ჩოლაქი) - ხოსელუ (66. ანდონე)

სელტა (4-2-3-1): ს. ალვარესი - მალიო, კაბრალი, რონკალია, ხონი - რადოია, პ. ერნანდესი - ასპასი, ვასი (87. ხოსაბედი), ბონგონდა (71. სისტო) - გუიდეტი (12. ბოვიუ)

მაყურებელი: 30 760

ბარსელონა-ვალენსია 4:2

გოლები: 0:1 მანგალა (29), 1:1 ლ. სუარესი (35), 2:1 მესი (45-პენ), 2:2 ელ ჰადადი (45), 3:2 მესი (52), 4:2 ანდრე გომეში (89)

ბარსელონა (3-3-1-3): ტერ შტეგენი - მასკერანო, პიკე, უმტიტი - რაფინია (74. ანდრე გომეში), ბუსკეტსი, ინიესტა - რაკიტიჩი (65. ს. რობერტო - მესი, ლ. სუარესი, ნეიმარი

ვალენსია (4-3-3): დ. ალვეში - მონტოია, გარაი, მანგალა, გაია - სოლერი, ე. პერესი, პარეხო - კანსელო (84. ბაკალი), ელ ჰადადი (73. ძაძა), ორელიანა (46. აბდენური)

გაძევება: მანგალა (44)

მაყურებელი: 78 675

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	27	20	5	2	71-28	65
2. ბარსელონა	28	19	6	3	81-25	63
3. სევილია	28	17	6	5	52-34	57
4. ატლეტიკო	28	16	7	5	52-23	55
5. ვილიარეალი	28	13	9	6	39-20	48
6. სოსიედადი	28	15	3	10	42-39	48
7. ბილბაო	28	13	5	10	35-32	44
8. ეიბარი	28	11	8	9	44-39	41
9. ესპანიოლი	28	10	10	8	40-39	40
10. ალავესი	28	10	10	8	29-33	40
11. სელტა	27	11	5	11	40-45	38
12. ლას პალმასი	28	9	8	11	44-45	35
13. ბეტისი	28	8	7	13	31-44	31
14. ვალენსია	28	8	6	14	38-51	30
15. მალაგა	28	6	9	13	33-45	27
16. დეპორტივო	28	6	9	13	31-43	27
17. ლეგანესი	28	6	8	14	22-41	26
18. სპორტინგი	28	5	6	17	31-57	21
19. გრანადა	28	4	7	17	25-58	19
20. ოსასუნა	28	1	8	19	28-67	11

ბომბარდირები: 25 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 22 - ლუის სუარესი (ბარსელონა); 19 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 15 - იაგო ასპასი (სელტა); 14 - ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო).

სერია A. XXIX ტური

ტორინო-ინტერი 2:2

გოლები: 0:1 კონდოგბია (27), 1:1 ბაზელი (33), 2:1 ასკუა (59), 2:2 კანდრევა (62)

ტორინო (4-3-3): ჰარტი - ძაპაკოსტა, როსეტინი, მორეტი, მოლინარო - ასკუა, ლუკიჩი, ბაზელი (85. ლოპესი) - ლიაიჩი (65. ბოიე), იტურბე (70. იაგო), ბელოტი

ინტერი (4-2-3-1): ჰანდანოვიჩი - დამბროზიო, მედელი (57. მურილიო), მირანდა, ასსალდი - გალიარდინი, კონდოგბია (76. ბროზოვიჩი) - კანდრევა, ბანეგა (60. ედერი), პერიშიჩი - იკარდი

მაყურებელი: 25 000

მილანი-ჯენოა 1:0

გოლი: 1:0 ფერნანდესი (33)

მილანი (4-3-3): დონარუმა - დე შილიო, საპატა, პალეტა, ვანიონი - კუტკა, ბერტოლაჩი (3. ლოკატელი), ფერნანდესი (74. პასალიჩი) - ოკამპოსი, დეულოფეუ, ლაპადულა (87. ანტონელი)

ჯენოა (4-5-1): ლამანა - იცო (69. ბირასკი), მუნიოსი, ჯენტილეტი, ლაქსალტი - ლაზოვიჩი (61. ედენილსონი), ჰილემარკი, კატალდი, ნიჩამი, ტაარაბატი (76. პინილია) - სიმეონე

მაყურებელი: 40 000

ემპოლი-ნაპოლი 2:3

გოლები: 0:1 ინსინიე (19), 0:2 მერტენსი (24), 0:3 ინსინიე (38-პენ.), 1:3 ელ ქადური (70), 2:3 მაკარონე (82-პენ.)

ემპოლი (4-3-1-2): სკორუპსკი - ლაურინი, ბელუში, კოსტა, პასკუალი - კრუნიჩი, ელ ჰაჯი (70. მაური), კრორე (86. დიმარკო) - ელ ქადური - პუჩარელი (67. მაკარონე), ტიამი

ნაპოლი (4-3-3): რეინა - ჰოესი, კირიკეში, ალბიოლი, გულამი - ალანი, ჟორჟინიო (62. დიავარა), ჰამშიკი - კალეხონი, ინსინიე (77. ჯაკერინი), მერტენსი (83. მილიკი)

მაყურებელი: 12 000

ატალანტა-პესკარა 3:0

გოლები: 1:0 გომესი (13), 2:0 გრასი (69), 3:0 გომესი (90)

ატალანტა (3-4-1-2): ბერიშა - ტოლოი, კალდარა, მაზიელო - ჰატებოერი, კრისტანტე (63. პალოსკი), ფრეულერი, სპინაცოლა - გრასი (85. მილიაჩო) - გომესი, პეტანია (63. კესიე)

პესკარა (4-5-1): ბიძარი - ძამპანო, კოდა, ბოვო, ბირაგი - კრეშენცი (80. ბაჰებეკი), მუნტარი, მემუშა (80. კასტანიოსი), ვერე (70. კულიბალი), ბენალი - ჩერი

მაყურებელი: 20 000

ბოლონია-კიევო 4:1

გოლები: 0:1 კასტრო (40), 1:1 ვერდი (61), 2:1 ჯემაილი (72), 2:1 ჯემაილი (90), 4:1 დი ფრანჩესკო (90)

ბოლონია (3-5-2): და კოშტა - მაიეტა, გასტალდელო, ჰელანდერი - კრაფტ (60. დი ფრანჩესკო), ნაგი, ჯემაილი, ჰულგარი, კრეიჩი (84. მბაიე) - ვერდი, დესტრო (69. პეტკოვიჩი)

კიევო (4-3-1-2): სორენტინო - ფრეი (83. კინი), სპოლი, ცეზარი, კაჩატორე - კასტრო, ჰეტემი (78. დე გუზმანი), რადოვანოვიჩი - ბირსა - ინგლეზი, პელისიერი (70. ისკო)

მაყურებელი: 20 000

კალიარი-ლაციო 0:0

კალიარი (4-3-2-1): რაფაელი - ისლა, პიზაკანე (86. სალამონი), ალეეში, მურუ - დესენა (9. ფარაგო), პანაიოტისი, პადოინი - იონიცა, პედრო - საუ (67. ფარიასი)

ლაციო (4-3-3): სტრაკოშა - ბასტა (80. პატრიჩი), დეკარი, ჰოედტი, რადუ (67. ჯორჯევიჩი) - პაროლო, ბილია, ლულიჩი - ანდერსონი, კეიტა (71. ლუის ალბერტო), იმობილე

მაყურებელი: 14 000

კროტონე-ფიორენტინა 0:1

გოლი: 0:1 კალინიჩი (90)

კროტონე (4-4-2) კორდაცი - როზი, ჩეკერინი (60. დუსენე), ფერარი, მესბა - როდენი, ბარბერისი (82. კაპეცი), კრიზეტიგი, სტოიანი - ტონევი (52. ტროტა), ფალჩინელი

ფიორენტინა (3-4-2-1): ტატარუშანუ - სანჩესი, გონსალო, ასტორი - კიეზა (66. სპონრარა), ბადელი (71. ოლივერა), ვესინო, ტელიო - ბორხა ვალერო, ილიჩიჩი (71. ბაბაქარი) - კალინიჩი

მაყურებელი: 6 000

სამპდორია-იუვენტუსი 0:1

გოლი: 0:1 კუადრადო (7)

სამპდორია (4-3-1-2): პუჯინი - სალა, სილვესტრი, შკრინიარი, რევჯინი - ბარეტო, ტორეირა (63. პრაეტი), ლინეტა - ფერნანდესი (53. შჩიკი - 75. ჯურიჩი) - კვალიარელა, მურიელი

იუვენტუსი (4-2-3-1): ბუფონი - ალვეში, რუგანი, ბარძალი, ასამოა - პიანიჩი, ხედირა - კუადრადო (73. ლემინა), დიბალა (28. პიაცა), მანჯუკიჩი - იგუაინი (85. ლიხტშტაინერი)

მაყურებელი: 28 000

უდინეზე-პალერმო 4:1

გოლები: 0:1 შალაი (12), 1:1 ტერო (42), 2:1 საპატა (60), 3:1 დე პაული (68), 4:1 იანკტო (80)

უდინეზე (4-3-3): სკუფეტი - ვიდმერი, დანილო, ანჯელა, სამირი (73. ერტო) - ბადუ, ალფრედსონი, იანკტო (84. კუმსი) - დე პაული, ტერო (58. პერიცა), სპპატა

პალერმო (3-4-1-2): პოსავეცი - ციონეკი (65. ბალოგი), გონსალესი, გოლდანიგა - ალესაამი (64. პეცელა), გაცი, მორგანელა, ჩოჩევი - დიამანტი - შალაი, ნესტეროვსკი (81. მატო)

მაყურებელი: 15 000

რომა-სასუოლო 3:1

გოლები: 0:1 დეფრელი (9), 1:1 პარედესი (16), 2:1 სალაჰი (45), 3:1 ჯეკო (68)

რომა (3-4-2-1): სჩესნი - მანოლასი, რუდიგერი, ფაციო - პერესი (60. ჯეკოო), პარედესი (87. დე როსი), სტროტმანი, ემერსონი - ნაინგოლანი, ელ შაარავი - სალაჰი (76. პეროტა)

სასუოლო (4-3-3): კონსილი - ლეტშერტი (46. ლიროლა), აჩერბი, პელუზო, დელ ორკო - პელეგრინი, მისიროლი (69. რიჩი), დანკანი - ბერარდი, პოლიტანო, დეფრელი (58. დეფრელი)

მაყურებელი: 30 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	28	23	1	4	58-19	70
2. რომა	29	21	2	6	64-26	65
3. ნაპოლი	29	19	6	4	68-32	63
4. ლაციო	29	17	6	6	50-30	57
5. ინტერი	29	17	4	8	55-31	55
6. ატალანტა	29	17	4	8	46-33	55
7. მილანი	29	16	5	8	42-32	53
8. ფიორენტინა	29	13	9	7	46-37	48
9. სამპდორია	29	11	8	10	35-34	41
10. ტორინო	29	10	10	9	54-48	40
11. კიევო	29	11	5	13	34-41	38
12. უდინეზე	29	10	6	13	36-38	36
13. ბოლონია	29	9	7	13	29-42	34
14. კალიარი	29	9	5	15	36-58	32
15. სასუოლო	29	9	4	16	36-46	31
16. ჯენოა	29	7	8	14	30-43	29
17. ემპოლი	29	5	7	17	17-46	22
18. პალერმო	29	3	6	20	24-60	15
19. კროტონე	29	3	5	21	21-49	14
20. პესკარა	29	2	6	21	29-66	12

ბომბარდირები: 22 - ანდრეა ბელოტი (ტორინო); 21 - ედინ ჯეკო (რომა); 20 - მაურო იკარდი (ინტერი), დრის მერტენსი (ნაპოლი); 19 - გონსალო იგუაინი (იუვენტუსი); 17 - ჩირო იმობილე (ლაციო).

ბაიერნი, იუვე და ჩელსი სანაკრებო პაუზაზე საჩემპიონო განწყობით გადიან

« მე-7 გვერდიდან

ბუნდესლიგა: ბაიერნს ვერ აჩერებენ, როგენი ანჩელოტიზე ნაწყენია...

იმ სეზონებში, როცა მიუნხენის „ბაიერნის“ დამარცხება განსაკუთრებით რთულია, „გლადბახი“ მაინც ახერხებს ხოლმე რეკორდმაისტერისთვის ქულების ართმევას, მაგრამ ამ სეზონში ესეც არ მოხდა. გუშინ, **კარლო ანჩელოტის** შეგირდებმა „ბორუსია პარკზე“ **თომას მიულერის** გოლის წყალობით გაიმარჯვეს - დიახ, მიულერმა გოლის გემო გაიხსენა! თომასმა ამ სეზონში მხოლოდ მეორე ბურთი გაიტანა - პირველი 10 დეკემბერს ჰქონდა გატანილი და მისმა უგოლო სერიამ ჯამში 848 წუთი შეადგინა. თანაც, ეს მიულერის 250-ე მატჩი გახლდათ ბუნდესლიგაში. მართალია, თომასს ამ სეზონში გოლები ვერ გააქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, 10 საგოლე გადაცემით ის გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო მეპასეა.

ამ გამარჯვების შემდეგ, რეკორდმაისტერი მეორე ადგილზე მყოფ „ლაიპციგს“ უკვე 13 ქულით უსწრებს. დაგვეთანხმებით, ეს „ბაიერნისთვის“ უკვე ჩემპიონობას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, მიუნხენში მთლად კმაყოფილები არ არიან. საქმე ისაა, რომ, როდესაც მოედნიდან გადიოდა, **არიენ რობენმა** ანჩელოტის ხელი არ ჩამოართვა. მერე ჰოლანდიელი სკამზე კოპებშეკრული იჯდა...

არიც ადურისის გოლი „ბილბაოს“ „რეალთან“ ქულის მოპოვებაში ვერ დაეხმარა

„მონაკოს“ ახალი გმირი კილიან მბაპე

„ლაიპციგი“ საბოლოოდ აირია. „აუგსბურგთან“ ფრის (2:2) და საკუთარ მოედანზე „ვოლფსბურგთან“ წაგების (0:1) შემდეგ, საქსონიელი „ხარები“ ბრემენშიც დამარცხდნენ და უკვე 0:3! ზედიზედ მეორე წაგება და სამმატჩიანი მოუგებელი სერია „ლაიპციგისთვის“ იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდმა ჩემპიონობაზე აღარ უნდა იოცნებოს და ამავდროულად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის დაკარგვის უნდა ეშინოდეს. მართალია, ამ დროისთვის მეხუთე ადგილზე მყოფი „ჰერტა“ „ლაიპციგს“ 9 ქულით ჩამორჩება, მაგრამ თუ **ჰაზენჰიუტლის** შეგირდები ასე გააგრძელებენ, გამორიცხული არაფერია.

„ვერდერისთვის“ კი ეს ბოლო ხუთ მატჩში მეოთხე გამარჯვება გახლდათ, რომლითაც ბრემენელებმა გადარჩენისთვის ბრძოლაში პოზიციები მნიშვნელოვნად გაიმყარეს. აღსანიშნავია, რომ „ვერდერმა“ პირველად შეძლო ისეთი თამაშის მოგება, რომელშიც სამი მცველით ითამაშა (მანამდე, 2 ფრე და 4 მარცხი). ლაიპციგელებმა კი სამი მცველით სულაც პირველად ითამაშეს და იმდენად ჩაფლავდნენ, რომ ლოგიკურად, ასეთი ტაქტიკა აღარასოდეს უნდა აირჩიონ.

აღსანიშნავია, რომ ინგოლშტადტელებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს 4-5 რეალური საგოლე მომენტიც შეექმნათ, მაგრამ მიზანს ვერაფრით მიაღწიეს. 52-ე წუთზე „დორტმუნდს“ მაგრად გაუმართლა: „ბორუსიას“ მეკარე **ბიურკიმ** ინგოლშტადტელთა თავდამსხმელის, **ლესკანოს** წინააღმდეგ საჯარიმოში წესები აშკარად დაარღვია, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა არბიტრები ინგოლშტადტელებს ჩაგრავენ. აი, ასე იზეიმა „დორტმუნდმა“ ზედიზედ მეოთხე საშინაო გამარჯვება და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ დორტმუნდელებს შინ 33-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ, რითაც „ბაიერნის“ 14 წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორეს.

დორტმუნდს ფეხდაფეხ მისდევს და ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებს „ჰოფენჰაიმი“ - გუნდი, რომელსაც ჯერ კიდევ მხოლოდ ორი მატჩი აქვს წაგებული. „სოფლელებმა“ ამჯერად „ლევერკუზენის“ დამარცხება მოახერხეს და 5 ქულით გაასწრეს „ჰერტას“, რომელიც ასევე გააფთრებით იბრძვის საუკეთესო ოთხეულში

პირველად მოხდა ისე, რომ „ლაიპციგმა“ ზედიზედ ორი მარცხი იწვნია.

„ლაიპციგს“ დორტმუნდის „ბორუსია“ უკვე სათოფეზე მიუახლოვდა. **თომას ტუხელის** ბიჭებმა პარასკევს „ინგოლშტადტი“ 1:0 დაამარცხეს და ის ერთადერთი გოლი, რა თქმა უნდა, **პიერ-ემერიკ ობამეიანგის** ანგარიშზეა, რომელმაც ამ სეზონში 23-ე გოლი გაიტანა. გაბონელისთვის ეს ბოლო ხუთ ოფიციალურ მატჩში მე-9 გოლი გამოდგა!

მომდევნო ტური

31 მარტი: **ჰერტა-ჰოფენჰაიმი**;

1 აპრილი: **ბაიერნი-აუგსბურგი, შალკე-დორტმუნდი, ჰამბურგი-კიოლნი, ფრაიბურგი-ვერდერი, ლაიპციგი-დარმშტადტი, აინტრახტი-გლადბახი**;

2 აპრილი: **ინგოლშტადტი-მაინცი, ლევერკუზენი-ვოლფსბურგი**.

სერია A: იუვემ გენუაშიც მოიგო

ტური ტურინში გამართული მეტად საინტერესო მატჩით გაიხსნა, რომელშიც „ტორინომ“ „ინტერს“ უმასპინძლა. წინა ტურში, მილანურმა გრანდმა „ატალანტას“ 7:1 მოუგო და „ტოროს“ ამაღლებული განწყობით ესტუმრა. მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რაც 27-ე წუთზე **ჟოფრეი კონდოგბიას** გოლში აისახა - ფრანგმა საყრდენმა ბურთი ფლანგზე მიიღო, ცენტრში შეიწია, დაარტყა და გახსნა კიდეც ანგარიში; აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში **ჯო ჰარტმა** დაუშვა შეცდომა, რადგან დარტყმა არცთუ ძლიერი იყო და ბურთის შემაგრება მართებდა. თუმცა, მასპინძლებმა მალევე გაათანაბრეს ანგარიში, როდესაც **დანიელე ბაზელიმ** თავური დარტყმით **სამირ ჰანდანოვიჩს** შანსი არ დაუტოვა. ტაიმიც ასე დასრულდა, მეორე ნახევარში კი კიდევ თითო გოლი გაცვალეს გუნდებმა...

მეორე ტაიმი 15 წუთის დაწყებული იყო, როდესაც **ასკუამ** შორი მანძილიდან უძლიერესად დაარტყა და ულამაზესი გოლი გაიტანა. პირველი ტაიმის არ იყოს, ამ შემთხვევაშიც 3 წუთში გათანაბრდა ანგარიში, როდესაც **ანტონიო კანდრევამ** მეტოქის საჯარიმოშო შექმნილი ქაოსით ისარგებლა და ეფექტური გოლი შეაგდო, 2:2. ყველაფერი თავიდან დაიწყო - დარჩენილ ნახევარ საათში გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ გოლი აღარ გასულა და გუნდებმა ქულები გაიყვეს. სატურნირო ცხრილით თუ ვიმსჯელებთ, „ინტერმა“ ორი ქულა დაკარგა, „ტორინომ“ კი საპატიო ფრე გაახერხა უფრო ძლიერ გუნდთან...

„მილანმა“ „ჯენოას“ უმასპინძლა და **მატი ფერნანდესის** გოლით მოუგო. ამ უკანასკნელს იშვიათად უწევდა თამაში, ამჯერად ენდო **ვინჩენცო მონტელა** და მანაც მოლოდინს გადაჭარბა - ფერნანდესი იყო ყველგან, სადაც გუნდს სჭირდებოდა და გოლიც შესანიშნავი გაიტანა. მთლიანობაში, „როსონერი“ ფლობდა სრულ უპირატესობას და დამსახურებულად მოიგო. თუ სახიფათო მომენტებით ვიმსჯელებთ, ლომბარდიელებს დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ, თუმცა, როგორც მატჩის შემდეგ მონტელამ განაცხადა, მთავარი სამი ქულაა, რომელმაც გუნდს ევროსაგზურის მოპოვების შანსი შეუნარჩუნა.

„ნაპოლი“ „ემპოლის“ ესტუმრა და პირველ ტაიმში სამი გოლი მიართვა მეტოქეს. მეორე ნახევარში ნეაპოლელები მოდუნდნენ და მეტოქეს ორი გოლის გატანის საშუალება მისცეს. ტოსკანელებმა სცადეს მატჩის გადარჩენა და ქულის აღება, მაგრამ მესამეს გასატანად აღარც დრო ეყოთ და აღარც კლასი.

„იუვენტუსი“ გენუაში ჩავიდა და კარგ ფორმაში მყოფ „სამპდორიას“ ერთადერთი გოლის წყალობით სძლია. ტურინელებმა სწრაფი გოლი გაიტანეს, როდესაც ჯერ კიდევ მე-7 წუთზე **ხუან კუადრადომ** გახსნა ანგარიში. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბევრი არაფერში ჩამორნენ მრისხანე მეტოქეს და არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმცა გენუელებმა დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ივარგეს და **ჯიჯი ბუფონიც** მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ასეა თუ ისე, „იუვემ“ მოიგო და მორიგი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ...

მომდევნო ტური

1 აპრილი: **სასუოლო-ლაციო, რომა-ემპოლი**;

2 აპრილი: **ტორინო-უდინეზე, ჯენოა-ატალანტა, ფიორენტინა-ბოლონია, პალერმო-კალიარი, კიევო-კროტონე, პესკარა-მილანი, ნაპოლი-იუვენტუსი**;

3 აპრილი: **ინტერი-სამპდორია.**

ლიგა 1: მბაპეს ვარსკვლავური დრო

დიმიტრი პაიემ და კომპანიამ ვერაფერი დააკლო თანაბარ თამაშში „ლილს“, სამხრეთელებისა და ჩრდილოელების მატჩი 0:0 დასრულდა. „მარსელი“ მეხუთე ადგილზე გაიჭედა, რომელიც საფრანგეთში ევროსაგზურს არ იძლევა.

„ნიცა“ აღარ ჩანს ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი - **მარიო ბალოტელი** და კომპანია ბრეტონში 1:1 დაუზავდა „ნანტს“. ჯერჯერობით, **ლუსიენ ფავრი** იხტიბარს არ იტეხს. ის ამბობს, რომ ცხრილს არ უყურებს, არც კი იცის, რომელი გუნდები უსწრებენ „ნიცას“ და რომლები ჩამორჩებიან, რომ მისთვის მთავარი, თამაშის ხარისხია. ასეც რომ იყოს, მწვრთნელს ზომები აქვს მისაღები, რადგან, პირველ რიგში, სწორედ თამაშის ხარისხი გაფუჭდა, თორემ ლიდერებთან ჩამორჩენა ჯერ არც ისე დიდია.

როგორც ჩანს, **კილიან მბაპეს** ვარსკვლავური დროც დადგა - 18 წლის ფორვარდმა ცოტა ხნის წინათ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის სიხარული იგემა, შემდეგ მას ეროვნულ ნაკრებში დაუძახეს. პოზიტიური კვირა მბაპემ „კაენის“ კარში დუბლით დააგვირგვინა. „მონაკოს“ საჩემპიონო განაცხადი სულ უფრო ხმამაღალი ხდება.

ევროუქმეები პარიზში დასრულდა პსჟ-ს ზედიზედ მეოთხე გამარჯვებით, ლიონელი **ალექსანდრ ლაკაზეტის** მორიგი გოლის მიუხედავად.

ნიკოლოზ ნეფარიძე
გიორგი ნინიძე
გოტფრიც ლენცი
ლაშა წიკლაური

თომას მიულერმა (მარჯვნივ), როგორც იქნა, ბუნდესლიგაში გაიტანა

რა გველის აპრილში?

ორი სუპერდაპირისპირება ჩემპიონთა ლიგაზე

ნიონში გამართულ წილისყრაზე უელსელმა ლეგენდამ, **იან რაშმა** თავისი ერთ-ერთი ყოფილი გუნდი, ტურინის „იუვენტუსი“ „ბარსელონას“ შეახვედრა. ეს კლუბები ერთმანეთს 2015 წლის ლიგის ფინალში დაუპირისპირდნენ, რომელშიც კატალონიელებმა 3:1 იმარჯვეს. მაშინ **დანი ალვეში** „ბარსაში“ ირიცხებოდა, ახლა კი „იუვეს“ მაისურით დაუპირისპირდება ყოფილ გუნდს. ისინი ერთმანეთს 2002/03 წლების სეზონში ლიგის მეოთხედფინალში გადაეყარნენ, ტურინში მატჩი 1:1 დამთავრდა, ხოლო „კამპ ნოუზე“ „ბებერმა ქალბატონმა“ ურუგვაელი **მარსელო ზალაიეტას** მიერ დამატებით დროში გატანილი გოლით მოიგო და მერე ნახევარფინალში „რეალს“ იმავე ზალაიეტას გოლით აჯობა ასევე დამატებით დროში. **ჯანლუიჯი ბუფონი** მაშინდელი გუნდის წევრიც გახლდათ.

„რეალი“ ვახსენეთ და არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, საინტერესო დუელი გველის „სამეფო კლუბსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის. წარსულში ესეც გვინახავს და **სერხიო რამოსის** გმირობებიც გვახსოვს „ალიანც არენაზე“. მადრიდელთა მცველი ახლაც მშვენიერ ფორმაშია, მაგრამ იგივე ითქმის „ბაიერნზეც“, რომელიც ნელ-ნელა დაიქოქა. **კარლო ანჩელოტის**, **ტონი კროოსსა** და **ჩაბი ალონსოს** ყოფილ გუნდებთან მოუწევთ დაპირისპირება.

ერთი შეხედვით, გოლების წვიმა გველის „დორტმუნდისა“ და „მონაკოს“ პაექრობაში. სულაც არ არის გამორიცხული, საჩოგბურთო ან ჰოკეის ანგარიშები დაფიქსირდეს. რაც შეეხება, „ატლეტიკოსა“ და „ლესტერის“ წყვილს, „მელიები“ ყველასთვის სანატრელ მეტოქეს წარმოადგენდნენ და **დიეგო სიმეონეს** გაუმართლა. თუმცა, ფაქტია, რომ **კრეიგ შექსპირის** ბიჭებს დასაკარგავი არაფერი აქვთ.

შეგირდი მასწავლებელს დაუპირისპირდება

კომენტარები

„ეს დაპირისპირება ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. ჩვენ თავდაჯერება არ გვაკლია და ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგება გვინდა. ვფიქრობ, გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ „რეალი“ დავამარცხოთ, მაგრამ მადრიდელებს ძალიან ძლიერი გუნდი და ფანტასტიკური მწვრთნელი ჰყავთ. ყველაფერს დეტალები გადაწყვეტს“ - კარლო ანჩელოტი.

„ეს რეალური ევროპული კლასიკაა. წლების განმავლობაში რამდენიმე საინტერესო დაპირისპირება გამომიცდია, როგორც შინ, ასევე მადრიდში. მიხარია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კიდევ ერთხელ ვითამაშებ, იქ ყოველთვის განსაკუთრებული ატმოსფეროა“ - კაპიტანი **ფილიპ ლამი**

„შესანიშნავი მეოთხედფინალი იქნება ორ დიდ გუნდს შორის, რომლებსაც დიდი ისტორია აქვთ. ეს ალბათ, ყველაზე რთული ვარიანტი იყო, რაც შეიძლებოდა გამოსულიყო, მაგრამ მეოთხედფინალში ადვილი მატჩები ისედაც არ არსებობს. რა თქმა უნდა, დაპირისპირება ჩემთვის გამორჩეული და განსაკუთრებული იქნება“ - **ჩაბი ალონსო**.

„მე „რეალში“ ვისწავლე, რომ ყველაფერი უნდა მოიგო და ყოველთვის მოსაგებად ითამაშო. „ბაიერნი“? კარგია. ამ სტადიაზე ადვილი თამაშები აღარ არსებობს. მეტოქე ძალიან ძლიერია, შესანიშნავი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, მაგრამ ფაქტია, რომ წილისყრით ეს გუნდი გვერგო და არაფერი შეიცვლება“ - **ზინედინ ზიდანი**.

■ ■ ■

„არ ვიცი, რამდენად შეიძლება შურისძიებაზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ-ერთი გამორჩეული დაპირისპირება გამოვა. „ბარსელონა“ ახლა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ცნობილი გუნდია, მაგრამ „იუვემაც“ ძალიან მოუმატა და მეტოქეს უშიშრად დავუხვდებით“ - ტურინელთა ვიცე-პრეზიდენტი **პაველ ნედვედი**.

„გარდა იმისა, რომ „იუვენტუსს“ იტალიური გუნდებისთვის დამახასიათებელი სოლიდური დაცვა ჰყავს, ტურინელების შემადგენლობაში ყველა პოზიციაზე გამორჩეული ფეხბურთელებია. ეს ძალიან რთული დაპირისპირება იქნება, მაგრამ მეიმედება, რომ ჩვენი შესაძლებლობებით დუელის ბედს „ბარსელონას“ სასიკეთოდ გადავწყვეტთ“ - **ანდრეს ინიესტა**.

„ეს რადიკალურად განსხვავებული მატჩი იქნება 2015 წლის ფინალთან შედარებით. ბერლინში ერთმატჩიანი შეხვედრა გახლდათ, მაგრამ ახლა „ბარსელონას“ წინააღმდეგ ორი მატჩი გველის და შურისძიება არაფერ შუაშია, ამაზე ფიქრი საჭირო არ არის“ - **კლაუდიო მარკიზიო**.

ჩემპიონთა ლიგის წილისყრის ფაქტები

* „ატლეტიკოს“ ინგლისურ გუნდებთან შინ არასოდეს წაუგია - 5 მოგება, 5 ფრე.
* 2010/11 წლების სეზონში **პიერ-ემერიკ ობამეიანგი** „მონაკოში“ იყო განათხოვრებული და 23 მატჩში 2 გოლი გაიტანა.
* „დორტმუნდს“ ლიგა 1-ის წარმომადგენლებთან 6 მოგება, 5 ფრე და 5 წაგება აქვს. ამ მარცხებიდან მხოლოდ 1 გახლდათ საშინაო.
* „რეალს“ ზედიზედ 3 მატჩი აქვს „ბაიერნთან“ მოგებული.
* მადრიდელებთან წაგებული 0:4 „ბაიერნის“ ანტირეკორდია საშინაო მარცხის მხრივ. მაშინ მადრიდელებს „ბაიერნის“ ახლანდელი თავკაცი **კარლო ანჩელოტი** წვრთნიდა, ხოლო მიუნხენელებს - **ხოსეპ გვარდიოლა**.

ევროპალიგის წილისყრის ფაქტები

* „აიაქსს“ ევროპალიგა (უეფას თასი) 1992 წელს აქვს მოგებული, ხოლო „შალკეს“ 1997 წელს.
* გელზენკირხენელთა გოლეადორ **კლას-იან ჰუნტელაარს** ამსტერდამელთა რიგებში 3 სეზონი აქვს გატარებული და 100-ზე მეტი გოლი გატანილი.
* „აიაქსს“ გერმანულ კლუბებთან 14 საშინაო შეხვედრიდან 12 მოგებული აქვს.
* „ანდერლეხტს“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩატარებული 6 მატჩიდან 3 მოგებული აქვს და 3 წაგებული. მათ შორისაა 1956/57 წლების სეზონში წაგებული 0:10, რაც ბრიუსელელთა ყველაზე დიდი მარცხია ევროტურნირებზე.
* 2013/14 წლების სეზონში **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** „პარი სენ-ჟერმენში“ ყოფნისას „ანდერლეხტს“ 4 გოლი გაუტანა.
* ინგლისურ კლუბებთან 15 საგარეო თამაშიდან ბრიუსელელებს არც ერთი არ მოუგიათ, აქედან 13 წააგეს.
* „გენკი“ ამ სეზონში უკვე შეხვდა ესპანურ გუნდს და ბასკეთში 3:5 წაგო. ხუთივე გოლი **არიც ადურისმა** გაიტანა.
* „ბეშიქთაშს“ ფრანგულ გუნდებთან სამი საშინაო მატჩი აქვს ჩატარებული და აქედან 2 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა.

გიორგი კაკაბაძე

ჩემპიონთა ლიგა 1/4 ფინალი
იუვენტუსი-ბარსელონა
დორტმუნდი-მონაკო
11 და 19 აპრილს

ბაიერნი-რეალი
ატლეტიკო-ლესტერი
12 და 18 აპრილს

ევროპალიგა 1/4 ფინალი
ლიონი-ბეშიქთაში
აიაქსი-შალკე
სელტა-გენკი
ანდერლეხტი-მანჩესტერი
13 და 20 აპრილს

ურთიერთშეხვედრები

წყვილი	მატჩი	მოგება	ფრე	წაგება	ბ. სხვ.
იუვენტუსი-ბარსელონა	7	2	2	3	7:10
ბაიერნი-რეალი	22	11	2	10	33:31
დორტმუნდი-მონაკო			არ უთამაშიათ		
ატლეტიკო-ლესტერი	4	3	1	0	7:2

მუნდიალი 2018

დღე პირველი, დღე უკანასკნელი

ვერნერს ბუნდესნაკრებში პირველად დაუძახეს, პოდოლსკის უკანასკნელად

თვის ბოლომდე ევროპაში 2018 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩები და საინტერესო ამხანაგური შეხვედრები გაიმართება. ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებების შემადგენლობები, ჯერი სხვა გუნდებზეა...

მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** 24 ფეხბურთელს დაუძახა ინგლისთან ამხანაგური მატჩისთვის (დორტმუნდში, 22 მარტს) და აზერბაიჯანთან საგარეო საკვალიფიკაციო დაპირისპირებისთვის (26 მარტს). პირველად არის გამოძახებული „ლაიპციგის“ 21 წლის ლიდერი **ტიმო ვერნერი**. დაუძახეს 31 წლის **ლუკას პოდოლსკისაც**, რომელიც ინგლისთან კარიერაში უკანასკნელ მატჩს გამართავს გერმანიის ნაკრების ფორმით, ეს შეხვედრა მისთვის 130-ე იქნება.

იოახიმ ლიოვმა ნაკრებში პოდოლსკის უკანასკნელად, ხოლო ვერნერს პირველად დაუძახა

მეკარეები: **მანუელ ნოიერი** (ბაიერნი), **ბერნდ ლენო** (ლევერკუზენი), **მარკ-ანდრე შტეგენი** (ბარსელონა);

მცველები: **შკოდრან მუსტაფი** (არსენალი), **იონას ჰექტორი** (კიოლნი), **ბენედიქტ ჰიოვედესი** (შალკე), **მატს ჰუმელსი** (ბაიერნი), **ანტონიო რიუდიგერი** (რომა), **ნიკლას ზიულე** (ჰოფენჰაიმი), **ჯროშუა კიმიხი** (ბაიერნი), **სებასტიან რუდი** (ჰოფენჰაიმი);

ნახევარმცველები: **იულიან ბრანდტი** (ლევერკუზენი), **ემრე ჯანი** (ლივერპული), **იულიან დრაქსლერი** (პსჟ), **სამი ხედირა** (იუვენტუსი), **ტონი კროოსი** (რეალი), **თომას მიულერი** (ბაიერნი), **მესუთ იოზილი** (არსენალი), **ლეროი სანე** (სიტი), **იულიან ვაიგლი** (დორტმუნდი);

თავდამსხმელები: **ტიმო ვერნერი** (ლაიპციგი), **ანდრე შიურლე** (დორტმუნდი), **მარიო გომესი** (ვოლფსბურგი), **ლუკას პოდოლსკი** (გალატასარაი).

■ ■ ■

ესპანეთის ნაკრები 24 მარტს საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს ისრაელის ნაკრებთან, ხოლო 28 მარტს ამხანაგურს - საფრანგეთთან. **ხულიენ ლოპეტეგიმ** შემადგენლობა დაასახელა, არ არის გამოძახებული „იუნაიტედის“ ნახევარმცველი **ხუან მატა**.

მეკარეები: **დავიდ დე ხეა** (მანჩესტერი), **პეპე რეინა** (ნაპოლი), **სერხიო რიკო** (სევილია);

მცველები: **ჟორდი ალბა** (ბარსელონა), **სესარ ასპილიკუეტა** (ჩელსი), **ნაჩო მონრეალი** (არსენალი), **ჟერარდ პიკე** (ბარსელონა), **ნაჩო** (რეალი), **სერხიო რამოსი** (რეალი), **დანიელ კარვახალი** (რეალი);

ნახევარმცველები: **ხავი მარტინესი** (ბაიერნი), **ანდერ ერერა** (მანჩესტერი), **სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა), **ასიერ ილიარამენდი** (სოსიედადი), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ისკო** (რეალი), **ტიაგო ალკანტარა** (ბაიერნი), **კოკე** (ატლეტიკო), **დავიდ სილვა** (სიტი), **ვიტოლო** (სევილია);

თავდამსხმელები: **პედრო როდრიგესი** (ჩელსი), **ალვარო მორატა** (რეალი), **დიეგო კოშტა** (ჩელსი), **ჟერარდ დეულოფეუ** (მილანი), **იაგო ასპასი** (სელტა).

■ ■ ■

იტალიის ნაკრები 24 მარტს ალბანეთს მასპინძლობს, ხოლო 28 მარტს ჰოლანდიას სტუმრობს. **ჯამპიერო ვენტურამ** ყველა გააკვირვა, როცა სერია B-ს კლუბ სპალ-ის გოლკიპერი **ალექს მერეტი** მიიწვია „სკუადრა აძურაში“. მან ნაკრებში 25 კაცი გამოიძახა.

მეკარეები: **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **ალექს მერეტი** (სპალ), **ჯანლუიჯი დონარუმა** (მილანი);

მცველები: **დავიდე ასტორი** (ფიორენტინა), **ლეონარდო სპინაცოლა** (ატალანტა), **დავიდე ძაპაკოსტა** (ტორინო), **დანილო დ'ამბროზიო** (ინტერი), **მატეო დარმიანი** (მანჩესტერი), **მატია დე შილიო**, **ალესიო რომანიოლი** (მილანი), **დანიელე რუგანი**, **ანდრეა ბარძალი**, **ლეონარდო ბონუჩი** (იუვენტუსი);

ნახევარმცველები: **მარკო პაროლო** (ლაციო), **ლორენცო ინსინიე** (ნაპოლი), **ნიკოლა სანსონე** (ვილიარეალი), **ფედერიკო ბერნარდესკი** (ფიორენტინა), **დანიელე დე როსი** (რომა), **მარკო ვერატი** (პსჟ), **ანტონიო კანდრევა**, **რობერტო გალიარდინი** (ინტერი);

თავდამსხმელები: **ედერი** (ინტერი), **ჩირო იმობილე** (ლაციო), **ანდრეა ბელოტი** (ტორინო), **მანოლო გაბიადინი** (საუთჰემპტონი).

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა **დიდიე დეშამმა** ტრავმირებული **პოლ პოგბას** ნაცვლად „მონაკოს“ ნახევარმცველი **ტიემუა ბაკაიოკო** გამოიძახა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

ქუთაისი გაჭაბუკდა

სავარდო ქალაქში გოგონებიც გადათვალეს

ამ უქმეებზე ქუთაისის მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლეში დაიწყო ჭაბუკ მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც ბიჭებთან ერთად გოგოებმაც მიიღეს მონაწილეობა. თუმცა ჯერჯერობით ისინი რაოდენობრივად ჩამორჩებიან ბიჭებს და მათთან ასპარეზობა მხოლოდ სამ წონით კატეგორიაში გაიმართა. სამაგიეროდ, გეოგრაფია შედარებით გაიზარდა და გორის, თბილისისა და ჭიათურის გუნდებს ამჯერად საგარეჯოც დაემატა. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ოთხწლიანი პროგრამის ერთ-ერთი სამოქმედო სლოგანია "მეტი ქალი ჭიდაობაში", რაც ქალთა ჭიდაობაში მასობრიობის გაზრდას გულისხმობს. იმედია, მომდევნო წლების ჩემპიონატებში მართლაც მეტ გოგონას ვიხილავთ ხალიჩაზე, მასობრიობის გაზრდა კი შედეგებსაც აუცილებლად გაზრდის.

ბესარიონ გუჩაშვილი დაჯილდოებაზე

თაობათა ცვლა ამ გუნდსაც შეეხო და რამდენიმე უკვე გადავიდა ახალგაზრდებში. მაგალითად, **თამარ ხოჯაშვილი**, თუმცა დარჩა **გულიკო არუთინიანი**, **მარიამ კარელიძე** და კიდევ რამდენიმე გოგო. წარმატებასაც ძირითადად ძველმა ლიდერებმა მიაღწიეს, რაც მწვრთნელებისთვის დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა.

მწვრთნელები ვახსენეთ და აქვე გეტყვით, რომ ქალთა ყველა ასაკობრივ ნაკრებს ისევ **ბესარიონ გუჩაშვილი** უხელმძღვანელებს, ვისაც **კობა ლოჩოშვილი** დაეხმარება, ჭაბუკთა ნაკრების უახლოესი ღონისძიება კი აპრილში ანტალიაში ჩასატარებელი საერთაშორისო ტურნირია.

ბიჭებს შორის 271 მოზარდი ჭიდაობდა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან, ყველაზე მეტი მონაწილე - 38 მოჭიდავე კი 63 კილოგრამში გამოდიოდა. თაობათა ცვლა ამ გუნდსაც შეეხო, თუმცა დარჩენილი ლიდერებიდანაც ყველამ ვერ შეძლო ოქროს მედლის მოპოვება. ალბათ, ყველაზე მოულოდნელი მძიმე წონაში სამტრედიელი **ელგუჯა ბალანჩივაძის** მარცხი იყო მძიმე წონაში. თანაც, ის არა დასკვნით ეტაპზე, არამედ მეორე წრეშივე დამარცხდა თბილისელთა მომავალ ფინალისტ **სოლომონ მანაშვილთან** - 0:4; 2:2 და საბოლოოდ მესამეზე გავიდა. წინა სეზონებიდან საკმაო გამოცდილება დაუგროვდა ქუთაისელ **დიმიტრი სალდაძესაც**, მაგრამ ფინალში ვერც ამან და ვერც შინაურმა კედლებმა ვერ უშველეს აჭარელ **თამაზ შავაძესთან** - 1:2; 1:10. ძველი ლიდერებიდან ყველაზე მეტი წარმატებით ამბროლაურელმა **ვლადიმერ გამყრელიძემ**, გორელმა **გიორგი გეგელაშვილმა** და ქარელმა **ლაშა ბაირამოვმა** იჭიდავეს - ჩემპიონები გახდნენ.

ცალკეული გუნდებიდან ტრადიციულადვე წარმატებით გამოვიდნენ ისეთი აღიარებული ცენტრები, როგორიცაა გორი, აჭარა, თბილისი, მასპინძელი ქუთაისი, თუმცა ამჯერად მათთან ერთად ამბროლაურიც უნდა გამოვარჩიოთ - რაჭველებმა 6 მედალი, აქედან - სამი ოქრო მოიპოვეს, 63 კილოგრამში კი იქაური ფინალი გაიმართა. ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაშიც იქაურმა ფალავანმა გაიმარჯვა - ჭაბუკებში **ჭაბუკი გამყრელიძემ** იყო-ჩაღა. შეიძლება, სხვა გუნდებმა უფრო მეტი ჯილდო დაისაკუთრეს, მაგრამ ამბროლაური ახალი ცენტრია საჭიდაო რუკაზე და ამიტომაც ვუსვამთ ხაზს. სხვათა შორის, ამ პატარა და მიგრირებულმა რაიონმა უკვე ეროვნულ ნაკრებსაც მისცა შევსება.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირი გუშინ დამთავრდა, დღეს და ხვალ კი ქუთაისის სპორტის სასახლეში ბერძნულ-რომაულად მოასპარეზე ჭაბუკები იასპარეზებენ და ისინი გამოავლენენ ქვეყნის ჩემპიონმედალოსნებს, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე წასვლის მთავარი პრეტენდენტები გახდებიან.

ბიჭები

42 კგ.

1. გიორგი ჭოლაძე (ქუთაისი); 2. იგორ ბერიძე (აჭარა); 3. გოდერძი ონიანი (სამტრედია, ომეცი), ლუკა ჩხიტუნიძე (საჩხერე).

46 კგ.

1. გიორგი გეგელაშვილი (გორი); 2. ნიკა მახარაძე; 3. გუგა შეშელიძე (ორივე - აჭარა), ნიკოლოზ ბერუაშვილი (რუსთავი).

50 კგ.

1. თამაზ შავაძე (აჭარა); 2. დიმიტრი სალდაძე (ქუთაისი); 3. ბაჩუკი ქვლივიძე (საგარეჯო), დავით მიკიჩიანი (გორი).

54 კგ.

1. ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური); 2. გიგი ბლიაძე (ხაშური); 3. თორნიკე ქათამაძე (აჭარა), დავით აბდალაძე (ქუთაისი).

58 კგ.

1. ლუკა მარიამიძე (თბილისი, ომეცი); 2. ავთანდილ გოდელაშვილი (ხაშური); 3. თემურ ტყემალაძე (ქარელი), ბექა ართილაყვა (ლანჩხუთი, ომეცი).

63 კგ.

1. გიორგი ელბაქიძე; 2. სანდრო სარდანაშვილი (ორივე - ამბროლაური); 3. ოთარ ბაგაური (საჩხერე), თედო ყველაშვილი (გორი).

69 კგ.

1. გიორგი მუზაშვილი (გორი); 2. ბაგრატ გაგნიძე; 3. ლერი დარჯანია (ორივე - ქუთაისი), ნიკოლოზ რუხაძე (ხონ, ომეცი).

76 კგ.

1. ლაშა ბაირამოვი (ქარელი); 2. გიორგი ჩანქსელიანი (ხონი); 3. აკაკი გოქსაძე (ამბროლაური), გელა შავაძე (აჭარა).

85 კგ.

1. დავით ქოჩქიანი (თბილისი); 2. დავით ხარებავა; 3. ბაჩუკი თოდუა (ორივე - ზუგდიდი), გივი გოგობერიშვილი (ამბროლაური).

100 კგ.

1. ჭაბუკი გამყრელიძე (ამბროლაური); 2. სოლომონ მანაშვილი (თბილისი); 3. ელგუჯა ბალანჩივაძე (სამტრედია), გიორგი შარვაშიძე (რუსთავი).

გოგოები

46 კგ.

1. გულიკო არუთინიანი; 2. მარიამ კარელიძე (ორივე - გორი); 3. აიშა ზადიროვა (თბილისი).

52 კგ.

1. თამუნა სამხარაძე (ჭიათურა); 2. ხატია მინდიაშვილი (საგარეჯო); 3. ფიქრია ეტაბაძე (ჭიათურა).

60 კგ.

1. თეონა ჯანდაგაშვილი (თბილისი); 2. ქეთი ცქვიტიშვილი (გორი); 3. ხათუნა თვაური (საგარეჯო).

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა. 23-წლამდელთა ნაკრები

23-წლამდელები ბორჯომში შეკრებაზე

ყველაფერს ბორჯომში დაასკვნიან

საქართველოს 23-წლამდელ მოჭიდავეთა გუნდები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებას ბორჯომში გადიან, სადაც მწვრთნელების განკარგულებაში გაფართოებული შემადგენლობებია.

ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი 23-წლამდელთა შორის უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში 28 მარტს აიღებს სტარტს, ფინიში კი 2 აპრილსაა. თავდაპირველად ჩემპიონატში თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდები ჩაებმებიან, მათგან პირველ დღეს კი 57, 65, 74 და 97 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, ხოლო 29-ში ათლეტები დანარჩენ ოთხ წონაში შეეცდებიან მედლების მოპოვებას.

ამის შემდეგ ჩემპიონატში უკვე გოგოები ჩაებმებიან, რომლებიც 30-31 მარტს იჭიდავებენ, ოღონდ იქ მონაწილე არ გვეყოლება. 1-2 აპრილი უკვე ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. მათგან თავდაპირველად 59, 71, 80 და 8-ის ახალგაზრდები გავლენ ხალიჩაზე, 66, 75, 85 და 130 კილოგრამის მოჭიდავეები კი ჩემპიონატის დასკვნით დღეს იჭიდავებენ.

ჩვენები უნგრეთშიც ამ განრიგის შესაბამისად გაემგზავრებიან. თავდაპირველად, 26 მარტს იქ **ზურაბ ჭილლაძის** გაწვრთნილი "თავისუფლები" გაფრინდებიან, რომლებიც ბორჯომულ შეკრებას 24-ში დაამთავრებენ. **ოთარ ტატიშვილი** და მისი ბერძენ-რომაელები უნგრეთში ორი დღის შემდეგ გაემგზავრებიან.

შეგახსენებთ, რომ ფედერაციის გადაწყვეტილებით, 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება ამავე ასაკში საქართველოს ჩემპიონებს მიეცათ. ვერ გეტყვით, მწვრთნელები რამდენად მტკიცედ დაიცავენ ამ გადაწყვეტილებას - შესაძლოა, ტრავმების ან რიგი მიზეზების გამო სადმე მონაწილე კიდეც შეცვალონ; მით უფრო, ქვეყნის ჩემპიონატში სწორედ ტრავმის გამო ზოგიერთ ლიდერს არ უჭიდავია. მაგალითად, ბერძენ-რომაელებში არ გამოსულა ოლიმპიური და ევროპის მესამე პრიზიორი **შმაგი ბოლქვაძე** (66). შესაძლოა, იყოს სხვა მიზეზებიც, ზოგიერთ წონაში კი ეს ხალხი ეროვნული ნაკრების სარეზერვო შემადგენლობაშიც შედის. ამიტომ ვამბობთ, რომ, იქნებ მწვრთნელებმა სადმე კიდეც შეცვალონ მონაწილე, თუმცა ვიდრე ისინი ოფიციალურად დაასახელებენ გუნდების შემადგენლობას, მანამ გაგაცნობთ საქართველოს ჩემპიონატების გამარჯვებულებს. იანვარში ამბროლაურში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ყველაზე უკეთ **რამაზ თურმანიძე** (57), **შოთა ფარტენაძე** (61), **ივერიკო ჯულაყიძე** (65), **მირზა სხულუხია** (70), **ავთანდილ კენჭაძე** (74), **ირაკლი მწითური** (86), **გივი მაჭარაშვილი** (97) და **გენო პეტრიაშვილი** (125) გამოვიდნენ, ბერძნულ-რომაულში კი ჩემპიონთა ამ ოქტეტმა იჩემპიონა: **დავით ჩხარტიშვილი** (59), **ედნარ შავაძე** (66), **რამაზ ზოიძე** (71), **ბაკურ გოგოლი** (75), **გელა ბოლქვაძე** (80), **ლაშა გობაძე** (85), **კუკური კირცხალია** (98) და **ზვიად პატარიძე** (130).

ირაკლი თავაძე

თარიღი

20-26 მარტი

20. 1985. დაიბადა **ზურაბ ხომასურიძე** - ცურვა
20. 1990. დაიბადა **ნუგზარ ტატალაშვილი** - ძიუდო
21. 1939. დაიბადა **გურამ საღარაძე** - თ\ჭიდაობა
21. 1943. დაიბადა **იური იმერლიშვილი** -ქართ. ჭიდ. სამბო, ჟურნალისტი
22. 1976. დაიბადა **ივერი ჯიქურაული** - ძიუდო
22. 1980. დაიბადა **ალექსანდრე დოხტურიშვილი** - ბ\რ ჭიდაობა
23. 1929. დაიბადა **რაფაელ ჩიმიშკიანი** - ძალოსნობა
23. 1932. დაიბადა **მიხეილ ხერგიანი** - ალპინიზმი. გარდ.1969 წ
23. 1968. დაიბადა **ლევან ჯავახიშვილი** - ჟურნალისტი
24. 1931. დაიბადა **ზაურ კალოევი** - ფეხბურთი. გარდ.1997 წ
24. 1929. დაიბადა **პეტრე მშვენიერაძე** - წყალბურთი. გარდ.2003 წ
24. 1953. დაიბადა **ოთარ გაბელია** - ფეხბურთი
24. 1974. დაიბადა **იოსებ ახალბედაშვილი** - სამბო
25. 1949. დაიბადა **მანუჩარ მაჩაიძე** - ფეხბურთი
25. 1965. დაიბადა **ინგა ჩახვაშვილი** - ჟურნალისტი
26. 1934. დაიბადა **ანზორ კიკნაძე** - ძიუდო. გარდ.1976 წ
26. 1938. დაიბადა **ანატოლი მილჩენკო** - ფეხბურთი, მსაჯი. გარდ. 2011 წ

საქართველოს რაგბის კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პირველი თაობის "ბორჯღალოსანი"

ალექსანდრე ისაკაძე.

დაიბადა 1959 წელს. მოწაფეობისას თამაშობდა კალათბურთს, შემდეგ კი, რაგბიზე გადმოერთო და ტანადობით მეორე ხაზს მოერგო.

1981 წელს მიიღეს ქუთაისის პირველ გუნდში, რომელსაც დღეს "აიად" ვიცნობთ. საბჭოეთის ორგზის ჩემპიონს (1988, 1989) 5 ნომერი, ღვინისფერი კვართი ემოსა "ბორჯღალოსნების" ნათლობის ტესტში - 1989 წლის 12 სექტემბერს, ზიმბაბვესთან

1990 წელს მოიპოვა საბჭოეთის თასი და საქართველოს პირველობა, 1991 წელს კი ჩოხატაურის "ჯანში" თამაშობდა

კარიერა 1995 წელს დაასრულა - "აია ჰეის" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 23 მარტს.

სუმო. ჰარუ ბაშო. ოსაკა. 12-26 მარტი

3–5 და 4–4

ოსაკას "ედიონ არენაზე" ჰარუ ბაშო ეკვატორს გასცდა (ნაკაბი). ელიტაში ერთი ქართველი სუმოისტი ჭიდაობს - **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**.

მე-10 მაეგაშირას 3-5 ბალანსი აქვს. ჩვენებურმა **კოტოიუკი** და **მიოგირიუ** დაამარცხა, კვირას კი მან **ტაკაკეიშოსთან** წააგო. მისი მომდევნო მეტოქე მე-6 მაეგაშირა **ჩიონოკუნია**.

თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ) ძურიოს მე-2 ნომერია მას 4-4 ბალანსი აქვს და მე-5 ნომერ **კოტოეკოს** ხვდება.

საბურნირო მდგომარეობა

8-0: კისენოსატო (იოკოძუნა), ტაკაიასუ (სეკიოკე).
7-1: ტერუნოფუჯი (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 10)... **3-5**: ტოჩინოშინი (მ 10).

IX დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): კაკურიუ-ტაკარაფუჯი, ჰარუმაფუჯი-არავაში, კისენოსატო-კოტოშოგიკუ, ტერუნოფუჯი-იკიო, **ტოჩინოშინი**-ჩიონოკუნი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი

შაფათავამ ანტალია მოიგო

თურქულ ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში წარმატებით ითამაშა ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **სოფიო შაფათავამ.** საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების ლიდერმა ხუთივე შეხვედრა მოიგო: სტარტზე სერბ ბოიანა მარკოვიჩს სძლია — 6:2, 6:3, შემდეგ მისი თანამემამულე მარინა კაჩარი ჩამოიშორა გზიდან — 6:4, 6:4. მესამე შეხვედრაში ჩინელი ჟუომა ნი მა დაჯაბნა — 6:1, 6:3, ნახევარფინალში მეშვიდე ნომრად განთესილი რუსი ალიონა ტარასოვა დაამარცხა — 7:5, 7:5, გადამწყვეტ პაექრობაში კი მეორე ნომერ აილა აქსუს (თურქეთი) აჯობა სამ სეტში — 2:6, 7:5, 7:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

წყვილებში სოფიო შაფათავა ყირგიზ ქსენია პალკინასთან იყო შეამხანაგებული და განთესვით მესამენი იყვნენ. პირველ შეხვედრაში ქართულ-ყირგიზულმა დიუეტმა სერბებს — მილიცა კურბანოვიჩსა და ბოიანა მარკოვიჩს მოუგო — 7:5, 6:2, მერე მათს გზას გაუყენა მარინა ჩერნიშოვა (უკრაინა) და ინბარ კოენი (ისრაელი) — 6:1, 6:2. შაფათავამ და პალკინამ ნახევარფინალი შეჯიბრების პირველ ნომრებთან — დია ევტიმოვასა (ბულგარეთი) და იასმინა ტინჯიჩთან (ბოსნია) დათმეს — 6:1, 2:6, 6:10. წყვილებში პირველი ადგილი რუსებმა — ანასტასია ფროლოვამ და ალიონა ტარასოვამ დაიკავეს, რომლებმაც ევტიმოვასა და ტინჯიჩს 7:5, 6:1 სძლიეს.

სოფიო შაფათავა

შაფათავა ისევ ანტალიაში რჩება და ამ კვირას ახალ 15.000-იან ტურნირში იასპარეზებს. ისევ პირველ ნომრად იქნება განთესილი. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპში გუშინ ჩაებნენ **ანა შანიძე** და **ლანა კენჭიაშვილი.** შანიძემ პირველ წრეში უკრაინელ ანასტასია ხარჩენკოს პირველი სეტი 6:4 მოუგო, მეორეში 3:0 რომ დაწინაურდა, მეტოქემ ტრავმის გამო შეჯიბრება ვეღარ განაგრძო. დღეს ანა ბელგიელ ანაის დეფოსეზს გაუწევს მეტოქეობას ძირითად ბადეში მოსახვედრად. კენჭიაშვილი სტარტზევე მარტა კოსტიუკთან (უკრაინა) ორ სეტში 0:6 და 3:6 დამარცხდა.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

ჩემპიონობა ვადამდე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა საქართველოს 74-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სიტემით 10 დიდოსტატი, საერთაშორისო და ფიდეს ოსტატი მონაწილეობს. შეგახსენებთ, რომ ტურნირში სხვადასხვა მიზეზით არ ასპარეზობენ დიდოსტატები ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი და ლელა ჯავახიშვილი. ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 17.500 ლარი, რომელიც პირველ-მეხუთე ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებზე ასე განაწილდება: I ადგილი-5.500 ლარი, II-4.500, III-3.500, IV-2.500, V-1.500 ლარი.

გასულ უქმეებზე სამი ტურის შეხვედრები გაიმართა.

VI ტური.

ანა კუჭავა-სოფიკო ხუხაშვილი 0.5:0.5, თამარ წერეთელი-სოფიო გვეტაძე 0.5:0.5, სალომე მელია-მირანდა მიქაძე 0:1, ბელა ხოტენაშვილი-მერი არაბიძე 1:0, ნინო ხურციძე-ნინო ხომერიკი 1:0.

VII ტური.

ხომერიკი-კუჭავა 1:0, არაბიძე-ხურციძე 0.5:0.5, მიქაძე-ხოტენაშვილი 0.5:0.5, გვეტაძე-მელია 0:1, ხუხაშვილი-წერეთელი 0:1.

გუშინ ბოლოსწინა მე-8 ტურის ორთაბრძოლებში შედეგიანი მხოლოდ ერთი პარტია აღმოჩნდა — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ნინო ხურციძემ მირანდა მიქაძე დაამარცხა და გათამაშების ცხრილის მეორე საფეხურზე გადაინაცვლა. ერთპიროვნული ლიდერი ბელა ხოტენაშვილი თეთრი ფიგურებით სოფიო გვეტაძეს შეუთანხმდა ყაიმზე, მოაგროვა 6.5 ქულა და საქართველოს ჩემპიონობა ვადამდე მოიპოვა. დაზავდნენ კუჭავა-წერეთელი, მელია-ხუხაშვილი, ხომერიკი-არაბიძე. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა დღეს გაირკვევა.

რვა ტურის შემდეგ: ბელა ხოტენაშვილი-6.5, ნინო ხურციძე-5.5, სალომე მელია-5, მერი არაბიძე, სოფიო გვეტაძე-4.5-4.5, თამარ წერეთელი-4, ნინო ხომერიკი-3.5, მირანდა მიქაძე, ანა კუჭავა-2.5-2.5, სოფიკო ხუხაშვილი-1.5 ქულა.

დღეს მეცხრე ტურში ითამაშებენ: მერი არაბიძე-ანა კუჭავა, მირანდა მიქაძე-ნინო ხომერიკი, სოფიო გვეტაძე-ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი-ბელა ხოტენაშვილი, თამარ წერეთელი-სალომე მელია.

ვაჟა დანელია

ბელა ხოტენაშვილი

კრივი

ორი ბრინჯაო დაიბეჭდა

შვიდი ჩვენებური ჩაება რუმინულ ბრაილაში 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის პირველ ჩემპიონატში, რომელშიც 34 ქვეყნის წარმომადგენლები ცდიდნენ ძალებს. საქართველოს ნაკრებიდან (მთავარი მწვრთნელი **ლაშა დუნდუა**) შესანიშნავად იასპარეზეს 20-წლამდელებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა **ესკერხან მადიევმა** და **ლაშა გურულმა.** 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში თბილისელმა მადიევმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო: სტარტზე ბულგარეთის სახელით მოასპარეზე რობერტ ჩამასანიანი ჩამოიშორა გზიდან, მერე მასპინძელი მარიან პიტა დაამარცხა — 4:1, მეოთხედფინალში ინგლისელ კარლ ფაილის გადაუღობა მედლისკენ მიმავალი გზა — 3:2 და ნახევარფინალში გავიდა, რითაც ბრინჯაოს მედალი დაიბევა. მადიევი დღეს გერმანელ პაულ ველისთან გაარკვევს ურთიერთობას. ალემანმა მეოთხედფინალში იტალიელ ვისენცო არეჩიას მოუგო 3:2. ამ ორთაბრძოლისას რინგზე რეფერი გახლდათ ქართველი საერთაშორისო არბიტრი **ტარიელ გოგოჭური.** მეორე ნახევარფინალურ პაექრობაში რუსი ვლადისლავ სავოსტიანოვი და თურქი სერხათ გულერი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას მეორე მედალი გურულმა მოუტანა — 64 კილოში ისიც ნახევარფინალში გავიდა და სულ მცირე ბრინჯაო გაინაღდა. მადიევის მსგავსად, ლაშაც მერვედფინალიდან ჩაება ჩემპიონატში: სტარტზე რუს ანდრეი კირიჩენკოს აჯობა — ხუთივე მსაჯმა უპირატესობა ქართველ მოკრივეს მიანიჭა. ჩვენებურმა შემდეგ ჰადი სრურს (ნორვეგია) სძლია, გუშინ კი მასპინძელი დანიელ კრისტოფერ კოსტია გაისტუმრა მაყურებლებში. ნახევარფინალში ქართველს მეტოქეობას გაუწევს იტალიელი პაოლო დი ლერნია, რომელმაც ირლანდიელი ჯეიმს ფლავინი დაჯაბნა.

49 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ნოდარ დარბაიძემ** პირველ წრეში დანილ პლატონოვშის (მოლდოვა) აჯობა, მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლა ინგლისელ ერიკ ჰარვეისთან მინიმალური ანგარიშით დათმო და შეჯიბრებას გამოეთიშა. საქართველოს ნაკრების ოთხმა წევრმა კი პირველი წრე ვერ გადალახა.

ვაჟა დანელია

ლეგიონი



შერმადინი სხვა ჯალიდან

ბექას 16 + გიოს 27 = ანდორას 100

გიორგი შერმადინისა და **ბექა ბურჯანაძის** „ანდორამ" „სარაგოსას" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 100:92 დაამარცხა.

ორივე ქართველმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო. გიომ სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა: 31 წუთში 27 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. 3 ორქულიანის 100-პროცენტიანი სიზუსტით ჩაგდებაც მოსაწონია, 5 ორქულიანისაც, შერმადინმა კი 9-დან 9 ჩააგდო! მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით გიოს ბადალი არ ჰყავდა: +41.

სარგებლიანობით ქართველ ცენტრს თანამემამულე ფორვარდი ბექა ბურჯანაძე მოსდევდა: +22. 26 წუთში მან 16 ქულა, 6 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. სროლის სიზუსტე მასაც შესაშური ჰქონდა - 3/2 ორქულიანი, 4/3 სამიანი, 4/3 საჯარიმო.

ორმა დავიდმა, **ჟელინეკმა** და **უილკერმა** „ანდორას" ქართულ 43-ქულეულს 17-17 ქულა მიახმარეს.

ესპანეთის ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე მატჩის ვიდეომიმოხილვაში შერმადინის მხოლოდ ერთი ჩაგდება მოხვდა. გაგიკვირდებოდათ - 27 ქულიდან სანახაობრივი ერთზე მეტი არ იყოო? თურმე ესპანელებს გიორგის „სარაგოსასთან" თამაშის სრული ჰაილაითები ამოუკრეფიათ და მისი ხილვა მიმოხილვის გვერდით შეიძლება. ეს ნებისმიერმა ქართველმა უნდა ნახოს: იყო ეფექტური ჩატენვები, საშუალო დისტანციიდან ტყორცნები, ლიპსოები, ორ კაცს შორის გაძრომა-გადახტომა... მოკლედ, ნამდვილად ვერ ვიტყვით, ქართველმა ცენტრმა 9-დან 9 იმიტომ ჩააგდო, რომ იოლი გასეირნება ჰქონდა.

აი, რას ვკითხულობთ გამოცემა „სოლობასკეტზე": „ქართველ „მხატვარს" ფარქვეშ თითქოს მეტოქე არ ჰყავდა, სარაგოსელები, ნორელი, ფოტუ და კრალიევიჩი ბევრს ეცადნენ, მაგრამ „ანდორას" MVP-ის ვერაფერი დააკლეს."

ესპანეთის ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე მატჩის ვიდეომიმოხილვას ასეთი წანამძღვარი აქვს: „ეს იყო შერმადინის შოუ. ქართველმა „ქილერმა" თამაშიდან ბურთი არ ააცილა, თავის ყოფილ გუნდ „სარაგოსას" 27 ქულით მოუღო ბოლო."

გიორგის ჰაილაითებს კი შემდეგი სათაური ამშვენებდა: „არამინიერი შერმადინი!" იქვე წერია: „სარაგოსელები ვერაფრით მიხვდნენ, რა ხერხით გაეჩერებინათ სხვა პლანეტიდან ჩამოსული ქართველი გოლიათი".

ნამატჩევს გიორგის ესპანურ თანავარსკვლავედში მდებარე ჯუჯა პლანეტა ანდორაზე შევეხმიანეთ და „სარაგოსასთან" მატჩის პერიპეტიებზე ვესაუბრეთ. ინტერვიუს შემდეგში შემოგთავაზებთ, აქ კი მის კომენტარს გავეცნოთ.

- „ანდორას" დარბაზი სავსე იყო, 4 ათასი მაყურებელი შეკრებილიყო. თამაში თავიდან ბოლომდე დაძაბული გამოდგა და უნდა გენახათ ქომაგმა რა ატმოსფერო შექმნა, განსაკუთრებით მეოთხე პერიოდში. ასეთი შეხვედრის წაგება ნამდვილად არ შეიძლებოდა. არადა, რთული თამაში იყო, რამდენჯერაც წინ გავიჭერით, არაგონელები იმდენჯერ დაგვეწივნენ. მეოთხე პერიოდი რომ დავიწყეთ, 67:67 იყო, შემდეგ 2 ქულითაც გაგვასწრეს - 84:82. თუმცა სწორედ მას მერე ჩავტენე, ბექა ბურჯანაძემაც მნიშვნელოვანი ტყორცნა გამოიყენა და მალევე დავწინაურდით 6 ქულით. სწორედ მაშინ ამოვისუნთქეთ...

- გასულ კვირას „მურსიაში" მძიმე მატჩი გვქონდა, ბურთს რომ მივიღებდი, მეტოქე ცენტრისა და მძიმე ფორვარდის გარდა მესამე კაციც ჩემსკენ გამორბოდა, ის, ვისი კაციც პასს მაძლევდა. მეც გამიჭირდა და გუნდსაც. „სარაგოსასთან" შეხვედრაში სხვა ტიპის დაცვა იყო, ერთი კაცი მიჭერდა და მძიმე ფორვარდი ხანდახან ეხმარებოდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ბექა ბურჯანაძეს. იგი მძიმე ფორვარდია, პერიმეტრიდან თამაშობს. ბექას მეურვე ფრთხილობს, სამქულიანზე რომ დატოვოს, იცის, ბექა ჩააგდებს. შესაბამისად, ცენტრის დასახმარებლად და ჩემ წინააღმდეგ სათამაშოდ სარაგოსელი ფორვარდები სამწამიან ზონაში ხშირად ვერ ჩამოდიოდნენ. ბექას ხუთეულში დაყენება გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იყო. მშვენივრად ითამაშა.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონი

ლიდერი შენგელია და ძლეული ცსკა

თორნიკე შენგელიას ლიდერობით „ბასკონიამ" ევროლიგაში მოსკოვის ცსკა დაამარცხა. ვიტორიელებმა, რომლებიც პლეი ოფში გასასვლელად იბრძვიან, ევროლიგისა და მთლიანად კონტინენტის ერთ-ერთ მოწინავე გუნდს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში, ერთი ქულის სხვაობით - 79:78 სძლიეს.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელი ქართველი ფორვარდი გახდა, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველად გამოჩნდა სასტარტო ხუთეულში და მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო შედეგიც დააფიქსირა.

შენგელიამ 23 წუთი ითამაშა და სროლები ასპროცენტიანი სიზუსტით შეასრულა. 2 ორქულიანი, 1 სამიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, 9 ქულას 6 მოხსნა (2 შეტევაში), 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება წაამატა. შედეგად, თორნიკეს სარგებლიანობის კოეფიციენტმა 24 შეადგინა, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ქართველის კვალზე მასპინძელთაგან უნგრელი **ადამ ჰანგა** (15 ქულა), ამერიკელები **შეინ ლარკინი** (12) და **ჩეიზ ბადინგერი** (10), **ფრანგი კიმ ტილი** (11) გამოირჩნენ, ცსკა-ს კი ტრადიციულად, ფრანგმა **ნანდო დე კოლომ** (22 ქულა, 6 პასი) და სერბმა **მილოშ ტეოდოსიჩმა** (19 ქულა, 6 პასი) ულიდერეს.

ამ გამარჯვებამ „ბასკონია" ცხრილში მე-5 ადგილამდე აღაზევა. შენგელიას გუნდს აქტივში 15 გამარჯვება და 11 მარცხი აქვს. მორიგი მატჩი ვიტორიელებს 21 მარტს, სტუმრად, გერმანულ „ბამბერგთან" ელით.

ვაჟა სიმონიშვილი

სუპერლიგა 2016-17

17 მარტი, ქუთაისი

ქუთაისი-კაკტუსი 82:78

19:26, 6:19, 30:21, 27:12

ქუთაისი: ცეკვავა (16ქ, 6მ), ქადარია (2ქ), გ. ბარბაქაძე (12ქ), ცინცაძე (17ქ, 8მ, 7პ), ბექაური (5ქ, 7მ), ბოისა (4ქ), ფაშაევი (11ქ), ბაბუნაშვილი (2ქ), ლომოური (13ქ), ტუბაკი.

კაკტუსი: ჩიკვილაძე (19ქ, 9მ), ჩლაიძე (15ქ, 6მ), ბრიჯმენი (12ქ, 9მ), ბააკაშვილი (7ქ), ფლოვიესი (12ქ, 7მ), უაითი (7ქ), ლოლიშვილი, დ. ლომიძე (6ქ).

მსაჯები: დ. ბერიშვილი, დ. ბერეკაშვილი, მ. ვართანოვი

მოულოდნელი 20 წუთი. საინტერესო და ემოციებით დატვირთული შეხვედრა გაიმართა ქუთაისში, სადაც ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა "ქუთაისმა", შეუძლებელი შეძლო და 22-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად "კაკტუსი" მიმდინარე სეზონში მესამედ დაამარცხა. მატჩი ორი, რადიკალურად განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. საწყის ორ პერიოდში "ქუთაისი" უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა, დაცვაც მოშლილი იყო და შეტევაშიც არაფერი გამოსდიოდა. სტუმრები კი პირიქით, დიდი მონდომებით თამაშობდნენ და ანგარიშს არითმეტიკული პროგრესიით ზრდიდნენ.

თანაბარი საწყისი 7 წუთის შემდეგ კაკტუსელებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, რაც ანგარიშშიც აისახა. სტუმართა გუნდიდან განსაკუთრებით **ბექა ჩიკვილაძე** გამოირჩეოდა, რომლის განეიტრალებაც ქუთაისელებმა ვერაფრით მოახერხეს. კაკტუსელებმა პირველი პერიოდი 26:19 მოიგეს, ხოლო მეორე მეოთხედში კიდევ უფრო დიდი შემართებით ითამაშეს და შესვენებაზე 20-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ - 45:25. თამაშის განახლებისთანავე **ტერიკ ბრიჯმენმა** 2-ქულიანი ჩააგდო და მატჩის ყველაზე დიდი სხვაობა დააფიქსირა-25:47.

შემოპრუნება. "კაკტუსი" 22 ქულით დაწინაურდა და მოგების რეალური შანსი გაუჩნდა, მაგრამ "ქუთაისი" დროულად გამოფხიზლდა. ამაში თავისი წვლილი გულშემატკივრებმაც შეიტანეს, რომლებიც დიდი სხვაობით ჩამორჩენის მიუხედავად საკუთარ გუნდს ენერგიულად ქომაგობდნენ. **აკაკი ლომოურსა** და **ზაურ ფაშაევს** სამქულიანი სროლები წაუვიდათ, შედეგიანად უტევდნენ **გოგა ცეკვავა** და **გიორგი ცინცაძეც**, შედეგად მასპინძლებმა მესამე პერიოდი 30:21 მოიგეს და თამაშის შემობრუნების შანსიც გაუჩნდათ.

ქუთაისელები გადამწყვეტ პერიოდში შეუჩერებელნი იყვნენ, სტუმართა ზედიზედ ორი ტექნიკურისა და ცინცაძის "ენდვანის" შემდეგ ანგარიში 60:66 გახდა. ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე მასპინძლების მხარეს იყო, ქუთაისელები ისეთი შემართებით თამაშობდნენ, რომ "კაკტუსი" მათ ვერაფერს უპირისპირებდა. მატჩის დასრულებამდე 2:30 წუთით ადრე, აკაკი ლომოურმა "ქუთაისი" წინ გაიყვანა 73:72. ამას ცეკვავასა და ცინცაძის ზუსტი შეტევები მოჰყვა და **კოტე ტულუშის** გუნდი ბოლო წამებზე 5 ქულით გავიდა წინ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის განმავლობაში რამდენჯერმე გითიშა ტაბლო, ამ ხარვეზმა გუნდები განსაკუთრებით მატჩის უკანასკნელ წუთზე გააწამა. ტაბლოს გაუმართობაზე შეხვედრის შემდეგ სტუმართა თავკაცმა **არჩილ ჟღენტმაც** გაამახვილა ყურადღება, მისი თქმით იმ ტექნიკური ხარვეზის გამო, რაც თამაშის განმავლობაში მრავალჯერ დაფიქსირდა, გუნდს ტემპს უგდებდა და ცუდად ისახებოდა კალათბურთელების შემართებაზე:

- ჩვენ, ალბათ, შეგვეძლო ტექნიკური შეფერხებისას დაგვეტოვებინა დარბაზი, მაგრამ ასე არ გავაკეთეთ. ვფიქრობ, ფედერაციამ მსგავს ხარვეზებს ყურადღება უნდა მიაქციოს და გამოასწოროს. სტუმრებმა ბოლო წამებზე კიდევ გაიბრძოლეს, მაგრამ "ქუთაისს" უპირატესობა აღარ დაუთმია და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

გამორჩეული. მასპინძელთაგან 17 ქულით, 8 მოხსნითა და 7 პასით გიორგი ცინცაძე გამოირჩა. ცინცაძე განსაკუთრებით მატჩის მეორე ნახევარში იყო ნაყოფიერი და საკუთარი გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 16 ქულა ჩააგდო გოგა ცეკვავამ, რომელმაც ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 13 ქულაა აკაკი ლომოურის ანგარიშზე. "კაკტუსში" 19 ქულით და 9 მოხსნით საუკეთესო ბექა ჩიკვილაძე გახლდათ, 15 ქულა დააგროვა **ირაკლი ჩლაიძემ.**

დიდი შემოპრიალება

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. დინამო	22	21	1	1943/1586	43
2. ქუთაისი	22	16	6	1772/1660	38
3. რუსთავი	22	13	9	1749/1735	35
4. სოხუმი	22	9	13	1811/1869	31
5. კაკტუსი	22	8	14	1722/1885	30
6. ბათუმი	22	8	14	1678/1756	30
7. ოლიმპი	22	7	15	1585/1642	29
8. მგზავრები	22	6	16	1633/1760	28

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

სუპერლიგა 2016-17

17 მარტი, ბათუმი

ბათუმი-მგზავრები 81:78

19:24, 16:20, 23:17, 23:17

ბათუმი: ჯინჭარაძე (21ქ, 7მ), ლეჟავა (10ქ, 8პ, 5მ, 3ჩ), ლ. რევაზაშვილი (9ქ, 5მ), თენიეშვილი (6ქ), კრივცოვი (4ქ), რამიშვილი (3ქ), მაისურაძე, შემოსიუკი (26ქ, 3პ), მ. რევაზაშვილი (2ქ).

მგზავრები: ფხაკაძე (13ქ, 4ჩ), ცირეკიძე (6ქ, 9მ), ლომინაშვილი (6ქ), ტურძელაძე (2ქ), ქავთარაძე, ტეილორი, მერფი (7ქ, 12მ), ალენი (15ქ, 5მ, 3პ), რენსომი (29ქ, 8მ, 3ჩ, 3დ).

მსაჯები: ი. ბერიშვილი, მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე.

გადამწყვეტი. ბოლოსწინა წუთზე ზღვისპირელები 78:73 დაწინაურდნენ, თუმცა "მგზავრები", რომლებსაც აქამდე "ქუთაისიც" დამარცხებული ჰყავთ და "დინამოც", არ ტყდებოდნენ, ბოლომდე იბრძოლეს. უკანასკნელ წამებზე სტუმრები მეტოქეს ერთი ქულით - 78:79 მიუახლოვდნენ, მაგრამ საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე **რამიშვილმა** ორი საჯარიმო ჩააგდო და საფინალო ანგარიში დააფიქსირა - 81:79.

ამ მოგებით აჭარლებმა ნახევარფინალში გამსვლელ კვარტეტში მოხვედრის კარგი შანსი შეინარჩუნეს.

სტატისტიკა არ ტყუის. "მგზავრებმა" ბათუმელებზე 11-ით მეტი ორქულიანი ჩააგდეს (24), თუმცა მატჩის ბედი პერიმეტრიდან ტყორცნებმა გადაწყვიტა: მასპინძლებმა 15 სამიანი ჩააგდეს, საკუთარ კალათში კი 4 მიიღეს.

გამორჩეული. ბათუმელმა უკრაინელმა **ილია სემოსიუკმა** პერიმეტრიდან დიდი თავსატეხი გაუჩინა სტუმრებს - 15-დან 8 სამიანი გამოიყენა და 26 ქულამდე ავიდა. **კახა ჯინჭარაძეც** ეფექტური იყო - 21 ქულა.

ნამატჩევს. ბუბა ბერიშვილი ("მგზავრების" მწვრთნელი):

"მინდა აღვნიშნო მსაჯების შეცდომა თამაშის მინურულს. ბოლოს ჯარიმა არ დასტვინეს და გავასაჩივრეთ კიდეც... ვიცოდით, რომ "ბათუმი" გარე ტყორცნებზე გააკეთებდა აქცენტს და შედეგიც სახეზეა - 15 სამქულიანი ჩაგვიგდო."

18 მარტი, თბილისი

ოლიმპი-დინამო 82:84 დ.დ.

18:15, 20:34, 14:13, 21:11, 9:11

ოლიმპი: გივი ბაქრაძე (6მ, 6პ), ბურნეთი (14ქ), როგავა (22ქ, 5მ, 4პ), ბები ბაქრაძე (6ქ, 7მ), მიქელაძე (15ქ, 3პ), კახა ტომარაძე (7ქ, 5მ), მასხულია (8ქ, 5მ), პიჩფორდი (10ქ), შლიცერი.

დინამო: ვონი (8ქ, 9პ, 5მ, 3ჩ), გრძელიძე, ღურწკაია, ლონდარიძე (22ქ, 6მ), ფაცაცია (9ქ, 12მ, 5პ), ჭოჭუა (17ქ, 3ჩ), გ. რევაზაშვილი (2ქ), ბერიშვილი (15ქ, 7მ), გოგოძე (11ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

გადამწყვეტი. მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე სამი წუთით ადრე "დინამო" 3 ქულით იგებდა, თუმცა სწორედ ამის შემდეგ გაიბრწყინა **რეზო როგავამ,** ჯერ ორი სამქულიანი ჩააგდო, ხოლო სირენამდე 13 წამით ადრე - ორიანი. ცხადია, ბოლო წუთებზე არც "დინამო" იყო გულხელდაკრეფილი და რეზოს ორქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 73:73.

დამატებითი დრო **ლონდარიძე-ვონის** ზუსტი ტყორცნებით დაიწყო, რაც ფაცაციამ სამქულიანით დააგვირგვინა და ჩემპიონატის ლიდერებს 8-ქულიანი უპირატესობა მოუპოვა - 81:73.

"ოლიმპმა" ფარ-ხმალი არ დაყარა, **მიქელაძის** სამქულიანით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა (29 წამით ადრე), მაგრამ დინამოელებს გამარჯვება მაინც ვერ წაართვა.

სტატისტიკა არ ტყუის. "ოლიმპმა" 20 შეცდომა დაუშვა, "დინამომ" - 22. თუმცა **ირაკლი ხოშტარიას** შეგირდებმა მეტოქის შეცდომებიდან გაცილებით უკეთესად ისარგებლეს - 27 ქულა ჩააგდეს. მაშინ, როცა "ოლიმპმა" მეტოქის დაკარგვების შედეგად 9 ქულა მოიპოვა.

გამორჩეული. გამარჯვებულებს ილია ლონდარიძემ ულიდერა, "ოლიმპს" კი რეზო როგავა გაუძღვა. ორივემ 22-22 ქულა ჩააგდო.

18 მარტი, რუსთავი

რუსთავი-სოხუმი 88:69

17:15, 24:19, 13:21, 34:14

რუსთავი: ქიტოშვილი, ლორთქიფანიძე, ლი (6ქ, 12პ, 6მ), წიქარიშვილი, ჩაჩანიძე (23ქ), ათუაშვილი (17ქ, 15მ, 4პ, 2დ), კასერბაუერი (18ქ, 3პ), გუგავა, სპანოლო (12ქ, 11მ, 4პ), ბრიგსი (12ქ, 6მ).

სოხუმი: კვეტენაძე (2ქ), ბერუაშვილი, კოკა ტომარაძე (4ქ), ბოქოლიშვილი (11ქ), ზაქრაძე, ჯგერენაია (5ქ, 3პ), დ. ბარბაქაძე (9ქ), ლათანი (14ქ, 5მ), ტიშენკო (17ქ), ზაბირჩენკო (5ქ, 4პ), ვუდსონი (2ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი.

გადამწყვეტი. "რუსთავისთვის" "სოხუმთან" მატჩი ფასეული იყო, მოგების შემთხვევაში ნახევარფინალში მოხვედრას ინაღდებდა. რაც შეეხება "სოხუმს", მეოთხე ადგილისთვის იბრძვის და ერთადერთი გამარჯვებით უსწრებს მეხუთეადგილოსანს.

სოხუმელები რუსთაველებს მესამე პერიოდის შემდეგ 1 ქულით უგებდნენ, თუმცა მასპინძლებმა გადამწყვეტ ათწუთეულში სამაგალითოდ ითამაშეს და პერიოდის 34:14 მოგებით 88:69 გაიმარჯვეს.

სტატისტიკა არ ტყუის. რუსთაველებმა ფარქვეშაც უკეთესად ითამაშეს და სტუმრებზე მეტი სამიანიც ჩააგდეს. **რამაზ გოგობერიშვილის** შეგირდებმა მოხსნებში 45:30 იმარჯვეს, ხოლო რეალიზებულ სამქულიანებში - 9:5.

გამორჩეული. ქულებში საუკეთესო **რეზო ჩაჩანიძე** იყო (23), მოხსნებში - **სერგო ათუაშვილი** (15), ხოლო პასებში **ჩარლი ლი** (12).

ნამატჩევს. ვიტალი ჩერნი ("სოხუმის" მწვრთნელი):

"საწყის სამ პერიოდში კარგად ვითამაშეთ, თუმცა ბოლომდე ვერ მოვახერხეთ ტემპის დაჭერა. მეოთხე პერიოდში მეტოქემ არაერთი შორი სროლა ჩაგვიგდო, რაც გახდა კიდეც მატჩის შედეგის განმსაზღვრელი.

ის, რომ ბოლო პერიოდში გავტყდით, ფსიქოლოგიური სახის პრობლემაზეც მიუთითებს, რაზეც მუშაობა გვმართებს. წინ 5 ტურია და ვეცდებით, პლეი ოფში გამსვლელ ოთხეულში ადგილი მოვიპოვოთ."

ვაჟა სიმონიშვილი

ანთიმოზ ივერიელი რუმინეთში დავჭოვეთ

ლაშა ლომიძემ მეტოქე შებოჭა

რუმინეთი-საქართველო 8:7

რუმინეთი (15-9) ფერკუ, შენანი, უმაგა, ფაკაოსილეა, დუმიტრუ, ვლაიკუ, სურუჯუ (კალაფეტეანუ 65). (1-8) ბადიუ (კაპატანა 67), ტურაშვილი (ბრისტავიტა 65), ტარუსი (გორდასი 70), ფან ჰერდენი, ანტონესკუ, ლუკანი (პოპირლანი 70), გორჩიოანა, მაკოვეი (ლაზარი 73).

ლ: ფერკუ. ს: ვლაიკუ

საქართველო (15-9) კვირიკაშვილი, თოდუა, კაჭარავა (კოშაძე 67), შარიქაძე, სვანიძე, ხმალაძე, ლობჟანიძე (ბეგაძე 65). (1-8) ნარიაშვილი, ბრეგვაძე (ჟვანია 65), ბეკოშვილი (ტაბიძე 41), ნემსაძე (ლომიძე 9), მიქაუტაძე, თხილაშვილი, გორგოძე (ცუცქურიძე 74), გორგაძე

ლ: შარიქაძე. გ: კვირიკაშვილი

მსაჯი: იან დევისი (უელსი)

საქართველოს ნაკრებმა "რაგბი ევროპის ჩემპიონატზე" ხუთწლიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. რუმინელებთან კი, ბოლოს 2010 წლის მერე არ წაგვეგო. ეს სერიაც შეწყდა. "ბორჯღალოსნებმა" წელვანდელი გათამაშების ბოლო მატჩში სტუმრად, ბუქარესტში რუმინეთის ეროვნულ გუნდთან 7:8 წააგეს, "რაგბი ევროპის ჩემპიონატის" ფარი და "ანთიმოზ ივერიელის თასიც" მასპინძლებს დაუტოვეს.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ რუმინელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წლების განმავლობაში მუდმივი მარცხის შემდეგ "სტეჟარიმაც" გაიხარა. მერა რა, რომ რუმინელთა რიგებში ახალზელანდიელი, სამოელი, სამხრეთაფრიკელი, ინგლისელი და ქართველი მორაგბე თამაშობდნენ. მათ ასპარეზობის უფლება ოფიციალურად ჰქონდათ. მთავარი ისაა, რომ აშკარად ჯანზე მყოფ რუმინელებს ვერაფერი დავუპირისპირეთ, განსაკუთრებით კი, მეორე ტაიმში.

პირველ ტაიმს თითქოს არა უშავდა. ის მოვიგეთ კიდეც - 7:5, მაგრამ შერკინებაში რუმინელთა მიერ მოპოვებული უპირატესობა რომ კარგს არაფერს გვიქადდა, ცხადი იყო. ასე ჩვენი გუნდი სტატიკურ მდგომარეობაში თამაშისას ახალი ზელანდიის ნაკრებსაც არ დაუჩაგრავს.

მასპინძელთა უპირატესობა ამ კომპონენტში თვალნათელი მას შემდეგ გახდა, რაც მე-4 წუთზე ფრთაზე გარემარბივით მორბენალმა მეორეხაზელმა **გიორგი ნემსაძემ** სრულიად უწყინარ სიტუაციაში ფეხი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა.

პირველ ნახევარში ჩვენი მორაგბეები ხელდახელ, თანამედროვე რაგბის თამაშს ცდილობდნენ და გამოსდიოდათ კიდეც. ერთი იყო, რომ ჩვენი პირველხაზელები მეტოქეს დინამიკურ თამაშში ვერ ჩაგრავდნენ, ხაზს იშვიათად ჭრიდნენ მიძალებისას. რუმინელები თავს თავგანწირვით იცავდნენ. სწორედ ამაზე ლაპარაკობდა თამაშის წინადღეს მათი ერთ-ერთი მწვრთნელი **მარიუს ტინკუ.**

ლელო, რომელიც დასაწყისშივე მასპინძლებმა გაგვიტანეს, თითქმის კურიოზული იყო და ძალიან ჰგავდა ნოემბრის ტესტებზე იაპონიის ნაკრებთან გაშვებულ პირველ ლელოს. "ბორჯღალოსნების" იერიშისას ბურთი წინ გადაგვივარდა. რუმინელთა ცხრა ნომერმა **ფლორინ სურუჯუმ** ბურთი ფეხით ჩვენს 22-მეტრიან ზონაში გადაკიდა. თავადვე მიჰყვა. საქართველოს ნაკრების ფულბეკი **მერაბ კვირიკაშვილი** ბურთთან ყველაზე ახლოს იყო, მაგრამ მიწაზე დავარდნის შემდეგ, ის მას თავზე გადაახტა და ხელში სურუჯუს ჩაუვარდა. რუმინელთა ცხრა ნომერი ნაბორძიკდა, დაეცა, თუმცა მაინც შეძლო იქვე მიმყოლ ფულბეკს, **კატალინ ფერკუსთვის** გადაცემა. ამ უკანასკნელს ხელს აღარავინ უშლიდა. რუმინელთა მგეზავმა და მთავარმა დამრტყმელმა **ფლორინ ვლაიკუმ** ვერ გარდასახა.

რუმინელებს კიდევ უფრო დაწინაურებაც შეეძლოთ. მოედნის ჩვენს ნახევარზე დანიშნულ შერკინებაში რუმინელებმა რამდენიკე მეტრით უკან დაგვახევინეს. ბოლოს, წესიც დავარღვიეთ, მაგრამ ვლაიკუმ საჯარიმო ვერ გაიტანა.

იქამდე საჯარიმო კვირიკაშვილმაც ვერ გამოიყენა, რომელიც ასევე შერკინებაში თამაშისას მოვიპოვეთ. მერე, მალევე ჩვენმა ფულბეკმა ცენტრიდან არეკნითაც დაარტყა, მაგრამ კარის ძელებს შორის ბურთი ვერ გაატარა.

ლელო, რომელიც ჩვენმა გუნდმა გაიტანა, შესანიშნავი კომბინაციის შედეგი იყო. ჩვენმა მორაგბეებმა თერთმეტი ფაზა აკინძეს და მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შექმნეს. ლელოში კი, შუამარბმა **მერაბ შარიქაძემ** შეაღწია. კვირიკაშვილმა საკმაოდ რთული პოზიციიდან ზუსტად გარდასახა - 7:5. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში მეტოქეს დერეფანში ვაჯობეთ. ჩვენი ყველა აუტი მოვიგეთ და მასპინძლებს სამი ავართვით. ეს სურათი, მეორე ტაიმში რატომღაც შეიცვალა. რუმინელებმა უკვე დერეფანშიც გვაჯობეს რამდენჯერმე. 52-ე წუთზე კი, მოლში თამაშისას დავჯარიმდით და ვლაიკუმ საჯარიმო ზუსტად დაარტყა - 8:7. ამის მერე, მასპინძლებს ანგარიშის გაზრდის შანსი ერთხელაც არ მისცემიათ.

რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს გუნდზე. მართალია, სალელოვედ ვერც ერთხელ ვერ შევუტიეთ, რაშიც წვლილი "სტეჟარის" დაცვას მიუძღვის, მაგრამ მერაბ კვირიკაშვილს ორჯერ მიეცა შანსი, საჯარიმო დარტყმით დაეწინაურებინა "ბორჯღალოსნები". სამწუხაროდ, ჩვენმა მთავარმა დამრტყმელმა და საუკეთესო მექუელემ ორივე შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.

მატჩის შემდეგ უცნაური რამ მოხდა. ევროპული რაგბის მამებმა ყველაფერი აურიეს და "რაგბი ევროპის ჩემპიონად" საქართველოს ნაკრები გამოაცხდეს, ფარიც "ბორჯღალოსნებს" ოფიციალურად გადასცეს საზეიმო ვითარებაში. არადა, წესდების დებულების თანახმად პირველ ადგილზე რუმინეთის ნაკრებია. ჩვენ და "სტეჟარიმ" თანაბარი, 19-19 ქულა დავაგროვეთ. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში გამარჯვებულ გუნდს. რუმინეთმა მოგვიგო და პირველიც ისაა.

V ტური

ესპანეთი-ბელგია	**30:0**
რუსეთი-გერმანია	**52:25**

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	პ
1. რუმინეთი	5	4	0	1	+44	19	3
2. საქართველო	5	4	0	1	+92	19	3
3. ესპანეთი	5	3	0	2	+37	13	1
4. რუსეთი	5	2	0	3	-10	9	1
5. გერმანია	5	2	0	3	-80	8	0
6. ბელგია	5	0	0	5	-83	2	2

წუთი წუთზე

მე-2 წთ: დაინიშნა პირველი აუტი ჩვენს სასარგებლოდ, რომელიც უპრობლემოდ მოვიგეთ.

მე-3 წთ: რუმინელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, რომელიც ფულბეკმა **კატალინ ფერკუმ** ლელოთი დაასრულა. **ფლორინ ვლაიკუმ** გარდასახვა ვერ გაიტანა.

მე-5 წთ: "ბორჯღალოსნების" მეორეხაზელმა გიორგი ნემსაძემ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

მე-8 წთ: დაინიშნა პირველი შერკინება ჩვენს სასარგებლოდ, რომელშიც მეტოქე დავჯაბნეთ და დავაჯარიმეთ.

მე-9 წთ: საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** საჯარიმო ვერ გაიტანა.

მე-10 წთ: კვირიკაშვილმა იქვე არეკნით სცადა კარის დალაშქვრა, მაგრამ არ გამოუვიდა.

27-ე წთ: რუმინელთა მგეზავმა ფლორინ ვლაიკუმ საჯარიმო ვერ გაიტანა.

37-ე წთ: საქართველოს ნაკრებმა ხელდახელ, მრავალფაზიანი კომბინაცია გაითამაშა. მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შექმნა და ლელო შუამარბმა **მერაბ შარიქაძემ** გაიტანა. კვირიკაშვილმა გარდასახა - 7:5.

52-ე წთ: ვლაიკუმ საჯარიმო გაიტანა - 8:7.

67-ე წთ: კვირიკაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

77-ე წთ: კვირიკაშვილმა 48 მეტრიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

რაგბი ევროპამ საქართველოს ნაკრები შეცდომით დააჯილდოვა

ბურთით მამუკა გორგოძე

RUGBY EUROPE CHAMPIONSHIP

ბურთი ბურთზე

ბესიკ ჯანგავაძე

რეკორდი არ შედგა

ინგლისის ნაკრებმა რეკორდის დამყარება ვერ შეძლო. "პომებმა" ექვსი ერის ბოლო ტურის მატჩი სტუმრად გამართა ირლანდიის ეროვნულ გუნდთან და 9:13 დამარცხდა.

ინგლისის ნაკრებმა 18-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, რითაც ახალი ზელანდიის ნაკრების რეკორდი გაიმეორა. აღსანიშნავია, რომ ინგლისელებს, ისევე როგორც "ოლ ბლექსს" წაუგებელი სერია ირლანდიის ნაკრებმა შეაწყვეტინა.

"სამყურებმა" დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს ლელოს გატანის საშუალება არ მისცეს. "პომები" მხოლოდ **ოუენ ფარელის** სამ საჯარიმოს დასჯერდნენ. შედეგად, ირლანდიელებმა 14 ქულის მოგროვება და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილის დაკავება შეძლეს.

"ხის კოვზი", როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიის ნაკრებს ერგო. "სკუადრა აძურამ" ბოლო, მეხუთე მატჩი სტუმრად წააგო შოტლანდიის ნაკრებთან - 0:29.

V ტური

შოტლანდია-იტალია	**29:0**

შოტლანდია: 4ლ - რასელი, სკოტი, ვიზერი, სეიმური. 3გ - რასელი. ს - ჰოგი

საფრანგეთი-უელსი	**20:18**

საფრანგეთი: 2ლ - ლამერა, შული. 2ს,2გ - ლოპესი

უელსი: 6ს - ჰალპფენი

ირლანდია-ინგლისი	**13:9**

ირლანდია: ლ - ჰენდერსონი. 2ს,გ - სექსტონი

ინგლისი: 3ს - ფარელი

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	პ
1. ინგლისი	5	4	0	1	+65	19	3
2. ირლანდია	5	3	0	2	+49	14	2
3. საფრანგეთი	5	3	0	2	+17	14	2
4. შოტლანდია	5	3	0	2	+4	14	2
5. უელსი	5	2	0	3	+16	10	2
6. იტალია	5	0	0	5	-151	0	0



კერტის რეიფელდი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ზაზამ გოლდენ სტეიტის მწვრთნელს წვერი გააპარსვინა

გუშინ **ზაზა ფაჩულიამ** თავის „ტვიტერზე" გამოაქვეყნა შეწებებული ფოტოები: ერთზე „გოლდენ სტეიტის" ფიზმომზადების მწვრთნელი **კერტის რეიფელდი** წვერითაა, მეორეზე - გაპარსული. ზაზამ იქვე მიაწერა: „ნაძლევი ნაძლევია, კერტისმა სიტყვა შეასრულა, რის გამოც პატივისცემას იმსახურებს."

ყველაფერი „ორლანდო მეჯიქთან" საშინაო მატჩით დაიწყო, რომელიც „გოლდენ სტეიტმა" 122:92 მოიგო. ზაზა მთავარმა მწვრთნელმა **სტივ კერმა** მოედნიდან მესამე პერიოდის შუაში გაიყვანა და მას მერე აღარ შეუშვია. მიზეზი გასაგებია - ოკლენდელებს თამაშის ბედი გადაწყვეტილი ჰქონდათ. ქართველი ცენტრი სათადარიგოთა სკამზე რომ დაჯდა, ექიმს ანიშნა - ფიზმომზადების მწვრთნელს მაკრატელი ათხოვეო. კერტის რეიფელდს მართლაც გადასცეს მწვანე მაკრატელი, თუმცა იმ მომენტში ბევრისთვის გაუგებარი იყო სიტუაციის არსი.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მატჩის წინ ზაზა კერტისს დანაძლევებია. მწვრთნელს უთქვამს: თუ ორმაგ დუბლს შეასრულებ და თან ჩატენი, წვერს გავიპარსავო. ფაჩულია მოედნიდან 10-10 ქულა-მოხსნით გამოვიდა, თან ერთი ეფექტურადაც ჩატენა - სანაძლეო მოიგო და სწორედ ამის გამო ანიშნა რეიფელდს, დროა გაიპარსოო. ქართველი მეფარის სრული სტატისტიკა ასეთი იყო: 21 წუთი, 8-დან 5 ორქულიანი, 3 პასი, 1 ჩაჭრა... ქულა-მოხსნაზე უკვე მოგახსენეთ.

მატჩის შემდეგ კერტის რეიფელდის წვერს მთავარი მწვრთნელი სტივენ კერიც გამოეხმაურა და არაერთმა გამოცემამ მიუძღვნა პუბლიკაცია. აი, რა წერია „მერკურინიუსში":

„ორლანდოელებთან მატჩის მეორე დღეს „გოლდენ სტეიტს" გუნდური ფოტო უნდა გადაეღო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ზაზა ფაჩულიამ მწვრთნელ კერტის რეიფელდს წვერის გაპარსვაზე დანაძლევებოდა.

- მინდოდა, რომ გუნდური ფოტო, რომელიც მომდევნო დღეს უნდა გადაგვეღო, 10, 20 წლის შემდეგაც ხალისით გაგვეხსენებინა. სწორედ ამიტომ ვუთხარი კერტისს - თუ წააგებ, წვერი გაიპარსე-მეთქი, - იხსენებს ზაზა ფაჩულია.

მან დუბლი მესამე პერიოდის მე-7 წუთზე შეასრულა და სათადარიგოთა სკამისკენ რომ გაეშურა...

- კალათბურთელები ოვაციებით მიეგებნენ. ყველა აღფრთოვანებული იყო, - თქვა გუნდის თავკაცმა სტივ კერიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

არადა, ქართველ ცენტრს მანამდე, „გოლდენ სტეიტის" მაისურით მხოლოდ 3 დაბლ-დაბლი ჰქონდა შესრულებული. ფიზმომზადების მწვრთნელი, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ნაძლევს მოიგებდა (თუმცა არსად წერია, რას შეასრულებდა ფაჩულია წაგების შემთხვევაში). საინტერესოა ისიც, რატომ დაენაძლევა ზაზა მაინცდამაინც გუნდური ფოტოს გადაღების წინ?

- აქამდე რატომ არ დავენაძლევე? ორმაგ დუბლს გუნდური სურათის გადაღებისთვის ვინახავდი. ჩემს თანაგუნდელებსაც აინტერესებდათ გაპარსული კერტისის ხილვა. ნაძლევიც საინტერესო გამოვიდა და დაბოლოებაც მშვენიერი იყო, - დასძენს ზაზა.

ორლანდოს შემდეგ მილუოკი

„ორლანდოსთან" და „მილუოკისთან" ვიხილეთ ნამდვილი „გოლდენ სტეიტი", ისეთი, სეზონის პირველ ნახევარში რომ იყო და თამაშის ბედს მესამე პერიოდში წყვეტდა.

„მილუოკიმ" შეხვედრის დასაწყისში მასპინძლებს 16 ქულით გაასწრო, თუმცა დიდ შესვენებაზე ოკლენდელები უკვე 63:44-ს იგებდნენ. **სტეფი კარობდა** - 8-დან 6 სამქულიანი ჩააგდო და მატჩი 28 ქულით დაასრულა, **ტომპსონი** 21-მდე ავიდა, ხოლო ფაჩულიას მონაგარი ასეთი იყო: 12 წუთი, 8 ქულა (5/3 ორქულიანი, 4/2 საჯარიმო), 4 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა.

„გოლდენ სტეიტს" 55 მოგება, 14 წაგება აქვს და ლიგის ლიდერია. „სან ანტონიოს" 3 მოგებით უსწრებს. ფაჩულიას თანაგუნდელებს მომდევნო მატჩი 21 მარტს (თბილისის დროით გამთენიისას, 4 საათზე ელით) - ოკლაჰომაში ჩადიან. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც **რასელ უესტბრუკი** დააგდო, ფაჩულიასთვის პირველი მატჩი იქნება „ოკლაჰომა თანდერსის" წინააღმდეგ. საინტერესო უნდა გამოვიდეს.

ვაჟა სიმონიშვილი

გუშინ NBA-ში

„კლივლენდის"ხელმძღვანელობამ დასვენების საშუალება მისცა გუნდის ლიდერებს, რითაც ისარგებლა „კლიპერსმა" და 30 ქულის სხვაობით მოიგო. სტუმრებმა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწიეს წინააღმდეგობა კალიფორნიელებს. ამის შემდეგ, „კლიპერსმა" ინიციატივა მოიპოვა და საფინალო სირენამდე აკონტროლებდა თამაშს. ამით, **დოკ რივერსის** გუნდმა შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია.

■ ■ ■

„ჰიუსტონის" ლიდერმა **ჯეიმს ჰარდენმა** ზედიზედ მეოთხე მატჩში შეასრულა სამმაგი დუბლი - 40 ქულა, 10 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი. ეს მისი მე-19 სამმაგი დუბლია სეზონში, აქედან შვიდი ტრიპლ-დაბლი იყო ისეთი, როცა მატჩში მინიმუმ 40 ქულას აგროვებდა. ეს არის NBA-ის ახალი რეკორდი 40-ქულიანი სამმაგი დუბლების რაოდენობით. წინა რეკორდი **ოსკარ რობერტსონს** 60-იან წლებში ჰქონდა დამყარებული.

„როკეტსმა" დაამარცხა „დენვერი" იმის მიუხედავად, რომ სეზონში პირადი ანტირეკორდი დაამყარა შესრულებული (24) და რეალიზებული სამქულიანების (5) რაოდენობით.

■ ■ ■

კავაი ლენარდისა და **ლამარკუს ოლდრიჯის** ჯამური 43 ქულის მიუხედავად, „სან ანტონიომ" მაინც წააგო „მემფისთან", რომელმაც მოგებათა სერია ოთხ მატჩამდე გაზარდა. „გრიზლისმა" მეოთხე მეოთხედის სტარტზე შესრულებული გაქცევის წყალობით შეძლო მოგება.

■ ■ ■

„იუტამ" მოიგო პირველი მეოთხედი შვიდი ქულის სხვაობით და მატჩის დიდი ნაწილი ლიდერობდა, მაგრამ მაინც დამარცხდა „ჩიკაგოსთან", რომელმაც შეწყვიტა ორმატჩიანი წაგებათა სერია.

დიდი წვლილი შეიტანეს მოგებაში „ჩიკაგოს" რეზერვისტებმა - **ბობი პორტისმა** 30 წუთში 22 ქულა ჩააგდო, დებიუტანტმა **დენზელ ვალენტაინმა** კი კარიერაში პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა - 11 ქულა და 12 მოხსნა.

„იუტამ" ზედიზედ მეორე თამაში წააგო.

■ ■ ■

„პორტლენდმა" შეწყვიტა ატლანტაში ხუთმატჩიანი წაგებათა სერია და აგრძელებს „დენვერთან" ბრძოლას პლეი ოფის მერვე საგზურისთვის.

„ბლეიზერსმა" პირველ მეოთხედში პირველი 15 ტყორცნიდან 13 ჩააგდო, 76.2 პროცენტის სიზუსტით ისროლა და საწყისი 12-წუთეული 40:18 მოიგო. ამის შემდეგ, სტუმრებმა იოლად მიიყვანეს საქმე მოგებამდე. პორტლენდელები, რომლებმაც მარტში ცხრიდან შვიდი თამაში მოიგეს, ორი მოგებით ჩამორჩებიან მერვე ადგილზე მყოფ „დენვერს".

■ ■ ■

„ოკლაჰომამ" თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა „საკრამენტოს" წინააღმდეგ და ბოლომდე შეინარჩუნა ინიციატივა, რამაც „საკრამენტოს" წინააღმდეგ დიდი ანგარიშით მოგება მოუტანა. **რასელ უესტბრუკს** (28 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა) ორი მოხსნა დააკლდა სეზონში 36-ე სამმაგ დუბლამდე.

„საკრამენტოს" რიგებში კარიერაში პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა **გეორგიოს პაპაიანისმა** - 14 ქულა და 11 მოხსნა, არადა, მანამდე ჩატარებულ ცხრა მატჩში ბერძენის საშუალო სტატისტიკა იყო - 1.1 ქულა და 1.4 მოხსნა.

■ ■ ■

„შარლოტმა" შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია. „ვაშინგტონის" წინააღმდეგ მასპინძლებმა მესამე მეოთხედის ბოლოს მოახერხეს გაქცევა, მეოთხეს დასაწყისში კი განამტკიცეს უპირატესობა. **კოდი ზელერმა** ათიდან რვა ტყორცნა ჩააგდო და 19 ქულა დააგროვა.

„ვაშინგტონის" რიგებში 19 ქულითა და რვა შედეგიანი პასით საუკეთესო იყო **ჯონ უოლი**, მაგრამ მან 16-დან მხოლოდ ხუთი ტყორცნა მოათავსა კალათში.

გია თვალაბეიშვილი

ოკლაჰომა-საკრამენტო 110:94

29:19, 34:22, 22:24, 25:29

ო: უესტბრუკი (28+8 მოხსნა+10 პასი), მაკდერმოტი (21), ადამსი (16+13 მოხსნა), კანტერი (14).

ს: პაპაიანისი (14+11 მოხსნა), ლაბისიერი (13), ჰილდი (11), კოლისონი (10), ტოლივერი (10).

ატლანტა-პორტლენდი 97:113

18:40, 28:23, 27:22, 24:28

ა: ილიასოვა (23), ჰარდუეი (22), ჰოვარდი (14+10 მოხსნა+5 ჩაჭრა), ბეიზმორი (12).

პ: ლილარდი (27), მაკალუმი (22), კრები (16), ჰარკლესი (12), ნურკიჩი (12+9 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), ვონლე (10+11 მოხსნა).

შარლოტი-ვაშინგტონი 98:93

19:20, 20:20, 25:21, 34:32

შ: ზელერი (19), უოკერი (16+6 პასი), მარვ. უილიამსი (16+8 მოხსნა), კამინსკი (14), ბელინელი (11), ბატუმი (8+10 მოხსნა).

ვ: უოლი (19+8 პასი), ბილი (18), პორტერი (16), ბოგდანოვიჩი (12), გორტატი (6+16 მოხსნა).

კლიპერსი-კლივლენდი 108:78

14:16, 33:15, 29:27, 32:20

კლიპ: გრიფინი (23+8 მოხსნა), რედიკი (16), ჯორდანი (13+17 მოხსნა), კროუფორდი (13), რივერსი (11).

კლივ: ჯეფერსონი (12), დერიკ უილიამსი (11), ტომპსონი (11), სმიტი (10), შამპერტი (10), ფრაი (10), ფელდერი (10).

ჩიკაგო-იუტა 95:86

16:23, 24:21, 21:20, 34:22

ჩ: ბატლერი (23+7 პასი), პორტისი (22), ლოპესი (14), ვალენტაინი (11+12 მოხსნა).

ი: ჯორჯ ჰილი (18+7 მოხსნა), ჰეივორდი (14), გობერი (13+13 მოხსნა+5 დაფარება), ინგლსი (10), ბერკსი (10).

მემფისი-სან ანტონიო 104:96

29:18, 15:25, 31:30, 29:23

მ: კონლი (19+7 მოხსნა+6 პასი), რენდოლფი (18+7 მოხსნა), მ. გასოლი (16+7 პასი), გრინი (13), დენიელსი (11), კარტერი (10).

ს-ა: ლენარდი (22+7 მოხსნა), ოლდრიჯი (21+9 მოხსნა), სიმონსი (14).

დენვერი-პიუსტონი 105:109

26:26, 30:25, 18:29, 31:29

დ: ჰარისი (17), იოკიჩი (16), ნელსონი (15+7 მოხსნა+11 პასი), ერნანგომესი (15), მიურეი (12), ფარიდი (11+8 მოხსნა), ბარტონი (10).

ჰ: ჰარდენი (40+10 მოხსნა+10 პასი), კაპელა (16+8 მოხსნა), ნენე (14+7 მოხსნა), უილიამსი (12), გორდონი (10), ანდერსონი (10).

გ. სტეიტი-მილუოკი 117:92

27:29, 36:15, 31:26, 23:22

გ-ს: კარი (28), ტომპსონი (21), იგუოდალა (15), გრინი (8+8 მოხსნა+10 პასი).

მ: ბროგდონი (18), სნელი (12), მონრო (12+7 მოხსნა), მიდლტონი (11), ტელეტოვიჩი (10).

ჰარდენმა რობერტსონს რეკორდი წაართვა, უესტბრუკს 32-ე სამმაგამდე ცოტა დააკლდა

ჯეიმს ჰარდენი

კრივი

გოლოვკინი: 37-დან 37 მოგება

ყაზახმა მოკრივემ გენადი გოლოვკინმა ნიუ იორკში დაამარცხა ამერიკელი დენიელ ჯეიკობსი და შეინარჩუნა საშუალო წონაში WBA-ის, WBC-ის, IBO-სა და IBF-ის ტიტულები. გოლოვკინისთვის ეს იყო 37-ე ბრძოლა და 37-ე გამარჯვება, თუმცა, პირველად კარიერაში, ყაზახს 12-ივე რაუნდის ჩატარებამ მოუწია მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. აქამდე, გოლოვკინის ყველაზე გრძელი ბრძოლა იყო 2015 წელს, თებერვალში ბრიტანელ მარტინ მიურეისთან მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოგებული შეხვედრა.

ჯეიკობსმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა, მაგრამ გოლოვკინმა მეოთხე რაუნდში შეაჩერა მეტოქე, როცა ის ნოკდაუნში გაუშვა. მომდევნო რამდენიმე რაუნდი ამერიკელს გონს მოსასვლელად დასჭირდა და საღღაც მეშვიდე რაუნდიდან მოყოლებული, ბრძოლა ჯეიკობსის უპირატესობით მიდიოდა. მხოლოდ მეცხრე რაუნდში გოლოვკინმა შეძლო კარგი შეტევის განხორციელება, მაგრამ მისმა მეტოქემ გაძლო.

საბოლოოდ, თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში სამივე მსაჯმა უპირატესობა გოლოვკინს მიანიჭა - 115:112, 115:112, 114:113, რასაც ჯეიკობსი არ დაეთანხმა: *„ვფიქრობ, ბრძოლა მე მოვიგე და ფანები ამაში დამეთანხმებიან. მოვიგე, მაგრამ ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო, ის არის, რომ მათ გადაწყვეტილებას დავეთანხმო".* ჯეიკობსისთვის ეს იყო მეორე წაგება 34 ბრძოლაში.

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი

არც მარეი, არც ჯოკოვიჩი

მაიამის „მასტერსის“ სატურნირო ბადე მნიშვნელოვნად დასუსტდა ორი ვარსკვლავის უარის გამო. კერძოდ, ტრავმების მიზეზით, ფლორიდაში ვერ ვიხილავთ მსოფლიოს პირველ და მეორე ნომრებს - ბრიტანელ ენდი მარეისა და სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს. მაიამის „მასტერსი“ 22 მარტს დაიწყება და 2 აპრილამდე გაგრძელდება.

ორივე ჩოგბურთელს ერთნაირი ტრავმა აქვს - მარჯვენა იდაყვის დაზიანების გამო ვერ ახერხებენ კორტზე გასვლას. შეგახსენებთ, რომ მარეიმაც და ჯოკოვიჩმაც წარუმატებლად ითამაშეს დღეს დასრულებულ ინდიან უელსის „მასტერსზე“ - ბრიტანელმა მეორე წრეშივე წააგო კანადელ ვასეკ პოსპიშილთან, ხოლო სერბი მერვედფინალში დამარცხდა ავსტრალიელ ნიკ კირგიოსთან.

როჯერის მეხუთე თუ სტენის პირველი?

როჯერ ფედერერი

ინდიან უელსის „მასტერსზე“ გუშინ, გვიან ღამით შვეიცარიული ფინალი უნდა გამართულიყო- **როჯერ ფედერერი სტენ ვავრინკას** წინააღმდეგ. წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე ფედერერმა ხუთ-ხუთ სეტში აჯობა ნახევარფინალსა და ფინალში ვავრინკასა და **რაფაელ ნადალს**. როჯერმა ინდიან უელსში უკვე დაამარცხა ნადალი და საერთოდ, ფინალამდე სეტის წაუგებლად მიაღწია.

მეოთხედფინალში ყველა ელოდა ფედერერისა და ჯოკოვიჩის მძლეველის **ნიკ კირგიოსის** დაპირისპირებას, მაგრამ ავსტრალიელმა მოწამვლის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა. ასე რომ, შვეიცარიელმა დასვენების დღე მიიღო, ნახევარფინალში კი შედარებით იოლი მეტოქე ერგო, რადგან ამერიკელმა **ჯეკ სოკმა კეი ნიშიკორის** დამარცხება შეძლო - 6:3, 2:6, 6:2.

როგორც წინა მატჩებში, როჯერმა ფანტასტიკურად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე - სოკს არათუ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუღია, მეტოქის 10 გეიმში მხოლოდ ერთხელ მიაღწია „თანაბარ“ ანგარიშამდე. რაც შეეხება სოკის მოწოდებაზე გეიმებს, პირველ სეტში ფედერერმა ორი ბრეიკი შეასრულა, მეორეში კი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. იქ თავიდან სოკი გაიჭრა წინ - 3:1, თუმცა, ფედერერმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი 4:4-ზე მინი-ბრეიკი შეასრულა და 7:4 მოიგო. 35 წლის შვეიცარიელი მეშვიდედ გავიდა ინდიან უელსის „მასტერსის“ ფინალში და მეხუთე ტიტულს დაუმიზნა.

■ ■ ■

ფედერერისგან განსხვავებით, პირველად არის ამ „მასტერსის“ ფინალში სტენ ვავრინკა. შვეიცარიელმა, როგორც ეს ხშირად ხდება, ტურნირის მსვლელობისას აკრიფა ფორმა და ნახევარფინალში გაანადგურა ესპანელი **პაბლო კარენო ბუსტა** - 6:3, 6:2. არადა, წინა ორ მატჩში **ნიშიოკასთან** და **ტიმთან** მესამე სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო.

სტენის მეტოქე უშანსოდ იყო შვეიცარიელის მოწოდებაზე - კარენო ბუსტა ერთხელაც არ მისულა „თანაბრამდე“ მეტოქის გეიმებში (სტენმა საკუთარ მოწოდებაზე მხოლოდ 10 ქულა წააგო). ვავრინკამ კი რვა ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა და სამჯერ შეძლო ესპანელის გეიმის აღება.

კაცები

1/4 ფინალი

კარენო ბუსტა (ესპ, 21)-კუევასი (ურუ, 27)	6:1, 3:6, 7:6(4)
ვავრინკა (შვეიც, 3)-ტიმი (ავსტრია, 8)	6:4, 4:6, 7:6(2)
სოკი (აშშ, 17)-ნიშიკორი (იაპ, 4)	6:3, 2:6, 6:2
ფედერერი (შვეიც, 9)-კირგიოსი (ავსტრა, 15)	უარი

1/2 ფინალი

ვავრინკა (შვეიც, 3)-კარენო ბუსტა (ესპ, 21)	6:3, 6:2
ფედერერი (შვეიც, 9)-სოკი (აშშ, 17)	6:1, 7:6(4)

ქალები

1/4 ფინალი

მლადენოვიჩი (საფ, 28)-ვოზნიაცკი (დან, 13)	3:6, 7:6(4), 6:2
ვესნინა (რუს, 14)-ვ. უილიამსი (აშშ, 12)	6:2, 4:6, 6:3

1/2 ფინალი

ვესნინა (რუს, 14)-მლადენოვიჩი (საფ, 28)	6:3, 6:4
კუზნეცოვა (რუს, 8)-კარ. პლიშკოვა (ჩეხ, 3)	7:6(5), 7:6(2)

დეტროიტი-კოლორადო 5:1

0:0, 1:0, 4:1

გოლები: 1:0 აბდელკადერი-6 (ზეტერბერგი-43, კრონვალი-9), 1:1 მაკინონი-15 (ბერი-26, ანტრიგეტო-9), 2:1 ტატარი-19 (გლენდენინგი-11), 3:1 ტატარი-20 (ნიკუისტი-27, ლარკინი-12), 4:1 ლარკინი-15 (ტატარი-18, ათანასიუ-10), 5:1 ნიკუისტი-10 (ზეტერბერგი-44, მაიკ გრინი-20).

აილენდერსი-კოლამბუსი 2:3 (ო)

1:0, 0:2, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ჰამონიკი-3 (ჩიმერა-12, ბოვიე-11), 1:1 ბიორკსტრანდი-6, 1:2 ჯ. ანდერსონი-16 (ნ. ფოლინი-24, ვერენსკი-34), 2:2 ტავარესი-27 (საიდენბერგი-15, მეიფილდი-6), 2:3 ატკინსონი-33 (დუბინსკი-27, ვერენსკი-35).

კაროლინა-ნეშვილი 4:2

2:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ჯ. სტაალი-14 (სლავინი-24), 2:0 სკინერი-24 (სტემპნიაკი-21), 2:1 არვიდსონი-26 (რ. ელისი-19, ფიალა-5), 3:1 სკინერი-25 (სლავინი-25, ჯ. სტაალი-26), 3:2 ფორსბერგი-29 (იარნკროკი-14, რ. ელისი-20), 4:2 ლინდჰოლმი-8 (აჰო-20).

ოტავა-მონრეალი 3:4 (ბ)

0:0, 2:1, 1:2, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ე. შოუ-11 (დანო-23, შ. უებერი-24), 1:1 ბრასარი-13 (ტარისი-23, მ. ჰოფმანი-29), 2:1 ძინგელი-14 (ბაროუზი-14, ე. კარლსონი-51), 2:2 დანო-11 (ლეჰკონენი-6, ე. შოუ-15), 2:3 გალაჰერი-8 (მარკოვი-27), 3:3 ე. კარლსონი-14 (მეტოტი-12, ბრასარი-24).

ბულიტები გაიტანეს: ბირონი (მონრეალი), რადულოვი (მონრეალი).

ტამპა ბეი-ვაშინგტონი 3:5

2:2, 0:0, 1:3

გოლები: 0:1 ოში-27 (მ. იოჰანსონი-24, ბექსტრომი-51), 0:2 ოში-28 (ოვეჩკინი-31, ბექსტრომი-52), 1:2 კუჩეროვი-32 (პალატი-23, პოინტი-16), 2:2 კილორნი-17 (დრუენი-27), 2:3 ჯასტინ უილიამსი-20 (ნისკანენი-32, ბურაკოვსკი-19), 2:4 ჯ. კარლსონი-8 (ოში-20, ბექსტრომი-53), 3:4 კუჩეროვი-33 (პოინტი-17), 3:5 ოში-29 (ბექსტრომი-54).

ტორონტო-ჩიკაგო 1:2 (ო)

1:0, 0:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 მეტიუსი-32 (ნიულანდერი-33, ჰიმანი-17), 1:1 ჰეიდენი-1 (ტეივზი-33, სიბრუკი-31), 1:2 ჰარტმანი-16 (პანარინი-41, კროუფორდი-1).

მინესოტა-რეინჯერსი 2:3

1:1, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 ე. სტაალი-24 (ჰანზალი-15, დუმბა-20), 1:1 სკიეი-4 (ცუკარლო-37, კლენდენინგი-9), 1:2 ლინდბერგი-6 (ჯ.-ტ. მილერი-32), 1:3 ვესეი-15 (ლინდბერგი-11, ბუნნევიჩი-11), 2:3 დუმბა-9 (პარიზე-16, კოილი-32).

არიზონა-სტ. ლუისი 0:3

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 პიეტრანჯელო-10 (შჩასტნი-22, ბოუმისტერი-12), 0:2 აპშოლი-9, 0:3 პერონი-15 (პარაიკო-28).

ედმონტონი-ვანკუვერი 2:0

0:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 მაკდევიდი-25 (სეკერა-23, დრაიზაიტლი-38), 2:0 ლეტესტუ-14 (დრაიზაიტლი-39, კლეფბომი-18).

სან ხოსე-ანაჰაიმი 1:2

1:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ივსი-24 (გეტცლაფი-45, რაკელი-12), 1:1 კუტური-25 (ჯ. ტორნტონი-42, მარლო-18), 1:2 სილფვერბერგი-20.

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ასიანი ვაშინგტონი პლეი ოფში შევიდა

„ვაშინგტონი“ გახდა პირველი გუნდი ამ სეზონში, რომელმაც პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა, გარდა ამისა, პირველმა მიაღწია ასქულიან ნიშნულამდე.

„ტამპა ბეისთან“ გასვლითი მატჩის გმირი აღმოჩნდა ფორვარდი **ტი ჯეი ოში**, რომელმაც კარიერაში მესამე ჰეთ-თრიკი შეასრულა. ახლა, ამერიკელს მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატში 29 გოლი დაუგროვდა და უსწრებს თანაგუნდელ **ალექსანდრ ოვეჩკინს**, რომელიც 2005-06 წლებიდან მოყოლებული, ყოველ სეზონში „კეპიტალზის“ საუკეთესო გოლეადორი ხდებოდა.

■ ■ ■

შვიდმატჩიანი უქულო სერია ჰქონდა ამ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო დებიუტანტს **ოსტონ მეტიუსს**. „ტორონტოს“ ახალგაზრდა ფორვარდმა ნავსი „ჩიკაგოსთან“ მატჩში გატეხა, მაგრამ ამან კანადურ კლუბს ვერ უშველა.

მეტიუსს 70 მატჩში 56 ქულა (32+24) აქვს და მეორე ადგილზეა დებიუტანტებს შორის - ოთხი ქულით ჩამორჩება ვინიპეგელ **პატრიკ ლაინეს**.

■ ■ ■

ბომბარდირთა დავაში **კონორ მაკდევიდისა** და **ბრედ მარშანის** ერთობლივი ლიდერობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა. „ვანკუვერთან“ მატჩის შემდეგ, „ოილერზის“ ახალგაზრდა კაპიტანმა სეზონში 25-ე შაიბა გაიტანა და თავისი მონაგარი 80 ქულამდე აიყვანა. ის გახდა პირველი მოთამაშე სეზონში, ვინც ამ ნიშნულს მიაღწია.

გარდა ამისა, „ედმონტონის“ მეკარემ **კემ ტელბომ** 33 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეექვსე შათაუტი შეასრულა, რაც 2001-02 წლების სეზონის შემდეგ, „მენავთობეების“ არც ერთ მეკარეს არ გაუკეთებია. ბოლოს ეს შეძლო შვედმა **ტომი სალომ**.

■ ■ ■

„ანაჰაიმმა“ წყნარი ოკეანის დივიზიონის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში პირდაპირი კონკურენტი - „სან ხოსე“ დაამარცხა. „დაქსის“ კაპიტანმა **რაიან გეტცლაფმა** ერთი საგოლე პასი შეასრულა და მეორე მოთამაშე გახდა „ანაჰაიმის“ ისტორიაში, ვინც 800 ქულა (235+565) დააგროვა. პირველმა ამ ზღვარს ფინელმა ლეგენდამ **ტეემუ სელიანემ** მიაღწია, რომლის საერთო მონაგარი 988 ქულა იყო.

ისევ აკვირვებს გულშემატკივრებს „სან ხოსეს“ მცველი **ბრენტ ბერნსი**. თუ სეზონის შუაში ის პრაქტიკულად უგოლოდ არ ტოვებდა მოედანს და 40 შაიბაზე აცხადებდა პრეტენზიას, ახლა მას 12-მატჩიანი უგოლო სერია აქვს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

კალათბურთი

ჯენტრის ემუქრებიან

„ნიუ ორლეანის“ მთავარი მწვრთნელი **ელვინ ჯენტრი**, შესაძლოა, პოსტიდან დაითხოვონ, თუ გუნდი არ გააუმჯობესებს თამაშს სეზონის დასკვნით ნაწილში. მას შემდეგ, რაც ამ კლუბში გაცვლის შედეგად **დემარკუს კაზინსი** გადავიდა, „პელიკანსმა“ 12 მატჩიდან შვიდი წააგო და ამ დროისთვის მე-12 ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში - 28 მოგებით და 41 წაგებით.

გარდა ამისა, ჯენტრი ჯერჯერობით ვერ ახერხებს დაალაგოს საკალათბურთო კავშირები კაზინსსა და „ნიუ ორლეანის“ მეორე ლიდერს **ენტონი დევისს** შორის.

ბუზერს ორი კლუბი აკვირდება

„მაიამი“ და „კლიპერსი“ თვალს ადევნებენ ფორვარდ **კარლოს ბუზერის** გამოსვლას ჩინეთის ლიგაში, - წერს ESPN-ის მიმომხილველი **მარკ სტაინი**.

ბუზერი საშუალოდ მატჩში 17.2 ქულასა და 10.6 მოხსნას აგროვებს, ხოლო მისი გუნდი „გუანდუნი“ ახლოს არის CBA-ის ფინალში გასასვლელად.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფში მონაწილეობისთვის, ბუზერმა 12 აპრილამდე უნდა გააფორმოს კონტრაქტი.

ჰოკეი

იაგრმა ჰოუს გაუსწრო

გასულ უქმეებზე ჩატარებული მატჩების შემდეგ, „ფლორიდას“ ფორვარდი **იაროსლავ იაგრი** გახდა ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე 40 40 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს შორის.

მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა ჩეხმა 40 წლის ასაკს მიაღწია, 269 ქულის (104+165) დაგროვება მოასწრო, რაც ერთით მეტია წინა რეკორდსმენის **გორდი ჰოუს** მაჩვენებელზე.

იაროსლავ იაგრი 45 წლისაა.

ტრამპლინიდან ხტომა

253.5 მეტრი - ახალი რეკორდი

ავსტრიელმა **შტეფან კრაფტმა** მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა ტრამპლინიდან ხტომაში. ის 253.5 მეტრზე გაფრინდა ნორვეგიის ქალაქ ვიკერსუნდში, სადაც მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი იმართებოდა.

კრაფტის შედეგი ერთნახევარი მეტრით მეტია წინა რეკორდზე, რომელიც ასევე ვიკერსუნდში იყო დამყარებული და მისი ავტორი გახლდათ ნორვეგიელი **რობერტ იოჰანსონი**.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

პოლანდია

ჰერენვეენი-ფეიენოორდი	1:2
ექსელსიორი-აიაქსი	1:1
იგლზი-ცვოლე	1:3
ალკმაარი-დენ ჰააგი	4:0

პორტუგალია

ფეირენსე-შავეში	3:2
მარიტიმუ-არუჯა	3:1
პორტუ-სტუბალი	1:1
გიმარაეში-რიუ ავე	3:0

შოტლანდია

დანდი-სელტიკი	1:2

დანია

აგფ ორჰუსი-ოდენსე	1:2
ბრონდბიუ-ლუნგბიუ	3:2
ესბერგი-ჰორსენსი	1:1
ვიდტბულანდი-ნორდსიელანდი	1:2
სილკებორგი-კოპენჰაგენი	1:3
სონდერიისკი-რანდერსი	1:0
ვიბორგი-ოლბორგი	2:1

ავსტრია

ზალცბურგი-აუსტრია	5:0

შვეიცარია

ლუგანო-იანგ ბოიზი	0:2
თუნი-სტ. გალენი	2:2
ვადუცი-ლოზანა	0:1

საბერძნეთი

პაოკ-პანიონიოსი	1:0
ასტერასი-იანინა	1:1
ძსანტი-ლევადია	2:2
პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი	1:0

თურქეთი

გენჩლერი-რიზე	1:0
ბურსა-ალანია	1:3
ისთანბული-ძარაბუძი	3:3
ანტალია-ბეშიქთაში	0:0

ჩეხეთი

იაბლონეცი-იჟლავა	5:0
კრალოვე-ბრნო	0:0
კარვინა-პლზენი	2:3
ბოჰემიანსი-დუკლა	1:2

სლოვაკეთი

დ. სტრედა-ტრნავა	0:0
ტრენჩინი-შენიცა	1:1

რუსეთი

კრილია-როსტოვი	0:0
კრასნოდარი-უფა	0:0
ტერეკი-ცსკა	0:1
ზენიტი-არსენალი	2:0

უკრაინა

ვოლინი-ზორია	0:1

პოლონეთი

კორონა-კრაკოვია	3:0
ლეხი-გურნიკი (ლ)	0:0
ლეხია-ლეგია	1:2

ხორვატია

ისტრა-დინამო	0:3
რიეკა-სლავენი	3:2

კალათბურთი

NBA

ბრუკლინი-დალასი	104:111
ფილადელფია-ბოსტონი	105:99

ჰოკეი

NHL

ნიუ ჯერსი-კოლამბუსი	1:4
პიტსბურგი-ფლორიდა	4:0

ჩოგბურთი

ATP. ინდიან უელსი

ვავრინკა-ფედერერი	*გვ. დასრულდა*

WTA. ინდიან უელსი

კუზნეცოვა-**ვესნინა**	7:6, 5:7, 4:6

20 მარტი

საუკუნის ქურდობა ვესტმინსტერის სააბატოში

ფეხბურთი

დანამდვილებით არის ცნობილი: მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრის დროს, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა აშკარა უკმაყოფილებით ამოიღო გაცვეთილი შავი სუნდუკიდან „ოქროს ნიკე" და ფიფას პრეზიდენტს **სტენლი როუზს** გადასცა. *„რა იპოვეს ამაში ასეთი,* - წუწუნებდა ის. - *დროზე მოვიგოთ მესამედ და სამუდამოდ წავიღოთ ბრაზილიაში..."*

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში სპორტული პრიზების მოპარვა დიდი ხანია სახალხო გასართობად თუ სპორტის ერთგვარ სახეობად იყო გადაქცეული. მაგალითად, მსოფლიო ფეხბურთის უძველესი პრიზი - ინგლისის თასი ჯერ კიდევ 1895 წელს მოიპარეს და მას შემდეგ, გამარჯვებულს მხოლოდ ასლს გადასცემენ. დიდი ხანი ფიფას პრეზიდენტი სერ სტენლი როუზი ზრდილობიან, მაგრამ მტკიცე უარს ეუბნებოდა სხვადასხვა ღონისძიების, გამოფენისა თუ ფორუმების ორგანიზატორებს, რომლებიც ძვირად ღირებულ ქანდაკებას „დროებითი მოხმარებისთვის" ითხოვდნენ. ძნელი სათქმელია, სადამდე მივიდნენ თავიანთ თხოვნებში ლონდონის მე-17 ფილატელისტური გამოფენის ორგანიზატორები, მაგრამ მათთვის გამონაკლისი დაუშვეს. და მომდევნო დღეს, 1966 წლის 20 მარტს, მთავარი საფეხბურთო თასი გაიტაცეს, მიუხედავად იმისა, ოთხი პოლიციელი გამუდმებით თვალს არ აცილებდა მას.

გამოფენიდან, რომელიც ვესტმინსტერის სააბატოს ცენტრალურ ჰოლში იყო განთავსებული, პრიზი დღისით, მზისით, გაქრა. საქმე ისაა, რომ 20 მარტი კვირა იყო, გამოფენა არ მუშაობდა და პოლიციელები შინ გაუშვეს. თასის გარდა, ჰოლში გამოფენილი იყო სამი მილიონი ფუნტის ღირებულების მარკების კოლექცია, მაგრამ მოიპარეს მხოლოდ საფეხბურთო ჯილდო, რომელიც, იმ დროს, ათი ათას ფუნტად იყო შეფასებული. მალე სამხრეთ ლონდონში ეჭვმიტანილი დააკავეს - ვინმე **ედვარდ ბლეჩლი**. თუმცა, ქანდაკება მას არ აღმოაჩნდა და თავად ბლეჩლისაც არაფერი უღიარებია. ფიფას პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ დამნაშავეებმა უკვე გადაადნეს ოქროს ქალღმერთი და ის ოქროს ზოდის სახით გაყიდეს, ამიტომაც, მოლაპარაკებები დაიწყო ლონდონის გილდიის წარმომადგენლებთან ასლის დასამზადებლად.



პიკლზი - ერის გმირი

მაგრამ ასლი საჭირო არ გახდა. ჟიულ რიმეს თასი საინტერესო გარემოებებში იპოვეს. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 27 მარტს, მეისრე **დევიდ კორბეტი** ბაღში სეირნობდა თავის რვა წლის „უჯიშო" ძაღლთან ერთად, რომელსაც „პიკლზი" ერქვა. ჭკვიანმა ცხოველმა ბუჩქის ძირას ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი აღმოაჩინა და ყეფით მიაპყრო პატრონის ყურადღება. რაოდენ დიდი იყო დევიდის გაკვირვება, როცა გაზეთი გახსნა და იქ სწორედ ის ნივთი აღმოაჩინა, რასაც რამდენიმე დღე ეძებდა „მთელი სამეფო კავალერია" - ოქროს ქალღმერთი.

კორბეტისა და მის ძაღლის ფოტო კიდევ დიდი ხანი არ ჩამოდიოდა მსოფლიო გაზეთების პირველი გვერდებიდან. პატრონმა ჯილდოდ ექვსი ათასი ფუნტი მიიღო. კიდევ ხუთი ათასი მისცა ერთ-ერთმა სადაზღვევო სააგენტომ, ერთი ათასი - „ფულჰემის" პრეზიდენტმა, მომღერალმა **ტომი ტრინდერმა**.

მაგრამ, ერის ნამდვილი გმირი „პიკლზი" გახდა. ძაღლების დაცვის ლიგამ ის სპეციალური მედლით დააჯილდოვა და სამუდამოდ აღიარა თავის საპატიო წევრად. ცხოველთა საკვების მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა უფასოდ კვებავდა ძაღლს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე - ყოველდღე ამარაგებდა „ეროვნულ გმირს" ძაღლის დელიკატესებით. „უჯიშო" ცხოველის ტრიუმფის მწვერვალი აღმოჩნდა მონაწილეობა კომედიურ მოკლემეტრაჟიან ფილმში - „გამომძიებელი ცივი ცხვირით", რომელმაც „პიკლზის" პატრონს კარგი შემოსავალი მოუტანა.

ძაღლის უმნიშვნელოვანესმა როლმა ოქროს ქალღმერთის ისტორიაში გაამყარა ოთხფეხა მეგობრების მიმართ ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთა ისედაც დიდი სიყვარული. არც ისე იშვიათად, ინგლისში ეს სიყვარული ყველაზე უცნაურ და მოულოდნელ ფორმებს იძენს. მაგალითად, იმავე მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, საფრანგეთისა და ურუგვაის ნაკრებების საფეხბურთო შეხვედრა „უემბლიდან" სხვა სტადიონზე გადაიტანეს. მიზეზი საშინლად ბანალური იყო: იმ დღეს, ქვეყნის მთავარ სპორტულ არენაზე დაგეგმილი იყო... ძაღლების დღე.

ორი მცდელობა

ინგლისურ ინციდენტამდე და შემდეგაც იყო ნიკეს გატაცების მცდელობები...

I მცდელობა: ფაშისტების ფიასკო

ცნობილია, რომ ნაცისტებს არაჯანსაღი ინტერესი ჰქონდათ რელიკვიების მიმართ, მაგალითად, დიდი მონდომებით ეძებდნენ წმინდა გრაალს... და გასაკვირი იქნებოდა, მათ ოქროს ქალღმერთის მოპარვა რომ არ ეცადათ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ოტორინო ბარასის ეს კარგად ესმოდა. 30-იანი წლების დასასრულს, მისი ქვეყანა - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იყო. ამიტომაც, თასი რომში, ადგილობრივ ბანკში ინახებოდა. ბარასიმ გადაწყვიტა დასწრებაზე ეთამაშა: საცავში შევიდა და „ნიკე" გამოიტანა. ნაცისტები ხვდებოდნენ, რომ თასი ბარასის ჰქონდა, მაგრამ ვერ ამტკიცებდნენ. მათ არაერთხელ გაჩხრიკეს პრეზიდენტის სახლი, მაგრამ ცარიელი ხელებით ბრუნდებოდნენ უკან. ქალღმერთი კი მათ ცხვირწინ იყო - ბარასის ბევრი არ უფიქრია - თასი ძველ ჩექმაში ჩადო და საწოლის ქვეშ დამალა. აი, ასე გადაიტანა ომი „ნიკემ".

III მცდელობა: ქურდობა ბრაზილიურად

1970 წელს, ბრაზილიელები მესამედ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. შესაბამისად, „ნიკე" სამუდამოდ მოიპოვეს. თასი ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბბინაში, სპეციალურ საცავში შეინახეს. ღამით, ერის მთავარ განძს ერთადერთი დარაჯი იცავდა. და ის მძარცველებმა 1983 წლის 20 დეკემბერს გაკოჭეს. ბოროტმოქმედები კონფედერაციის პრეზიდენტის კაბინეტში შევიდნენ, სეიფი გატეხეს და ქალღმერთი წაიღეს.

ამჯერად, ქურდები დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ მცირე ხნით. თასი კი... პოლიციამ გამოაცხადა, რომ ნიკე ზოდებად გადაადნეს და გაყიდეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ვერსიები, ვერსიები

ბრაზილიელმა პოლიციელებმა დასკვნა მძარცველთა ჩვენებების მიხედვით გააკეთეს. სხვა მტკიცებულება, რომ თასი აღარ არსებობს, პოლიციას არ აქვს. ამიტომაც, ბევრი ენთუზიასტი დღემდე აგრძელებს გამოძიებას.

მართლაც, ოფიციალური ვერსია დამაჯერებლად არ ჟღერს. მძარცველებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ქალღმერთის ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე ნებისმიერი ოქროს ზოდის. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ გახდა მსოფლიოს თასის მფლობელი? კონსპიროლოგები ასახელებენ ოლიგარქების სახელებს, არაბ შეიხებს... მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია. როგორც ჩანს, შეთქმულების თეორიის მომხრეებს მხოლოდ ერთი ყურადსაღები ვერსია აქვთ, რომელიც მთელ ამ ისტორიას თავდაყირა აყენებს.

ასლის ასლი

ვერსია ღაღადებს: მას შემდეგ, რაც ნიკე 1966 წელს ლონდონში მოიპარეს, ინგლისელებმა ფიფას ნებართვა სთხოვეს - დაემზადებინათ პრიზის ასლი, რათა ის ეჩვენებინათ პუბლიკისთვის, მაგრამ უარი მიიღეს. თუმცა, ფიფასგან მალულად, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის იუველირმა **ჯორჯ ბერდმა** მაინც დაამზადა თასის ასლი მოოქრული ბრინჯაოსგან. მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე პოლიციელებმა ორივე თასი მიიტანეს. ინგლისელებმა მოიგეს და მათ კაპიტანს **ბობი მურს** ორიგინალი გადასცეს. მაგრამ შემდეგ, პოლიციამ ის ასლით შეცვალა. განსხვავება ვერავინ შენიშნა.

წესის თანახმად, თასი გამარჯვებულთან ინახებოდა მომდევნო ჩემპიონატამდე. 1970 წელს, პრიზის დაბრუნების დრო მოვიდა. და ინგლისის მთავრობის წინაშე დადგა დილემა: განმორებოდნენ მთავარ სპორტულ სიწმინდეს თუ ის ფეხბურთის სამშობლოში დაეტოვებინათ? დიდი ხანი არ უფიქრიათ და ფიფაში ასლი გაგზავნეს.

თუ ამ ვერსიას ვერწმუნებით, სწორედ ასლი ასწია თავს ზემოთ **პელემ** 1970 წელს. და სწორედ ეს „არა ნამდვილი" პრიზი მოიპარეს ქურდებმა 1983-ში. ორიგინალი კი დამალეს... ისევ ლოგინის ქვეშ. ამჯერად, იუველირ ჯორჯ ბერდის სახლში.

1995 წელს ბერდი გარდაიცალა და მისმა მემკვიდრეებმა ნიკე აუქციონზე გამოიტანეს. ბრინჯაოს ქანდაკება, რომლის ფასიც, ოფიციალური ვერსიით გროშები იყო, 254 500 ფუნტად გაიყიდა! ეს არანორმალურ თანხად ჩაითვლებოდა, რომ არ გვცოდნოდა, რომ მყიდველი ფიფა გახლდათ. იქ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწორედ ეს იყო ორიგინალი.

რა თქმა უნდა, აუქციონის შემდეგ, საფეხბურთო ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ეს მხოლოდ ასლია. მაგრამ მათ არ დაუჯერეს. მეოთხე მილიონი ფუნტის გადახდა ოთხ კილოგრამ ბრინჯაოში? ფიფაში არც ისე სულელები მუშაობენ.

სხვათა შორის, ეს ქანდაკება გამოფენილია ინგლისის ქალაქ პრესტონის საფეხბურთო მუზეუმში. თუმცა, იქნებ ეს აუქციონზე ნაყიდი ქალღმერთის ასლია, ხოლო ორიგინალი სადღაც სხვაგან ინახება, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

კიდევ ერთი ვერსია

ინგლისელი პუბლიცისტები - **ჯიმ ლინჩი** და **ჯო კოილი** დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანელებმა მაინც მოიპოვეს „ნიკე", ოღონდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

1954 წელს, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გერმანია. და „ნიკე" ოთხი წელი გფრ-ში ინახებოდა. 1958 წელს, მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის წინ, გერმანელებმა თასი ფიფას გადასცეს. ფოტოგრაფმა **ჯო კოილმა** შეისწავლა თასის ფოტოები, რომელიც 1958 წლის გამარჯვებულს გადასცეს. ის დარწმუნებულია - გერმანელებმა გააყალბეს ჯილდო. ის ოდნავ უფრო მაღალი გახდა, პოსტამენტი კი, რომელზეც „ნიკე" იდგა, მცირედით შეიცვალა.

სად წაიღეს გერმანელებმა ქალღმერთი? ამაზე პასუხი არ არსებობს.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
9 772233 382000
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი გია თვალაბეიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;**
ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

ПАЛИТРА ВЕДИНЫ ЦЕЛЕЙ ГАЗЕТЫ: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!